

652  
1970



1 , 7 . 1

## ଅବସାନିକ

# ପ୍ରକାଶକ

କେତେବେଳେ ପରିବର୍ତ୍ତନ	3
୧. ପଦ୍ମନାଭବନ୍ଦୀ — ପ୍ରାତିଦିନ. ମନ୍ତ୍ରକର୍ମଚାରୀ	5
୨. କାତାଖାପ — ଲୋକସିଦ୍ଧି	13
୩. କାଲବାଜି — ଶାକେଣରା ଏବଂ ଗାନ୍ଧାରି	
୩. ୧. ମନ୍ତ୍ରକର୍ମଚାରୀ	17
୩. ୨. କାଲବାଜି — ଲୋକସିଦ୍ଧି	35
୪. ଶର୍ଵାଣି — କାମନାଦୀ. ମନ୍ତ୍ରକର୍ମଚାରୀ	39
୫. ଛନ୍ଦିପା — ଲୋକସିଦ୍ଧି	43
୬. ଠିକ୍‌ବେଳେବାଜି — ଆଶିଷିଲ୍ଲା ସାଙ୍ଗାଥି	
ମନ୍ତ୍ରକର୍ମଚାରୀ. ତାର୍କାମନ୍ଦିର. ଶ୍ରୀ କେନ୍ତିବିଦ୍ୟେଶ	47

## ଲେଖକଙ୍କ ପରିବର୍ତ୍ତନ

୭. ଅବସାନିକ — ବ୍ୟାପକିକିତ୍ସାରୀ ଏବଂ ବ୍ୟାପକିକିତ୍ସାରୀ ଲୋକରୁଦ୍ଧ ତଥାରୁଦ୍ଧ ଏବଂ ତାଙ୍କାମହିମାରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ	55
--	----

## ପରିବର୍ତ୍ତନ ଓ କୃପାଲୁପିତିକାରୀ

୮. କାନ୍ଦିପା — ପାନ୍ଦିପା ଏବଂ କାନ୍ଦିପା	70
-------------------------------------	----

## ବ୍ୟାପକିକିତ୍ସାରୀ

୯. କାଲବାଜି — କାଲବାଜି (କୋରକାଟିକା) କୋରକାଟିକାରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ	76
---	----

## କାମନାଦୀ ଏବଂ କାନ୍ଦିପା

୧୦. କାମନାଦୀ — କାମନାଦୀ ପାତାମାତା	80
--------------------------------	----

## କାମନାଦୀ ଏବଂ କାନ୍ଦିପା

୧୧. କାନ୍ଦିପା — କାନ୍ଦିପା ପାତାମାତା କାନ୍ଦିପାରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ	85
--	----

ଲୋକରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ ଏବଂ  
ବ୍ୟାପକିକିତ୍ସାରୀ ଲୋକରୁଦ୍ଧ ଏବଂ  
କାନ୍ଦିପାରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ

କାମନାଦୀରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ  
କାମନାଦୀରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ  
କାମନାଦୀରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ  
କାମନାଦୀରୁଦ୍ଧ ପରିବର୍ତ୍ତନ

## რედაქტორი ა. შონია.

სარედაქტო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ./ მუ.  
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლევიშვილი, ფრ. ხალვაში.

ნომერი გააფორმა მხატვარმა დ. ლუწლუაში

რედაქტორის მისამართი: ბათუმი, ენგელის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მუ. მდივანის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III 1970 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო  
5 თბილი, შეკვეთის № 277, ემ00052, ქალალის ზომა 60X90, ტიაზი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვებს სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმი სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის 22).

---

აჭარის ურნალ-გაზეთების გამოცემლობა



## რედაქციისაგან

თორმეტი წელია ჩვენი უურნალი გამოდის „ლიტე-  
რატურული აჭარის“ სახელშოდებით და ემსახურება  
ქართულ საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებას, მშრო-  
მელთა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას. ახალი საზოგადო-  
ების მშენებლობას.

აჭარაში ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგა-  
დოებრივ-პოლიტიკური უურნალის გამოსვლა ქართვე-  
ლი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა შეა-  
ფასეს როგორც მთელი ჩვენი ერის კულტურული ცხოვ-  
რების მნიშვნელოვანი მოვლენა, მრავალსაუკუნოვანი  
ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის  
კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუ-  
ნელებელი ზრუნვის მკაფიო გამოვლინება. იგი მოშობ-  
და იმ დიდ ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას,  
აჭარამ ჩვენს დროში რომ მიაღწია.

თორმეტი წლის განმავლობაში უურნალმა ბევრი  
რამ კარგი დათესა და ახარა აჭარის საუკუნეობრივ ყა-  
მირზე; ნიადაგ იმას ცდილობდა, მაღლა სკეროდა გონე-  
ბის ლამპარი, რომლის ჩაქრობას რამდენიმე საუკუნე  
ლამბლენენ ჩვენი სამშობლოს მტრები; ხელი შეუწყო  
ცნობილი ქართველი მწერლების გვერდით ახალგაზრდა  
ნიჭიერი პოეტებისა და პროზაიკოსების გამოჩენას, მათს  
შემოქმედებით ზრდასა და დავაფუკაცებას.

ჩვენს უურნალს არასდროს არ შემოუსაზღვრავს  
თავისი სამოქმედო ასპარეზი; მართალია, საქართველოს  
საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების

არგნო იყო, მაგრამ მისი ავტორთა კოლექტივი მარტო აჭარაში მომუშავე მწერლებით არ იფარგლებოდა, თე- ბატიკურადაც მდიდრდებოდა და იგი აჭრის თანამეღ- როვე სოციალისტურ ყოფასთან, გმირულ წარსულთას ერთად ასახვდა მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს.

„ლიტერატურული აჭარის“ იდეურ-მხატვრული ლონის ზრდის შედეგად დაისვა საკითხი. რომ ის ქცეუ- ლიყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და აჭარის განცოფილების ორგანოდ, ამასთან შეცვლოდა სახელიც. თვით მწერლებმა არჩიეს „ჭოროხი“.

ჩვენი ხალხისა და მწერლობისათვის ჭოროხი მარ- ტო გეოგრაფიული სახელი როდია. იგი მარტო იმით როდი გეხიბლავს, რომ ულამაზეს ხეობაში მოედინება წათქით, ხმაურით და ბოლოს აჭარისწყლით გაუხვებუ- ლი დინგად მიიწევს ზღვისაკენ. არა, ჭოროხი ჩვენი ავ- ბედითი ისტორიის ნაწილია! სწორედ ჭოროხთან ალექ- ტის ქართველ კაცს მწვევლი ფიქრები, ამ ძველთაგანვე ცნობილ ქართულ მდინარესთან, მრავალი დროების მოწამესთან. ალბათ ამიტომ თქვა პოეტმა — „ჩემს სულ- ში ჰქონდა ჭოროხს სათვა“.

„ჭოროხის“ პირველი ნომერი გამოდის იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხი და მთელი მოწინავე კაცობრიობა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუ- ბილებათვის. საბჭოთა ლიტერატურა კვლავაც ერთგუ- ლია ლენინური პრინციპებისა და გამოირჩევა თავისი იდეური შეურიგებლობით, შემტევი ხასიათით, ხალხთან, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით. ჩვენი უურნალიც ამ გზით ივლის „მნათობის“, „ცისკრის“ მხარდამხარ და ეტილგონივრულ სამსახურს გაუწევს ქართულ საბჭო- თა ლიტერატურასა და ხელოვნებას.





## სეაგო პდეიშვილი

### ფ ა ტ ი მ ა

აღმოსავლური ჰანგი არასოდეს არ მიზიდავდა. ის უცხოა ჩემთვის და ვერ ვეგუები. სევდის მომგვრელი და გულის წამლები, სასოწარ-კვეთილის მოქმედის მავნებს. ყურს მოხვდება თუ არა, თვალშინ წარმომიდგება უსიცოცხლო უდაბნო, ცხელ სილაში ჩამარხული უკიდეგანო სი-ვრცე, სადაც ყველასაგან მიტოვებული ადამიანი შველას ითხოვს. ის, რასაც აღმოსავლურ სიმღერად თვლიან, განწირულის გოდებაა და მიღმა სამყაროსადმი მიმართული ღალადის.

მაგრამ ერთხელ ისე ჩამესმა და მეჩვენა, რომ, თურმე, ამ ხმასაც შეძლებია გულა დაატებოს.

ეს იყო დეკემბრის სალამოს, ძველ საბარათიანოს ერთ სოფელში, სადაც მაშინ ფრონტის ხაზი გადიოდა და ჩვენი ათასეული იდგა. ჯარისკაცებს აქ ბინა მიჩნილი გვქონდა მიწურებში, ზოგიერთებს კი, ვისაც ბედმა გაულიმა, ხის პატარა ოდებში, რომელიც უფრო შეძლებულ თათრის გლეხებს აეშენებიათ.

მღეროლა ფატიმა, ქალიშვილი ჩვენი სახლის პატრონისა, ვისთანაც ოცნებები ჯარისკაცი უცხოვრობდით. ის მიწურის ზოურბლზე იჯდა, მატყლის ფერად ძაფებს ქსოვდა წინდაში, ლილინებდა და თან დროდადონ ოცნებიანად გახედავდა ზამთრის მზეს, რომელიც გორაკის წვერზე ეშვებოდა. ფატიმას სიმღერა იმპროვიზაციას უფრო გავდა. გეგონებოდა, მის აფორისქებულ ფიქრებს გზა დაბნევიათ და ახლა ცდილობს ხმა მიაშველოს სამშვიდობოში გამოსაყვანადო. ეს ჰანგიც სევდიანი იყო, ოღონდ იმგვარი, სითბო და ნათელიც რომ ახლავს.

\* პირველი მოთხრობა ციქილიან. რომელსაც ავტორი უძლვნის საქართველოში სა-ჯოთა ხელისუფლების დამყარებას (რედ.).

ჩემს მეტი შინ არავინ იყო. სმენად ქცეულმა, ოთახის კარი გამოჟღავლა  
ლე და, გასუდრული, ფატიმას მიეცერებოზი მალულად. მინდონდა დიდ-  
ხანს მესმინა მისთვის. ვშიშობდი, თვალს მომკრავდა თუ არა, გაჩუმდე-  
ბოდა.

მაგრამ, თურმე. ტყუილად ვფრთხილობდი. როცა მან ბოლოს მაინც  
დამინახა, სიმღერა შეწყვიტა კი არა, მეტი ხალისით განაგრძო.

არ გამკვირვებია, რომ ასე მოხდა. ფატიმას ხომ ჩვენთან უცხოდ არ  
ეჭირა თავი, თამამად გველაპარაკებოდა და ხმამალლადაც იცინდა  
ხოლმე, როცა რაიმეს სამხარულოს ვეტყოდით. ის მეგობრობდა ჩვენ-  
თან, უფრო კი ჩემთან და, ვგრძნობდი, კიდევაც გმოვერჩეოდი. ერთხელ  
ესეც მითხრა:

— არა, შენ ლამაზი არ ხარ, მაგრამ სხვებს მაინც სჯობიხარ. ძალიან  
თეთრი პირისკანი გაქვს და, რაც მთავარია, ჩემი დამცველი ხარ. მახსოვს,  
შენ წაეჩებდე ამხანაგს, როცა მან რაღაც უწმატური თქვა ჩემზე.

ღმერთო შემციდე, რაც დღე გადიოდა, უფრო მიზიდავდა ეს შავ-  
ტუხა გოგო. შვიდი წლით მასზე უფროსი ვიყავი, ჩვენს ასაკში ეს სა-  
გრძნობი განსხვავება იყო და ამიტომ ვუსაყველურებდი ჩემ თავს, რომ  
ცოდვილიანი თვალით შემიხედავს ხოლმე მისთვის. მაგრამ გვერდით რომ  
ჩამივლიდა ჭრელჭრულებში გამოწყობილი, ლალისფერ აბრეშუმის ბალ-  
დადით თვაწვარული და გემრიელი ღიმილით გადმომხედავდა, ძლივს-  
ვიოვებდი თავს, რომ გულისთქმა არ გამემულავნებია.

ხანდახა ის ჩემთან ოთახშიც შემოღიოდა და თვალიერებდა ჩემ  
მიერ დახატულ სურათებს. წმინდა ბავშვური გულუბრყვილობით გაო-  
ცებას გაძოთქვამდა, თუ როგორ გადამქონდა ქალალდზე სოფლის ბუნება  
და ადამიანის სახე. უკვირდა და მეტყოდა ხოლმე, ალბათ რაღაც გრძნე-  
ულის ძალა გაქვსო. ოლონდ როცა ერთხელ სურვილი გამოვთქვი თვითონ  
ის დამეხატა, ჯერ ძალიან გაუხარდა, მერე კი განზე გადგა და ვერაფრით  
დაციონლიე.

— არა, არ მინდა, — შიშნარევად მითხრა, — დედისგან გაგონილი  
მაქვს, ეგ ეშმაკეული ხელობაა და თუ დაგთანხმდი, მეც ცოდვილიანი  
გავხდები...

ფატიმას მამა, ჯავადი, არ მალვდა უკმაყოფილებას, რომ ახალ-  
გაზრდა ბიჭები ჩავუსახლდით. სხვა ღროს, ალბათ, არ დათანხმდებოდა  
მასთან გვეცხოვრა, მაგრამ ახლა, აბა ვინ გაუწევდა ანგარიშს და ისიც  
იძულებული იყო დამორჩილებითა ჩვენი სარდლობის ბრძანებას. სხვა  
რომ ვერაფრი იღნა, მიწურზე დაშენებული ოდიდან ოხაზი ისევ ქვე-  
ვით ჩაიკვანა და ამით მიგვანიშნა, თქვენთან საერთო არაფრით მაქვსო.

მებაღე და მცირე გოგის პატრონი, მყაცრად იცავდა თავისი სჯულის  
კანონებს და წინაპართა ადათებს. ერთლულიანი ფილთა თოფით შეიარა-  
ღებული, ხანდახან სანადიროდაც მიემგზავრებოდა თავის ზერდაგზე

ამხელრებული და ყოველთვის მოპქონდა ნანადირევი, — იხვი ან გარეული ქათამი, რომელიც გმოსაჩენად ეკიდა მხარზე.

ჯავადი და მისი ცოლი, მგონი გიულსანატს ეძახდნენ, თვალს ადევ-ნებდნენ ქალიშვილს. ფატიმა გულუბრყვილოდ თამამი და ამყოლი იყო და, მშობლების აზრით, ჩვენ შევეცდებოდით გვესარგებლნა გოგოს ამ-გვარი ხსიათით. რამდენიმეჯერ მოწმე გავხდი, როგორ დატუქსეს შვი-ლი მხოლოდ იმის გამო, რომ ხალისიანად გამოგველაპარაკა.

განსაკუთრებით ფხიზლობდა გიულსანატი. ეს ჩაკვერცხილი, სიმ-სუქნისაგან დამძიმებული და თითქოს ფლეგმატური დედაცაცი, როგორც კი დაინახავდა, რომ ფატიმა ჩვენს შორის ტრიალებდა, უმაღვე გაიფოფ-რებოდა, ჭოტივით ბრაზიანად აენთებოდა თვალები, შეშფოთებული ხმით მიაძახებდა და მერე დიდხანს ექაქანებოდა და ემუქრებოდა რაღა ცას.

\* \* \*

იანვრის დამდეგს სუსხიანი დღეები დაიჭირა. ქარს ხშირად მოპქონ-და მთიდან ახვეტილი ფიფქი. დილით გამოჩნდებოდა ხოლმე უსხივო, თითქოს უანგმოკიდებული მზე და, მეტი ძალა რომ აღარ ჰქონდა, ყვით-ლად ბეუტავდა ფერდობის თავზე აღოლებული. მალე იქაც გადაეკვრებო-და ლიბრი და მერე დაბინდებამდე ისევ ნაცრისფერში და ნალველში გახ-ვეული ჩანდა გარემო. დღე იყო მოკლე და მაინც დაუსრულებელი. გა-თოშილ ეთერში უნდომლად მიზოზიანობდა მიშურებიდან ამოსული კვა-მლი, ერთადერთი მოწმე იმისა, რომ სადღაც კიდევ იყო სითბო და გრძე-ლდებოდა ცხოვრება. გარეთ დაეხეტებოდა მხოლოდ პირუტყვი, თავის ნებაზე მიშვებული, ხოლო შუკებსა და ეზოებში დაბორიალობდნენ უსაქმობით და სიცივისაგან გათანგული ჯარისკაცები.

გულუბრყვილობის ან ფუქსავატობის ბრალი იყო, ფატიმას სულაც არ აღარდებდა ის ამბავი, რომ იმ შემთხვევაში თუ აქ ომი დაიწყებოდა, საზღვარზე გაშენებული სოფელი ვერ აიცდენდა ცეცხლისა და ნგრევის სიმწარეს. ამაზე რომ ერთხელ სიტყვა ჩამოვუგდე, გულგრილად მითხრა:

— ფიქრი ნუ გაქვს, აგეთი არაფერი მოხდება. ორჯერაც იყო, შემო-გვესივნენ სანაინის მხრიდან, მაგრამ როგორც კი თქვენიანები მოგვეშვე-ლნენ. მაშინვე პირი იბრუნებს და მოქუსლეს. მხოლოდ ის ივაუკაცეს, რომ რამდენიმე ცხვარი გაიტაცეს. ეგ იყო და ეგ...

ჯავადს და მის მეზობლებსაც არ ეტყობოდათ შეშფოთება იმის გა-მო, რომ სანგრებს ვამზადებლით სოფლის განაპირას. გლეხები, როგორც წინათ, თავის მოიყრიდნენ ხოლმე, ბაასობდნენ და დაობდნენ რაღაცაზე. ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერი იყო, — მეზობლები ერთმანეთს უზიარებდნენ თავის დალხინებასა და ჭირვარამს, მეტი არაფერი.

მაგრამ ეს გულგრილობა და სიმშეიდე რომ მხოლოდ მოჩვენებითი იყო, მაინც გამუღუნდა ბოლოს. იმ საბაბით, რომ სიფრთხილეს თავი არ

სტკივაო, გლეხებმა გახიზნეს პირუტყვი. ჭავადი ერთხანს კიდევ ყოფილი ცალკეული გადასცა.

ფატიმამ, შორს წასული რომ იგულა მამა, თავისუფლად იგრძნო თავი, დედის ქაქანს აღარ შეეპუა და ჩემთან მასლათს უხშირა. დამიჯდებოდა ხოლმე გვერდით, ულურტულობდა და მიამბობდა ათასგვარ რაიმეს. ამბავი ყოველთვის მიამიტური იყო, გულუბრყვილო როგორც თვით მთხოვნელი, მაგრამ ჩემთვის მინც სასიამოვნო მოსამენი თუნდაც იმი-ტომ, რომ მართობდა ხოლმე და მოწყენილობას მიქარვებდა.

— ხამი ვინმე არ გეგონო, — თავმომწონედ მითხრა ერთხელ, — მე სამი წელიწადი გავატარე თავადის ოჯახში. აი იმ დიდ სახლში, სადაც ახლა თქვენი გენერალი ცხოვრობს. თავადს ჩემი კბილა გოგონა ჰყავდა. ქეთევანი. ძალიან ვუყვარდი და სულ ტიროდა, თუ მასთან არ ვთამაშობდი. ბოლოს ისე მოხდა, რომ მამაჩემი დაიყოლიეს და თავიანთ სასახლეში წამიყვანეს საცხოვრებლად. იქ იმდენი საკვირველი ნივთი ჰქონდათ, შენ ალბათ არც გინახავს, არც გაგიგონია...

— მანც რა, ფატიმა?

— აბა რამდენი ჩამოვთვალო! და ყველა ისე ძეირფასი, არც დაიჯერებ რომ გითხრა. მე შემეძლო ყველაფრისთვის ხელი მომეკიდნა. არ მიკრძალავდნენ. პირიქით, უხაროდათ და იცინოდნენ, როცა გავიოცებდი ან შევშანდებოდი და არ მივეკარებოდი. იმდენი კაბა შემიკერეს, ჩემსავით ჩაცმული ბეგის ქალები არ იქნებოდნენ. მე რომ მძივებს დამკიდებლნენ და ჭრელი მანდილით თავს დამხურავდნენ, ქეთევანის უფროსი ძმა მეტყოდა, ბროჭეულის ყვავილს გევხარო. შენ რას იტყვი, დავემგვანებოდი? ისიც სულ მიალერსებდა... ჰო, მართლა, სახით შენ იმ ბიჭს მაგონებ, ამიტომაა ყველასგან გამომერჩევი... კიდევ დიდხანს არ მოვშორდებოდი მათ, მაგრამ უეცრად ქალაქში გადასახლდნენ. გავყვებოდი, მაგრამ მშობლებმა არ გამატანეს... ყოველთვის, როცა იმ თავადის ოჯახს გავიხსენებ, დედაჩემი რატომღაც წყევლაკრულვას უგზავნის მას. მამაჩემი კი ასე მეუბნება: ახლა შენ სხვა საფიქრალი უნდა გქონდეს, უკვე გასათხოვარი ხარო...

— გასათხოვარი?!

— ჰო... აგრე რად გაიკვირვე?

— რამდენი წლის ხარ, ფატიმა?

— არ ვიცი. ალბათ ბევრის.

ჩემი ლიმილი შენიშნა და წარბები შეპკრა:

— მართალს ვამბობ, რატომ არ გჯერ! დედაჩემი ამოიოხრებს ხოლმე, აგერაც შემომაბერდიო, შენი ხნის გოგოს ქმარი უნდა ჰყავდეს.

— აბა რა დროს შენი გათხოვებაა, ჯერ თხუთმეტის თუ იქნები...

— განა ეგ ცოტა?

— შენ იცი, რას ნიშნავს ქმარი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი! სამუდამო პატრონი, რომელსაც უწდა  
ვემსახურო... მაგრამ ჩემი ბრალი არაა, რომ შინაბერია ვრჩები, დედა ხომ  
სულ იმას სწუხს, ახალგაზრდები არსად ჩანან და არც ვინმე ქვრივი  
გიყიდისო. ერთმა მოინდომა, ოლონდ ისე ხნიერი და ბეხავი იყო, მისთვის  
თავი ვერ გავიმეტე, ბევრი ვიტირე, ქალაქში გაქცევაც დავაპირე და,  
ბოლოს, შემიცოდეს მშობლებმა...

— ფატიმა, რომ ურვადი მიცცე მამაშენს, უარზე იქნები?

წამიერად თვალები გაუბრწყინდა, ლოყები შეუფაკლდა. მერე თავი  
ჩაქინდრა და წაილულლულა:

— არა, ეგ არ მოხდება... ეგ არ შეიძლება...

— რატომ? გვინაი, გეხუმრები?

გაიტრუნა. ისე მეჩევნა, თითქოს კიდევაც შეაშინა გაგონილმა.

— გაახილე, გოგო თვალები! ასწი თავი, რა მოგდის?! — ფრთხილად  
შევეხე და რაც შეიძლებოდა ალერსიანად წავჩურჩულე.

ვერძნობდი, რა მღელვარებს შეეძყრო. თვალი ვერ მოვაშორე და  
როგორც არასდროს, მომხიბლა და მომნუსხა ამ ველური გოგონას სიწ-  
მინდებ. ამ წუთებში თვითონეე მჯეროდა, რომ გულწრფელად ვუთხარი  
და რომ ჩემი ფარული სურვილი იყო სამუდამოდ გამეზიარა მასთან  
უბრალო, პირველყოფილობის მაგვარი უცოდველი ცხოვრება, რომელ-  
საც ის ეწეოდა.

— მაგრამ იქნებ შენ არ გინდა? ასეა, ფატიმა?

არ მიპასუხა. ისევ გასუდრული იჭდა.

— იქნებ ცუდ კაცად მთვლი და იმიტომ...

ჭერ თავი გააქნია, მერე ოდნავ გასაგონად:

— არა, შენ ძალიან კეთილი ხარ და ამიტომ არ მინდა გითხრა... ვაი  
თუ გული გატკინო... იმ საქმეს კი არ ეშველება...

გამიკვირდა და გაეგება მომინდა. ასეთი რა შემნიშნა საშინელი და  
უსაშველო:

— ფატიმა, რა უბედურება მჭირს აგეთი?! მითხარი, ნუ დამიმალავ!

— რაო და... — ამოიხხრა. თავს ძალა დაატანა: — რაო და, ურჯუ-  
ლო ხარ, გიაური, სამუდამოდ წაწყმედილი...

გულიანად გადავიხარხარე.

— ეგ არის, სხვა არაფერი? მაშ ამას ადვილად ეშველება! წვალვე  
გამოვიცვლი რჯულ!

ეუცხოვა გაგონილი, კუშტად შემომხედა და ჩაილაპარაკა:

— არ ვარგა აგეთი ხუმრობა, ეგ დიდი ცოდვაა..

ის იყო დავაპირე მეთქვა, რომ ნამდვილად გამოვიცვლიდი, გიულსა-  
წატი დავინახე, — ის კარებში იდგა და აბრიალებული თვალებით მოგვშ-  
ტერებოდა.

\* \* \*

რამდენიმე დღე ფატიმა აჩსად შემხვედრია. იქნებ ჩაკეტილი ჰყავდა დედას ანდა თვითონ მარილებდა თავს.

როგორც იქნა, ბოლოს მაინც ხელთ ვიგდე, დაბინდებული იყო, საგუმარდან შინ ვბრუნდებოდი და მდინარიდან მიმავალს წამოვეწი. მხარზე შედგმული თუნგით წყალი მოჰქონდა.

— ძალიან მომენატრე ფატიმა... — მორიდებულად ვუთხარი, — შენ კი, მგონი, მემალები...

არ შემებმიანა.

— მომეცი თუნგი, მძიმე სათრევია, — მინდოდა მივშველებოდი.

— არა, ეს მამაკაცის საქმე არაა, — გულცივად ამარიდა თავი.

— გატყობ, მიჯავრდები... ვერ გამიგია, რატომ? — მოსაწყლებულად ვუთხარი.

არ მიპასუხა. დუმილით განაგრძო გზა.

— წუხელ და დღეს საგუშაგოზე რომ ვიდეჭი, სულ შენზე ვფიქრობდი, ფატიმა...

ეს ტყუილი იყო, მაგრამ იმიტომ ვთქვი, რომ მეგონა ვაამებდი და დამელაპარაკებოდა.

წაუყრუა. თითქოს არც გაუგონია. მივხვდი, ამაო იყო ახლა ყოველივე ცდა. უბრად მივაბიჯებდით. აღმართი ავიარეთ და სახლიც გამოჩნდა. მაშინვე ისიც დავინახეთ, საჩეხთან მიბმული იყო ჭავალის ზერდაგი.

ფატიმა უმალვე გამშორდა და დაწინაურდა.

— მალე შევხდებით ერთმანეთს, მაშინ მოვილაპარაკოთ ყველაფერზე, — დავაწიე ხმა.

\* \* \*

არა, აღარ დავვცალდა. ეს, თურმე, უკანასკნელი მშვიდი საღამო იყო ჩვენთვის... მეორე დღეს მოპირდაპირებ შემოტევა დაიწყო, ღამით კი ბრძანება მივიღეთ ჩამოგსულიყავით მთიდან და სადახლოს გავლით უკან დაგვეხია.

თითქოს იგივე სოფელი იყო, მის გარშემო იგივე ტიტველი ბორცვები, ვიწრო ხევის სალტეთი შეკრული მდინარე და ფიდი კალის ხეგორაკის ძირში. თითქოს ყველაფერი ნაცნობი და მაინც პირველად დანახული და მოჩვენებითი. სოფლის შუაგული აწიოკებულ სკასავით იროდა და ბორგავდა. რამდენმე წუთის წინ იმ ადგილზე უუმბარა დაეცა და შენობას ცეცხლი წაეკიდა. ბნელ დამეში აბრიალებული კოცონი შორს ისროდა წითელ შუქს და ანათებდა შუკებსა და მინდორს, სადაც ნაბლიანი მხედრები უთავბოლოდ დააქროლებდნენ ცხენებს. ხიდის მისასვლელთან გაჭედილიყო სურსათინი ტომრებით დატვირთული ოთხთვალები. გაბოროტებული მეფორნე-ჭარისკაცები ჩქარობდნენ გაესწროთ ერთმანეთისათვის, ისმოდა გინება, ყვირილი.

ჩემ ნაბინავართან რომ გავიარე, გიულსანატს მოვკარი თვალი. მიწურული რიდან ბარგიბარხანა გამოჰქონდა და ურემში ჰყრიდა. მენიშნა, ოჯახი გაბიზნას აპირებდა.

უცურად გამახსენდა, რომ ოთახში სურათების მთელი დასტა მქონდა და ტოვებული. რამდენიმე ჩანახატი ძალიან მომწონდა, მათი დაკარგვა დამენანა, სულმა წამძლია და ოთახს მივაშურე.

საჩქაროდ ავრიფე რაც მინდოდა, გამოვბრუნდი და, როცა კიბეზე ჩამოვდიოდი, გამოჩნდა ჭავალიც, რომელმაც ეზოში ცხენი შემოაჭენა.

— გამოხსენი ხარები, მიწურში შერეკე! ვრჩებით! — გადმოსახა ვიულსანატს, შეატრიალა ზერდაგი და ისევ სოფლის შუაგულისაკენ გაქანდა.

უნებადაბნეულმა დედაკაცმა რაღაც შესძახა, მაგრამ მხედარს არ გაუკონია. ალის შუქზე გამოჩნდა ჭავალის აბრიალებული ნაბდის კალთები, წამშივე ჩაქრა და ბედაურის ფლოქვების თქარუნიც მიწყდა.

დაყოვნების თავი არ მქონდა, მაგრამ ეზოს ბოლოში ნაცნობი ხმა დამტეშვია, უცბადვე თვითონ ფატიმაც მოიჭრა და ორივე ხელით ჩამებდა-უდი.

მეტი რალა არ იყო, შევჩერდი. ყოველი წუთი საუკუნედ მიმაჩნდა და ახლა მადლობასაც ვეტყოდი გიულსანატს თუ შეუწყრებოდა შვილს და მომაშორებდა, ვძრაზობდი ჩემ თავზე, რომ სულმა წამძლია და ოთახში უკირბინე, რა თხრად მინდოდა ჰაიპარად გაკეთებული სურათები!

ფატიმა მეკვროდა, სლუკუნობდა და თავის ენაზე რაღაცას ტიტინებდა გულსაკლავად.

— მალე ვნახავთ ერთმანეთს, — მივუალერსე და მისი დამშეიდება ვცადე. — შენ არ იდარდო, სულ მალე დავბრუნდები და შენთან დავრჩები.

კილევ რაღაცას ვჩმახავდი სანუგეშებლად, მაგრამ მან ყური არ მიგდო:

— აბა რად გინდა ეგ ტყუილი... განა არ ვიცი, მე სხვა ვარ, შენ სულ სხვა... — ხელი ჩაიქნია, თითქოს კიდევაც დაწყნარდა, მერე მკერდიდან ჩამოიხსნა მძივები და გამომიწოდა: — ჰა, წაიღე. შენ რომ პატარა დაი გყოლია, იმას დაჰკიდე. ბავშვს გაუხარდება, შენ კი დაინახავ და მოგაგონდები.

დიდი სევდით შემომხედა უკანასკნელად, აცრემლებულ თვალებზე სახელო მიიფარა და ხელით მანიშნა, წადიო.

\* \* \*

టొవు. బ్యెల్షి డాయునాథావు వ్యవరిల్లి తొఱ్పక్కి మాత్రమిగా దా జ్ఞాతమాటాదిక్కు ప్రింగాడ ఇంగ్లీషు. తొఱ్పక్కి, అంబాత, శాగుండ శాగుండ ఉండుండ మిట్టిస. సాఫలాడ శంకులు ఉఠ్చేసరిగుం సరించుండ. భోగ్యురు ప్రార్థించాను ఏం గాంధీజీప్రార్థించుండ అంచులు. మార్కు మంకెత్తించు ర్యువుండ.

ఖుంకి డిండి కూడి గుండిండి. ప్రాథ తింటుకుం త్వరించి నుండి, మాగ్రామ జూర్లు ప్రార్థించి మిన్కు అంతిమంగా కుండి. సామిత మిచ్చుండి గుండి? మించుండ నుండుండ వ్యక్తేలూ కుండిండిసి, నూరుండిండిసి, మించుండిండిసి దా గుండిండిండిసి ప్రిం మిచ్చుండు.



## ლ მ 6 0 6 0 ს დ მ ბ ლ ი

ლენინის ძეგლი დაჲყურებს ქალაქს  
 ნათელი შუბლით, გაშლილი ხელით,  
 იგი იმედი, სითბო და ძალა,  
 დილის მზესავით მწველი და წრფელი.  
 იგი იმაღლებს ფიქრებს და სურვილს  
 და გვაძლევს რწმენას ულეველს, დიადს.  
 იგი სიმხნეებ ქვეყნის და სულის...  
 კაცი ჰქვია და სინათლე ჰქვია.  
 აყვავებული გულში და ქვაში,  
 კაცობრიობის ხსნად და იმედად.  
 ვინც ოქტომბერის ცეცხლის კაშკაშით  
 მზე და სინათლე გამოიმეტა.  
 და ჩვენ ყოველთვის რასაც ვაკეთებთ,  
 რასაც ვაშენებთ, ვიპყრობთ თუ ვაგებთ,  
 ცველა სიხარულს, ყველა სიკეთეს,  
 დიდი ლენინის ვუწოდებთ სახელს.

## ს ა მ ჭ ო ბ ლ ო ს ა დ მ ი

შოთას შაირის შარბათის გემოვ,  
 თამარის მზეო, დასალოცაო,  
 სულის ჩამდგმელო მიწაო ჩემო,  
 თვალის მომჭრელო, დამჭრელო ცაო.  
 ერთს გევეღრები: დიდხანს მატარე,  
 ამ მზეს, ამ ვარდებს ვუყურო მხოლოდ,  
 ცხრა მთა, ცხრა ზეცა გაღამატარე,  
 პეტრას ციხესთან დამმარხე ბოლოს.  
 და არ მომაკლო სითბო და ნიჭი,  
 ჰერინი კაცის სიბრძნე და წყარო.

რად მინდა თუნდაც ერთი ნაბიჯი,  
 რომ შენს სიყვარულს არ მოვახმარო.  
 შენს სულში გიწვე, შენს სულში ვენოო,  
 თაკარად დავდგა რითმების კალ.  
 რაც არ ვაშენო, რაც არ ვაკეთო.  
 შენი სახელი ვწონო და ვთვალო.  
 და თუ დავიწვა, როგორც სანთელი.  
 პატარა ალი მეც გავჩინო,  
 სულაც არ მინდა მქონდეს სახელი.  
 ერთი ბალადა გადავრჩინო.  
 და ნუ იტყვიან იყო, გათავდა,  
 იწვოდა ოდეს და აღარ იწვის.  
 იმღერე გულო საგალობელი,  
 საგალობელი მშობლიურ მიწის.

## ვ ა ს 0 ლ გ ი გ უ ბ

ბრატისლავაში ძმათა სასაფლაოზე  
 განისვენებს გვარდიის პოლქოვნიკი  
 ვასილ გაგუა.

ცხრა მთა გადალახა მუხლით,  
 ცხრა ზღვა გადასცურა მკერდით,  
 ყველგან გადაფერთხა მწუხრი  
 და მტერს გაუშავა ბელი.  
 — სანამ სული გიდგას, მიდი,  
 — სანამ მუხლებში გაქვს ძალა!  
 ბოლოს შეეყარა სიკვდილს,  
 უკან დაიხია განა?!  
 ციდან წამოვიდა წვიმა,  
 მკერდზე მოეკიდა ალი.  
 — დედა, ყველაფერი მტკივა,  
 დედა მომაწოდე წყალი!  
 დედა, შემომხვივ ხელი,  
 დედა, დამაყარე ცრემლი,  
 დედა, დამაძინე დედა!  
 არ გწამთ, მეგობრებო, ღმერთი?  
 ჯერ არ მომიხდია ვალი:  
 მაგრად შემიხვიეთ მკერდი  
 და არ დამიხუჭოთ თვალი.

თავთან არ დამიღოთ ლოდი.  
 ასე დამასვენეთ მხნედა.  
 მგონი დედაჩემი მოდის...  
 ცოცხალს მომისწარი დედა!  
 ქრება დედის სახე თბილი  
 და დღე ფერმიხდილი ტირის.  
 აუბო მოიტანეს, კუბო,  
 და შიგ ჩასვენეს გმირი.  
 ბრატისლავის მთაზე წუხილს  
 არ ჰქონდა საზღვარი, ბოლო,  
 ცხრა მთა გადმოლახა მუხლით  
 და აქ მიეძინა ბოლოს.

## 306 გვართი ებებს

როგორ გვინდა, მთა რომ დვას ცერზე  
 და ტანზე ცივი ქარი ეხლება,  
 მას საქართველო ჰყიდია მხრებზე  
 და თეთრი წვერით ზეცას ეხება.  
 როგორ გვინდა, ეს წმინდა ლელე,  
 მთიდან რომ მოქუხს ასე ანკარა,  
 მან საქართველოს ბალებს და მერეს  
 ძუძუ აწოვა და გაახარა...  
 როგორ გვინდა, ეს პეტრას ციხე  
 მარტო ციხეა? ბრძოლების ლელო.  
 ის მომხდურებმა ვერ წააჭციეს  
 და მიტომ ფეხზე დგას საქართველო.  
 მამულს სჭირდება ნიჭი რამხელა,  
 დიდი ბეღელი მწიფე რთველობას.  
 ჩვენ საქართველო გვქვია სახელად,  
 ვინ გვაპატიებს ცუდ ქართველობას.

## გ უ ლ ი

წენ ღირსეული იყავი მართლა,  
 როდესაც ამდენ ხალხს შეერევი,  
 თუ ვერ გაუძლებ ქარსა და ავდარს,  
 ისე სიძნელეს ვერ მოერევი.

ჭიდილს და ტკივილს გაძლება უნდა,  
 სხვა ყველაფერი მოვა თავისით...  
 ჯველა სიამე ახლოა ვულთან  
 და ყველა ტკივილს გული ვანიცდის.

\* \* \*

ბუჩქზე აფრინდა ჩიტი  
 და სხვა ბალისკენ მიპქრის,  
 გამოეხება ჩითის  
 კაბით მზეწვია ჩიტი.  
 და შეეგებნენ ცისკარს  
 ხვევნით, კოცნით და ფიქრით.  
 რა სიტყვა მოსწყდა ნისკარტს.  
 რამ გაახარა ჩიტი?!

არ ეშინიათ წვიმის,  
 არ ეშინიათ სუსხის.  
 ორთავე ხარობს, წივის,  
 გამხიარულდა ბუჩქი.  
 მზე მოეფარა ტოტებს,  
 მოვარე მოადგა გორებს...  
 ჩიტი ჩიტუნას ტოვებს  
 და ქარი ჰყვება ჭორებს...



## ფილონ ხარვაში

### შესვებრი და განვითარება

შებინდებისას უეცრად ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა. დახეულ-დაგლეჭილი ბალებივით მიმოჰკიდა ქარმა ღრუბლები ცაზე.

ზღვა ჯერ თითქოს დაიჭმუჭნა, დაიკეცა, დაიხაზა, პატარა, მაგრამ მძლავრად ამობურცულმა ზეირთებმა თავზე თეთრი-თეთრი ქოჩრები დაიყარეს, შემდეგ ტალღებმა თანდათან ერთმანეთი მონახეს, შეერთდნენ, მაგრამ მხრები სულ მაღლა წამომართეს და გიური თავგამეტებით დე-დამიწას მოასკდნენ.

საღამოს ბინდი უფრო და უფრო შესქელდა, მაგრამ ტალღების გა-მუდმებული მსხვრევისაგან ცაში ამართულ მარილიან რძისფერ ნისლში, როგორც ნეგატივში, მკრთალად მოჩანდა უცნაურად გამძვინვარებული ზღვის ჯავრით დაღარული სახე.

ჩაუანგული თუნუქით შემოსილი პატარა სახლი, რომელიც ვერ გაი-ვებდა რა მასალით იყო ნაშენი, თავისი ორადორი ფანჯრით ზღვისკენ იმ-ზირებოდა. მართლაც, ოდნავ შორიდან რომ შეგეხედა ამ ყველაფრისაგან მოშორებული, გნმარტოებული სახლისათვის, რომელიც პატარა ბექობ-ზე იდგა, გეგონებოდა ვიღაცა ბინდბუნდში მშვიდად დამჭდარა სანაპი-როზე და ზღვის სეირის ცქერით ერთობაო.

სახლში კი მხოლოდ ფიქრია დარჩენილიყო. მოხუცი მეთევზის ჯი-ბოს ქალიშვილი ფიქრია შეებულებით ერთი თვის წინათ ქალაქიდან ჩამო-სულიყო, მაგრამ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სამსახური აღარ მოსწონდა, ხოლო მეორეც, მარტოდმყოფი მოხუცი მამა შებრალებოდა, უკან აღარ გაბრუნებულიყო.

წინათ ფიქრია მრავალჯერ შეხვეწნია მამას, წამოდი ქალაქში, მყუდ-როდ, თბილად და მშვიდად იქნები, აქ ასე მარტოდმარტოს გაგიჭირდება.

მეთევზეობაც აღარაა ახლა შენი საფერი საქმეო. მაგრამ ბერიკაცს ყურადღებული და ყურშიც არ გაუშვია ქალიშვილის თხოვნა, გაჯიუტებულა, ჩემი მე ვიციო, უთქვამს, წამოუკიდია მხარზე ბადის მონაცემში მობოხჩილი ბრეზენტის სამოსი, რეზინის ჩექმები, საგზალთან ერთად, და ნაპირიდან გადებულ ცალფა ძელის ზიდით თავის სეინერზე აცოცებულა.

„ჩემი გემი“ — ასე ეძახოდა ჭიბო მი სეინერს.

„მისი გემი“ თევზის ზეთით სულ გალუმბულიყო და ჩაშავებულიყო, ხოლო სქელი, მძლავრი ფერდები და კიჩო სულ ერთიანად გახეხილ-დაღარულიყო ხოშორი, ჭიბომანივით მაგარფხიანი ბაგირების გამუღმე-ბული ხორხიალით.

ფიქრის კარგად ახსოვდა როგორ სხვანაირად შეიცვლებოდა ღუბეს ჰერი, როცა ზღვისა და თევზის სუნით გაელენთილი გემი ნაპირს მოად-გებოდა. ღუბე ჰქვია სოფელს, რომლის განაპირას ზღვასთან განმარტოე-ბულ ბორცვზე ჭიბოს სახლი იდგა.

ფიქრის უმცროსი ქალიშვილია ჭიბოს ოჯახში. ვაჟიშვილი ღმერთმა არ გაიმეტა ჭიბოსთვის, სამი უფროსი ქალი კი კარგა ხანია დათხოვებუ-ლან და თავიანთი ოჯახებიც მოუწყვიათ. ცოლი ორი წლის წინათ დაჰკარ-გა ჭიბომ და, რადგან იგი ქალს ოჯახის და გვარის ნამდვილ გამგრძელე-ბელ შვილად არც თვლიდა, უთქვამს, ამ ქვეყანაზე მარტო ჩემი თავის იმედზე ვარო.

ინსტიტუტი რომ გაათავა, ფიქრიაც ერთხანს ზოვიერთი თანატოლის ჰქუას აჰყავა და ქალაქში დარჩენა გადაწყვიტა. მაშინ დედაც ცოცხალი იყო. ამიტომ მშობლის ოჯახის დაცარიელება-გავერანება მისთვის წარ-მოულენებელი და გაუგებარი იყო. ვიღაც მარტოხელა დედაბერთან იქინა-ვა ერთი ოთახი, დიდი ვაივაგლახით როგორდაც გამოძებნა პირადი მდივ-ნის ადგილი მომთუთიებელი კომბინატის დირექტორთან და ამის შემდეგ იფიქრა ყველაფერი გავინაღეო.

მაგრამ თავის ახლადდაწყებულ დამოუკიდებელ ცხოვრებას ფიქრიამ თავი ვერ მოაბა.

დამარტოხელებული, ქალიშვილზე გულმოსული, გულაყრილი და გახვრებული მამა, მართალია, არც ეუბნებოდა, ჩამოდი, ოჯახს მოხედე, პერანგი გამირეცხე და მშობლიურ სახლკარს მოუარეო, მაგრამ სადღაც სულის კუნკულში ფიქრიამ ნელნელა უკვე იგრძნო ამის საჭიროება.

იგრძნო და მაინც ჭერ ვერ შეელია ქალაქს, ვერ გადაწყვიტა შინ, სოფელში დარჩენილიყო. ის ბევრს ფიქრობდა მომავალზე და, რა დასა-მალია, გათხოვებაზეც ფიქრობდა. უნდოდა ვინმე ინტელიგენტ კაცს გაჰყოლოდა ცოლად. ტკბილი, მყუდრო, უზრუნველყოფილი ოჯახი შე-ეგმნა ქალაქში და მარტოდმყოფი განაწყენებული მოხუცი მამისთვისაც შეეთავაზებინა ბოლოს თავისთან საცხოვრებლად გადმოსვლა.

დრო უმოწყალოდ მიიწევდა, ხოლო ფიქრის ფიქრთა განხორციელდა ლებას რამენაირი იმედის ნიშანი არ ეტყობოდა. ნაოცნებარის ახლებას შეიძლება ისიც უშლიდა ხელს, რომ ფიქრია არ იყო უკელაფერზე ადვილად დასაყოლიებელი გოგო. ცუდი ენების ეშინოდა და ზედმეტად ერიდებოდა ახალგაცნობილ ვაჟებთან ერთად გასეირნებას. არა, გასეირნებაზე ბოლოს და ბოლოს სასტიკ უარს არც იტყობა, მაგრამ ერთი შეხვეღრისა და მოკლე საუბრის შემდეგ ადვილად რწმუნდებოდა ამა თუ იმ ვაჟის ჭეუამოკლეობაში, უწიგნურობაში, ჭედმალლობაში თუ თავდავიწყებულ თავმოყვარეობაში, რაც მისთვის, ფიქრიასათვის, ძნელად ასატანი, ძნელად მოსათმენი, ძნელად მოსანელებელი, ძნელად შესაგუებელი იქნებოდა მუდა.

რადგან ოჯახში თვითონ უმცროსი იყო. ბავშვობიდან ზედმეტ ალერსს ჰყავდათ შეჩვეული, ზედმეტ მოფერებას; პატივისცემას, შებრალებას. შემდეგ, გვიან, ფიქრიამ კრიტიკულად გადახედა თავის წარსულს, შეამოწმა, ხომ არ დაუტვია რაიმე უარყოფითი ყოველივე ამან ჩემს ხასიათს. განსაკუთრებით ამას მაშინ ჩაუკვირდა გოგო. როცა, სამწუხაროდ, იგრძნო, თთქოს ყველამ მისგან პირი იბრუნა. აღარავინ აკითხავდა, აღარავინ პატივებდა, აღარავინ ცდილობდა მასთან დაახლოებას.

მაგრამ ხანდახან. როცა იგი სარკის წინ გაჩერდებოდა და თავისთავს დაუკირდებოდა, იღუმალი ქმაყოფილებით რწმუნდებოდა, რომ ის ახლა უფრო კარგი და მიმზიდველი შეიქნა. თთქოს ბოლო ხანებში ტანი უფრო აიყარა, თმები მართალია შეიჭრა, მაგრამ იმნაირი ნახვევი დაიყენა, რომ სიმაღლე უფრო მოიმატა, ხოლო ფერუმარილუკარები პირისახე მისი ღრმა რწმენით რაიმე ხელოვნურ ჩარევას არც მოითხოვდა.

ეს უბრალოება, სისადავე, მიწიერება, მისი აზრით, ყოველი ჭეუად-მყოფისათვის სწორედაც სასურველი იშვიათობა უნდა ყოფილიყო.

და ყოველივე ამის ღირსეული დამტასებელი და მისი ხსიათის ნამდვილი გამგები თუ ჯერ არავინ ჩანდა, იგი ამას უფრო ზოგიერთ მის გარშემო მყოფთა სიბეცეს, უნიჭობასა და უბაღრუკობას მიაწერდა, ვიდრე საკუთარ უიღბლობას.

ასეთი ფიქრებისა და ასეთი დასკვნების შემდეგ ფიქრია თანდათან უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი გახდა, რამაც ზოგიერთის თვალში მას უკადრისი თუ ჭედმაღალი გოგოს სახელიც კი დაუმკვიდრა.

ამნაირი ჩამოვიდა იგი მამასთან შვებულებით იმ ზაფხულს და მშობლიური სახლეარი რომ უქალობის გამო ასე აშლილ-აწეწილი დახვდა, გული ეტკინა, მოხუცი მამა შეებრალა და მოეხათრა მისი, კვლავ მარტო დაეტვივებინა.

ჯიბო კი ისე იყო ზღვასთან შეზრდილი, ვერ ეშვებოდა ბავშვობიდან შეჩვეულ და შეყვარებულ საქმეს.

ამიტომ გაჰყვა დღესაც ალიონზე „თავის გემს“ ზღვაში.

ფიქტიას ბერიკაცის ფეხისხმაც და მისი დაძხებაც ესმოდა, მაგრამ ლოგინიდან აღარ წაშომდგარა, — იცოდა, სალამოს მაინც დაბრუნდებოდა დანენ მეთევზები.

ქარიშხალი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ფიქტიას იმის იმედი ჰქონდა, რომ იცოდა ამ მხარეში ზღვის ღელვა დიდხანს არ გასტანდა. მას საერთოდ უკვირდა, რამ გადარია დღეს ზღვა, რამ ამბოხა ასეთად გორმზი ტალღები, რამ მოხეთქა ასე ქარიო. შავი ზღვის ქართული სამხრეთი ყოველთვის იმით იყო განთქმული, რომ სხვა-გან თუ გრიგალი ყველაფერს დალეჭავდა, სწორედ იმ დროს აქ ზღვაური მხოლოდ ოდნავ მოიმატებდა ძალას.

ფიქტიამ ფანჯრიდან კარგა ხანს უყურა ზღვას.

ზღვის ხმაური მას არ მულდა, მაგრამ ახლანდელი შემზარავი გუ-გუნი, თან როცა ირგვლივ ყველაფერი ირყეოდა და ზანზარებდა, თანდა-თან საშიშ ხასიათს ღებულობდა. მართალია ღამდებოდა და ისიც ასეთ საშინელ ამინდში შინ მარტოდ იყო, მაგრამ ფიქტიას ამის სრულებითაც არ ეშინოდა. იგი მხოლოდ მამაზე ფიქტობდა.

შეწუხებულ ქალიშვილს ერთადერთი იმედი იმისი ჰქონდა, რომ „მის გემზე“ ყველანი ძველი, გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ. იცოდა აგ-რეთვე ისიც, რომ დიდი ღელვის დროს ნაპირი უფრო საშიშია და გემები შუა ზღვაში დგომას ამჯობინებენ.

წვიმა ჩანჩქერებად ეშვებოდა ციდან. ფანჯრის პატარა მინებზე ნამ-დვილი მდინარეები ჩამოდიოდა, სახურავზე დაძველებული შიფერი გაბ-მულად ზუზუნებდა, სახლი ვითომ ერთიანად გმინავდა, წუხდა, ირხეოდა, ადგილიდან დაძვრას ლამობდა.

ერთ-ორჯერ ელექტროლამპამ თვალი მიხუჭა, მაგრამ უმაღვე გაა-ხილა და ფიქტიას ოდნავ შეტოკებული გული საბუღარშივე დატოვა.

ქალიშვილი ერთხანს ფანჯარასთან იდგა, მერე მან ნერვიულად წინ და უკან დაიწყო სიარული. ვერაფერი მოეფიქრებინა ისეთი, რაც მღელ-ვარებას შეუნელებდა.

უახლოესი მეზობელი მართალია შორს იყო, აი იმ გორაკის გადაღმა, მაგრამ ფიქტიამ იცოდა, თავისით არავინ მოეშველებოდა, რადგან არავინ იფიქტებდა თუ დღეს ჯიბი ზღვაში გავიდოდა.

ახლა მამა წარმოესახა გარკვევით. ისე გარკვევით წარმოესახა მამა, რომ კინაღამ ხმამაღლა ლაპარაკი დაუწყო.

მოხუცი ჯიბი თითქოს აგერ თვალშინ იჯდა ბაბუკის სკამზე და ქათქათა თეთრ თმაწვერზე წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ბერიკაცი იცინდა და თან ეზოში იყურებოდა, სადაც დაჭერილი თევზები დაყარა. წვიმის წყლის ნაკადებს თევზები ისევ ზღვისკენ მიჰქონდა თითქოს.

ფიქტია უცებ გამოფეხილდა. თუმცა ამ წამიერმა მოლანდებამ ახლა იგი უკვე დასტურ შეაშინა.

ამ დროს სინათლეც ჩაქრა.

და საოცარი რამ მოხდა: სიბნელეში ფიქრიამ ქვეყანა თითქოს უკე-  
თესად დაინახა. ამიტომ უმალვე გამბედაობა მოიკრიბა.

მას გაახსენდა, რომ მეორე თახტში მამას საკუთარი ხელით აწყობი-  
ლი და გამართული პატარა სამოყვარულო რაღიომიმღები ჰქონდა, რომე-  
ლიც ბატარიებზე მუშაობდა.

ჯიბო ხშირად აჩვენებდა და ავარჯიშებდა ფიქრიას, თუ როგორ და-  
მყარებინა კავშირი ამ მიმღებით მამის გემთან ზღვაში.

ხშირად კარგადაც გამოუდიოდათ ეს.

რაღიომიმღებმა ბევრი იფხაუნა, მაგრამ ვერავისი ხმა გარკვევით  
ვერ დაიჭირა. ალბათ ბატარიები დაცლილი იყო, მაგრამ ფიქრიმ არ გა-  
მორთო მიმღების არაფრისმთქმელი ხმაური, რადგან ეს წრიპინი მაინც  
რაღაც ცოცხალი არსების როლს ასრულებდა.

ფიქრია იქვე საწოლზე წამოგორდა. მალე კიდეც მიეძინა.

\* \* \*

ძლიერმა ხმაურმა გამოალვიძა. შეცბა, გაიტრუნა და ყური მიუგდო.  
ხმაური, რომელიც რისგან იყო ვერ გამოიცნო, ალარ განმეორებულა. მაგ-  
რამ ახალგამოლვიძებული ფიქრია ჩაფიქრდა. გაისხენა წელანდელი წუთი,  
ალადგინა იგი და, როგორც ფირზე ჩაწერილი, სმენაში ხელმეორედ გაი-  
მეორა ის ხმაური.

გულმა რეჩხი უყო. წამოვარდა, ფანჯარას მიადგა. გარეთ ისევ მაგ-  
რად წვიმდა, ქარი თითქო ოდნავ მინელებულიყო, მაგრამ ტალღებაღქვა-  
ული ზღვა ისევ ისე უტევდა ნაპირებს.

ფიქრია აივანზე გავიდა. მარცხნით, ზღვის ნაპირს გააყოლა თვალი  
და უეცრად ელდა ეცა: კლდესთან ახლოს ნაპირზე გამოგდებული და ნა-  
ხევრად გადაბრუნებული პატარა გემის სილუეტი მოეჩვენა. იქვე  
ლურსმანზე ჩამოკიდებულ ლაბადას ხელი წატანა, მხრებზე მოიფინა და  
ფეხშიშველა უბედურების ადგილისაკენ გაიქცა.

მიჩოდდა, თან ხეშეშ სილაში ეფლობოდა ფეხებით. ქარი ჯერ კიდევ  
ისე ძლიერი იყო, რომ ფიქრია ძლივს მიარღვევდა მარჯვნიდან მოწოლილ  
ჰაერის ნაკადს.

აი, გემს მიუახლოვდა უკვე. იგი ცალ მხარეს გადაფერდებული და  
ნახევრად ხმელეთზე გამოგდებული საბედისწეროდ გარინდულიყო და  
ტალღების ცემაზე არც ინძრეოდა, არც უყრაღლებას აქცევდა არაფრეს.

ფიქრიას ძალა გამოელია, მუხლები მოეჭრა. წამით წარმოიდგინა  
ყოველივე. „მამა... მამაჩემო... დამეღლუპე ბაბაი“... — აქვითინდა ყრულ  
თავისთვის.

გემში სიცოცხლის ჭაჭანება არ ივრძნობოდა, არსაიდან ჩამიჩუმი  
არ ისმოდა.

წვიმისა და ქარს ვეღარ გრძნობდა ფიქრია. აღარც ზღვის ჭრილი ეყურებოდა. დედამიწა თითქოს გასუსულიყო და ფიქრიას გზას უთმობდა, რათა პირველს ეხილა თავსდატეხილი უბედურების საშინელი შედეგი. ქალიშვილი არასოდეს თავის სიცოცხლეში არ აღმოჩენილა ასეთ ვითარებაში.

— მამა!.. მამა!.. მამა!.. — სამჯერ სასოწარკვეთით შეჰქივლა ფიქრიამ, წამით შედგა და პასუხს ყური მიუგდო. ამაოდ. ხმა — არსაიდან.

„ერთი ვინმე ცოცხალი მაინც გადარჩენილიყო“ — გაუელვა გულში და გაშემდა, — არ იქნა, ფეხი ვეღარ მოინაცვლა.

უცრად მის წინ, თითქოს მიწიდან ამოძრაო, კაცის ლანდი აღიმართა.

— არ შეგეშინდეს... დავილუპეთ... — ნაბალადევი სიმშვიდით წირმოთქვა უცნობმა.

— მამაჩემი სადაა?! — მიახალა ფიქრიამ.

— ვინ?

— ჯიბოა მამაჩემი.

— არ ვიცი, გოგოვ, ჩვენ დავილუპეთ... ისინი გადახტენ. ფელუკაზემია, მე დავრჩი... — უფრო მიუახლოვდა ქალს უცნობი, — ჩვენებური ყოფილხარ...

— ბაბაი დამეღუპა და ესაა, — თავისთვის ჩაიგმინა ფიქრიამ. მერე კვლავ უცნობს შეუძახა: — სადაა მამაჩემი. ჯიბო, იცი ჯიბო?

— არა, ასეთი ვინმე ჩემთან არ ყოფილა... — დაამშვიდა უცნობმა. — სახლი თუ ახლოს გაქვს, წამიყვანე, გოგოვ, სველი ვარ და სხეულიც მტკივა.

ეს გემი სხვა ყოფილაო, — გადაწყვიტა ფიქრიამ, ოდნავ შვება ივრძნო და უცნობს სახლისაკენ წაუძღვა.

— ცოტა ფრთხილად, აქეთ ძინავთ, — უთხრა უცნობს ისე, რომ სახეზე არც შეუხედავს, ლაბადა მოიძრო, ლურსმანზე ჩამოჰქიდა, კარი შეაღო და სტუმარს შეუძღვა. უმაღვე გაახსენდა სინათლე არ იყო, არც ასანთი ახსოვდა სად იდო, არც ძეველი ლამპა იცოდა ალაგობრივად, არც იმაში იყო დარწმუნებული შიგ ნავთი თუ იქნებოდა, არც სანთელი ეგულებოდა არსად. სწრაფად გამობრუნდა უკანვე, უცნობს აიგანზევე ვამოუსწრო, იგი უნებურად შეაჩერა, მაგრამ ეს ძალიან ეუხერხულა და ფეხებზე დაიხედა, აქამ და ტალახიანი ვარო. სახურავიდან ჩამომდინარ წყალს შეუშვირა ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი, თავისთვის ჩაილიმა და (ლმერთო, რა დროს უშველე!) უცებ იფეთქა შუქმაც.

უცნობი მართლაც უცნობი აღმოჩნდა. სველი, ნახშირში ამოსვრილი, მაზუთიანი, სისხლით მიმოთხუნული, დაღრეჭილი. რომ იტყვიან, სული კბილით ეჭირა. ეს კი შენიშნა ფიქრიამ, რომ კაცი ახალგაზრდა იყო, სა-

შეუალო სიმაღლის, შავგვრემანი და, წარმოიდგინეთ, საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობის.

ოთახში რომ შევიდნენ, ორივეს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. მთელი მორევი დადგა, იატაკი სულ დასველდა, კედლებსაც შეეშეფა წვეთები. არ ციოდა. ზაფხული იყო. მაგრამ ამათ ორივეს უკვე სციოდათ.

— დაჯერით... ჰო, აქა. ნუ გერიდებათ... დაბრძანდით... არა, მოიცაო, რამე გამოსაცვალს მოგიტანთ. ნუ გრცხვენიათ, რა ვუყოთ, ყველაფერი მოსალობრელია ჩვენს თავზე. არ გინდათ? რაო ვითომ, ბეჭვიც მშრალი არა გაქვთ და... ამ წუთში, ამ წუთში.

გავიდა, მალე დაბრუნდა. მამის ძველი შარვალი და ღაზლის ხალათი შემოიტანა. სკამზე დაუწყო.

— როგორმე მოირგეთ, მშრალია, მაინც კარგია. მე ახლავე მოვალ, ცეცხლს დავანთებ... — უცნობი უცნაურად და უცრად დამუნჯდა. რად ჩაუვარდა ენა მუცელში, რა დაემართა ამ უბედურს ნეტავ? რავა გამწვანებულა ამხელა ხრენგი ბიჭი, რავა ჩამოუყრია ყურები? არა, ისე ლამაზი ბლაუვია ეს ვიღაცაა.

— ოღონდ ნელა, ჩაუმად. იქით ძინავთ... — კიდევ ერთხელ გააფრთხილა და კარებს მიეფარა. ეზოდან მკლავისმოდება ნაფოტები რომ შემოიტანა, უცნობს უკვე გამოეცვალა სამოსი. მალე ბუხარში ცეცხლი აგიზგიზდა, სკამებზე გადაკიდებულ სველ ტანსაცმელს ოხშივარი ავარდა.

ცოტა რამ საღილის მონარჩენი დაალაგა ცაცხვის ხისგან გამოთლილ ქველებურ ტაბლაზე, რომელიც ბუხართან მიაჩინა, ბოთლი არაყიც მოიტანა და სტუმარი მიიპატიუა. არაყი ჯერ თავად დაისხა, მერე მოსულს გაუვსო პატარა ჭიქა.

უცნობი მთელი ეს ხანი გაუნძრევლად იჯდა ზურგით ბუხრისაკენ, თავი ჩაღუნული ჰქონდა, მხრებით თითქოს ოდნავ კანკალებდა. გარკვევით შენიშნა, — უცნობი ქვითინებდა.

ეს აღარ ესიამოვნა ფიქრიას. ქვეყნად ყველაზე საშინელი სურათი მამაკაცის ტირილიაო, უთქვაშს ხშირად. წაუხდა გუნება, გული მოეშხამა, ოდნავ დამშვიდებული სული ისევ აემღვრა. ეს ქვითინი ახალი უბედურების მაუწყებლად ჩათვალა. ყოველივე ამას რაღაც კავშირი აქვს მამაჩემთან. არა, მამაჩემი აღარაა, — ტრაგიულად ასკვნიდა თავისთვის გულში და სწრაფად, გახდილ სველ ტანსაცმელივით, ძირს ჰყურიდა თავის წელანდელ შემართებას, გულადობას, ფხიანობას, სიმხნევეს.

ეს თითქოს კარგად იგრძნო სტუმარმა. თავი წამოსწია, თმები ხელით უკან გადაიყარა, სუფრას გადახედა, სუსტად გაიღიმა, კმაყოფილი და მაღლიერი მზერა შეანათა ფიქრიას და ბავშვივით წაილულლუდა:

— რათ შეწუხდით... დანა პირს ვერ გამიხსნის. დამეღლუბა უკვე ლაფერი.

ფიქრია ისევე მომაგრდა ოდნავ.

— ძალიან გთხოვთ, ნუ წუწუნებთ ამდენს. არაყი მოგიხდებათ, ვა-გათბობთ. — ჭიქა ხელში შეაჩეხა. — ჰო, სახელი თქვენი შეიძლება?

— მე ნაზიმი მქვია... — გადაპერა არაყი. — ჩემი იმედი ეს ფელუ-კაი იყო. ამით მეწადა ცხოვრების დაწყობა. ყველაფერი გავყიდე და შარ-შან ეს ვიყიდე... ქარი რომ ამოვარდა, ყველა საშველად მოსულ დიდ გემ-ზე გადავიდა. მე რაფერ მიმეტოვებინა... ეს ჩემი იყო. ახლა რაღა მეშვე-ლება. — მოთქვამდა ნაზიმი.

ალბათ ამოდებს ამ უბელურს; დაეჭვდა ფიქრია და კვლავ შეწუხდა, მოუსვენრობა დაეტყო.

— სად ვარ, სად მომაგდო ქარაშოტმა არც ვიცი. ღმერთმა ხეირი არ მოვაკლოთ. თქვენ რომ არა, მოვკვდებოდი. ისე ჩვენიბურები ყოფილ-ხართ და...

კუთხეში ჯიბოს ნახელავი რადიომილები აჩხაკუნდა. ახლა გაახსენ-და ფიქრისა, ჩართული რომ დაეტოვებინა. ალბათ სულ გამოიფიტებოდა ბატარიები ამდენხანს.

გარედან დიდი ხმაური აღარ ისმოდა. ეტყობოდა ქარი ჩამდგარიყო და წვიმაც შენელებულიყო. მხოლოდ ზღვის ტალღების შხუილი ისევ და ისევ არ კლებულობდა.

— როგორც ვატყობ, თქვენ აქაური არ უნდა იყოთ, — ეჭვი გამო-თქვა ფიქრიამ.

— რაფერ აქავრი? აბა სადავრინა ვიყო... არა, ართვინელი კი ვარ. მარა აქეთ ზღვისკენ გადმოვსახლდი, ყველა ლაზივით მეც ბედი ზღვას მივანდე. ეს ოხერი ფელუკა შევისყიდე და თრაფეზონში... — უცებ ოთახის კედლები შეათვალიერა. ერთგან ჩარჩოში ჩასმულ წვეროსანი, მელოტი კაცის პორტრეტზე შეაჩერა მზერა. — ბაბაია თუ ბაბუა? — ახლა უკვე აშკარა ღიმილით შეეკითხა ლამაზ მასპინძელს.

— ერთი თქვენც. მასხრობისთვის გცალიათ? ლენინი ველარ იცანია თუ? — ოდნავ გაჯავრებით გაეპასუხა ფიქრია.

— ლენინი? კი მარა, ვინ ხართ? კომუნისტები? არ ვეშინიათ მერე? რომ გაგიგონ, ხომ დაგევსოთ ოჯხი?

ახლა უკვე მოულოდნელად და საბოლოოდ დარწმუნდა ფიქრია, რომ ნაზიმი, ღამის ეს უცნაური სტუმარი, სხვა არავინაა, თუ არა საზღვარგა-დალმიდან ქარის მიერ შემთხვევით გამოლმა ნაპირზე გამორიყული კაცი: რომელიც ჯერ ამას ვერც კი მიმხვდარა.

არ უნდოდა უცებ მიეხვედრებინა ეს, თუმცა აშკარად ნერვიულობ-და, ადგა, გარეთ გავიდა, ზღვას გახედა. წვიმა თითქმის სულ შეწყვირი-

ლიყო. დასავლეთისაკენ ერთ ადგილას ცა გალებულიყო და ძლივს მბეჭდული ტავ ვარსკვლავს ზღვა წვრილი, ყვითელი ძაფით გადაეხაზა.

განთიადი მოახლოებულიყო.

მობრუნდა, სტუმარს ლოგინზე მიუთითა, თავად კი ფეხაკრეფით მეორე ოთახში შევიდა.

\* \* \*

დაძინების იმედი მაინცდამაინც ალარ ჰქონდა. ბალიში წამოსწია და თავი ისე მიდო, უნდოდა ფანჯრიდან გარიყრაეს მიერ ბრეშად შეღებილი ზღვისოვის ეცირა.

მაგრამ მაინც თავისი უცნაური სტუმარი აგონდებოდა.

ალბათ შენიშნეს — ფიქრობდა ქალიშვილი — როცა გრიგალი აქეთ მოდენიდა მეთევზის სეინერს, ალბათ შენიშნეს მაშინ. ალბათ დილით მოაკითხავენ, წაიყვანებენ, გამოკითხავენ, გასინჯავენ, გამოარკვევენ, შეისწავლიან, მოუსმენენ, დაასკვნიან და დააბრუნებენ.

არა აქ არაფერია საგანგაშო. უბრალოდ სტიქის ბრალია. ალბათ კი-დეც მიეფერებიან ამ ბიჭს, ხელს მოუმართავენ, დაეხმარებიან.

ჩვენებური ყოფილხარო, მითხვა და გაუხარდა. „ჩვენებური?“.... პირიქით — თავად ყოფილა ჩვენებური. მაგრამ არა, მომასწრო, — ჩვენებური ყოფილხარო. მას კიდევ იქით ჰერინია თავი. ის არ იცის, რომ აქ არის და არც თვითონაა ჩვენებური და არც მე. უფრო ბევრი ხომ აქეთა ვართ? ჯერ თითქოს ძალიან საცოდავი ჩანდა, შესაბრალისი და საწყალი, მერე გაიმართა, ამოძრავდა, გამოფხიზლდა, თვალები გაუნათლდა.

პო, დილას თუ მოვიდნენ, რას ითიქრებენ. მთელ სახლში — მე და ის. რაც გინდა ის ითიქრონ, ოღონდ წაიყვანონ, მალე მომაცილონ და მომასკვნონ.

წაიყვანონ? მომაცილონ? აბა, აბა გულო, ცოტა მშვიდად იყავი... რაო, საიდან ჩამოვედი ზღვისპირასო? პო, ართვინელი ვარო. სეინერი უყიდია ბიჭს, ოქროს თევზის დაჭერა სურდა ალბათ. იტირებდა მე გეტყვი, არა, კაი ბიჭია ეს ოხერი...

\* \* \*

გათენდა, გატიალდა. ცა ღრუბლებით იყო დატვირთული, მაგრამ ალარ წვიმდა. ქარი კი მაინც უსტვენდა ფოთლებში, ტოტებში, სახურსვის განაბზარებში, ხოლო ტალღები, თითქოს მთელი ღამის მუშაობით დაღლილიყვნენ, ზანტად და ღუნედ იშლებოდნენ ქვიშიან ნაპირებზე.

ჯიბოს სეინერი არსად ჩანდა.

ღუნებში არავისი ხმა არ ისმოდა. დატბორილი მიწა, ქარის ჩამოვრეჭილი და მიმოფანტული ფოთლები, გადაწვენილი და ამოგლეჭილი ხეები, რასაც კიდევ ხმელეთზე გამორიყული ეს უცხო სეინერი ემატე-

ბოდა, გულისამჩუყებელ და სევდისმომგვრელ სურათს წარმოადგენდა. შფოთიან ლამეს და უძილობას ფიქრიას სახეზე თავისი კვალი დაეჩნია. მაგრამ ქალი თავს ძალას ატანდა, ცქვიტად დასრიალებდა, სახლს, ფრთხილად ალაგებდა.

ყვითელი ნაქსოვი კაბა ჩაეცვა, თმის ნახვევი, რომელიც ორნავ მოშლოდა, შეესწორებინა და შეემაგრებინა, ფეხზე უჩულქოდ ტუფლები ჩაეცვა და ფეხისწვერებზე შემდგარი აიგანზე გამოსულიყო. კარის ფარღლალოში ოვალი გაექცა, წამით მზერა მოავლო იქითა ოთხს. იგი, ნაზიმი, პირამდა იწვა, მკვდარივით ეძინა. ყელი გალელილი ჰქონდა და ცალი ხელი პირდაპირ იატაკზე გადმოეშვა.

ფიქრიამ გადაწყვიტა ფოსტაში გაჩეულიყო. ფოსტა საკმაოდ შორს იყო. მაგრამ ჯობდა მაინც იქ მისულიყო, იქიდან ქალაქში, დიდ ნავსადგურში დაერეკვინებინა, მამის ამბავი გაეგო და სტუმრის გალვიძებამდე როგორმე უკან დაბრუნებულიყო.

ცეხის წვერებზე ჩაიარა კიბე. ეზოში წამით შეჩერდა, თეალი მოაკლო იქაურობას, თითქოს ირგვლივ ყველაფერი ეუცხოვა. ეწყინა, მაგრამ ეს არაფერიაო, თავი დაიმშვიდა და აღმა აივნისაკენ აიხედა, მძინარე ნაზიმის სახემ გაუელვა თვალწინ, რატომდაც იდუმალი ცხელი ზვირთო დაეჯახა გულს და მთელ სხეულს ულმობლად მოედო.

ივი მოწყვეტით გაიქცა. თანდათან უმატებდა სირბილს, თითქოს თავისთავისაგან გაქცევა სურდა.

წვიმით გარეცხილი აღმართი გზა კონვეიერის ცარიელი ლენტივით მისრიალებდა ფეხევეშ.

ფიქრია ფართო შარაზე გავიდა, ნაბიჯს უკლო, ერთხელ კიდევ გადახედა თავის სახლს და ერთხელ კიდევ უნებურად შეუტოკდა გული.

ფოსტის ორთვალიანი ფიცრული ზედ გზასთან იდგა. შიგ არავინ იყო. ყურმილი ცალკე იდო, ტელეფონი ღუმდა.

ჭორფლიანი ხმელი ბიჭი მალე შემოვიდა, ფიქრიას დანახვაზე რატომდაც ლოყები შეუწითლდა, მიესალმა, ყურმილი ჩამოკიდა, ზაფრანისფერ ყვითელ ქოჩორზე ხელი გადაისვა და, ხაზები დაწყვეტილიაო, საგანგებოდ განაცხადა.

— ჴო, თქვენ ფიქრია ხართ, ჯიბო ბიძიასი, არა? — გაახსენდა რაღაც ბიჭს. ფიქრია გაისუსა, გული ძალუმად აუჩქროლდა და ყველაზე ცუდი ამბის მოსასმენად მოემზადა.

კი, მე ვარო, მიაგება პასუხი, რადგანაც ბიჭმა სათქმელი შეაგვიანა.

— დღეს იალონზე წამოვიდა ფოსტალიონი თქვენთან. შუალამეზე, სანამ ხაზი იყო, ქალაქიდან დავვირეკეს. ჯიბო ბიძიას სეინერი დიდ ნავსალგურში შეუყვანით. ყველაფერი რიგზეა, ფიქრია არ შეშინდესო.

— მერე რატომ არავინ არაფერი მითხრა? — სიხარულში სიბრაზე გაურია ფიქრიამ.

— თქვენთან მომავალმა ფოსტალიონმა საზღვარგარეთული სეინერი დაინახა თურმე გამოვლებული და სწრაფად დაბრუნდა, ქალაქში გაიჭედა, რომ იქ შეატყობინოს.

— მერე? — რაღაც უნდოდა ეთქვა ფიქრის, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია და გაბრუნდა.

\* \* \*

კიბეჭე ფრთხილად ადიოდა, მაგრამ ოთახიდან გარკვევით მოესმა ფეხის ხმა და ამიტომ თავადაც ალარ მოერიდა ხმაურს.

სტუმარი ამდგარიყო, გამშრალი, დაჭმუჭნილი ტანსაცმელი ჩაეცვა, კარი გაეღო და ოთახში ნელა ბოლთას სცემდა.

ფიქრია ოდნავ შემკრთალი და დაბნეული მიესალმა.

ნაზიმმა თავი დაუკრა, კარებს მოადგა და ფიქრის თვალებში ჩაშტერდა.

— მე ახლა ყველაფერი ვიცი, სადაც ვარ... მალე დამიჭერენ? — გაბზარული ხმით იკითხა მან.

— რატომ უნდა დაგიჭირონ, ნაზიმ? ნუ გეშინიათ. თქვენ ჩემთან ხართ... ეს ჩემი სახლია. თქვენ ხომ ჩვენებური ხართ?

— თქვენი სახლია? რაფერ, აქ საკუთრად სახლები აქვთ თუ?

— აბა როგორ!

— არა, მაგი არ მჯერა. მე დიდი ხანია კარგად ვიცი: აქ არავის არაფერი საკუთრის არა აქვს. შვილიც რომ იბადება, გართმევენ, მიყავთ. ასე არაა?

— არა, ნაზიმ, არაა ასე. — თითქოს ემუდარებოდა, ისე პასუხობდა ფიქრია.

— ასე ჩვენებურად, ქართულად გალაპარაკებენ? თუ ეს მარტო შინაურობაში? — კითხულობდა ნაზიმი.

— რა საცოდაობაა! მე, პირიქით, მიკვირს, თქვენ როგორ ლაპარაკობთ ჩვენებურად, საიდან შეინახეთ, როგორ გადაარჩინეთ ენა, თორემ აქა, საქართველოში, ჩვენ აბა სხვა ენაზე ხომ არ ვილაპარაკებთ.

— დასტურ? არ ვიცოდი.

— ომ, ეს მაწუხებს ძალიან, რომ არ იცოდით. რომ არ იცით... ალბათ იქ ბევრია ჩვენებური, მაგრამ რად გინდა. სხვის ხელშია, დაკარგულია.

— ეჲ, მაი ვინ იცის, ვინ ვის ხელშია.

ფიქრია გაჩუმდა, თითქოს რაღაც არ მოეწონა, შეკრთა, ოდნავ შეშუოთებული თვალები ნაზიმის სახიდან მის ხელებზე გადატანა. დაძარ-ლვული, გრძელთითება, დაკაწრული და ერთი შეხედვით დაუხეშებული ხელები მაინც ნაზი სიმშვილით დაყრდნობდნენ აიგნის მოაგირს. ხელუბსაც თითქოს თავისი სახე ჰქონდა, თავისი გამოხედვა, თავისი

სეულა.. ამ სწორედ ის დამალული სევდა თავისკენ ეწეოდა ფიქრიას, ზაგრძოლას, გაგებას, შებრალებას თხოულობდა.

— ბუქსირი რომ გამიყვანდეს ზღვაში... — თქვა დალვრემილმა შეთვეუწევ. იგი თავის გამოჩიყულ სეინერს გაჰყურებდა. მცირე ჩაფიქრების შემდეგ ისევ ფიქრიას შემოხედა.

— რამდენი რაცხა მქონდა გადაწყვეტილი. ერთი წელიწადი დღე-ლამე უნდა მემუშავა და ცოტა ფარა შემექრიბა, რომ...

— ცოლი მოგეყვანა, არა?

— ჲო.

— დანიშნული გყავთ?

— არა. ცარიელი ჯიბით ვის დანიშნავ?

— გული იყოს სავსე, თორემ... — სერიოზული მსჯელობა დაიწყო ფიქრიამ.

— გული. გული ვის უნდა. — ჩიოდა ნაზიმი. — წავალ, ჩემს გემს ჭრილობებს გაეუსინჯავ, — თქვა და კიბეს დაუყვა.

— საუზმე? ოჯ, მოიცათ, რამეს მოვამზადებ, — იუხერხულა ფიქრიამ.

— ახლავე ხომ მოვბრუნდები? სადღა წავალ აბა. წამოდით, თქვენც მომებმარეთ, იქნება...

— მოვდივარ, მოვდივარ, — არ დაასრულებინა ფიქრიამ სტუმარს სიტყვა. ეზოში ჩასულს დაეწია და გვერდით გაჰყვა.

ნაზიმმა სეინერს ირგვლივ შემოუარა, შეათვალიერა, გასინჯა, მერე ზედ ავიდა და ფიქრიაც მიიპატიყა. პატარა კაიუტის კარი ძლივს გამოაღო.

— ესეც ჩემი სახლი. მიხარია, ჩემს სახლში რომ მოგიყვანე, ფიქრია.

ეს რაღაც სხვანაირი ნათქვამი აღმოჩნდა. შეიძლება ნაზიმს არც მიუკრებია ნათქვამისათვის განსაკუთრებული ყურადღება და არც იმხელა აზრი ჩაუდგია შიგ, მაგრამ ფიქრიასთვის ეს ერთი ფრაზა მრავალმნიშვნელოვნი იყო.

კაიუტაში, საწოლის ზემოთ ხის მოყვითალო კედელზე დეკოლტიანი და ლილრონთვალება ქალიშვილის პორტრეტი გაეკრათ. მაღალი მეტრი კაბიდან სანახევროდ გაღმოხეთვილიყო, მაგრამ გოგო თითქოს ცდილობდა უფრო მეტად გამოეჩინა სიშიშვლე.

ნაზიმმა შენიშნა, როგორ შეახერა ფიქრიამ იმ სურათზე თვალი.

— ტრაპიზონში კაფეში მღერის საღამოობით. — ნაზიმმა საჭიროდ ჩათვალა განემარტა. — მე ის უფრო მეცოდება, ვიდრე მომწონს. ლაზურ სიმღერებსაც მღერის. ჰო, ლაზი გოგონაა, მამა მეთევზე ყავდა.

ერთ საღამოს ბოლაზიდან ქალაქში ბრუნდებოდნენ მამა და ქალიშვილი. ნასვამი ამერიკელი მხედარი გადადგომია, ამ გოგონასთვის ხელი შემოუხვევია უსირცხვილოდ და ძალით დაუპირებია მანქანაში შეთრევა.

მეთევზე ანთებულა, დაჯახებია ამერიკელს და ერთი გარტყმით მცუდარის ვით დაუგდია ძირს. ეტყობა მანქანაში სხვებიც იყვნენ. გოგონა კივილით მივარდნილა სახლში. როცა წასულან, გზაზე მოკლული მამა უნახავთ. დე-და იმ დღიდან ჭიუაზე შერყეულა. პოდა, ეს ქალიშვილი დარჩა ოჯახში მხოლოდ. ახლა ღამის კაფეში დადის, — ავადმყოფ დედას უვლის და თაგს ირჩენს.

— საწყალი! — აღმოხდა ფიქრის.

— მე შენ ძალიან მომწონხარ, ფიქრია. — მოულოდნელად წაიჩურ-ჩულა ნაზიმა. იგი ქალიშვილს ვერ უყურებდა პირდაპირ, ზღვისკენ მიბრუნებულიყო და საღლაც სივრცეში ნაცრისფერ უსასრულობას მის-ჩერდებოდა.

— ნუ მეტყვით ასეთს... — მწუხარედ უთხრა ფიქრიამ, — გული მე-ტკინება, ნუ მეტყვით.

თვითონაც უკვირდა ფიქრის, რამ მოტეხა ასე, რამ დაუჩვილა გუ-ლი, რამ შებორკა. რატომ ისე, როგორც სხვა მრავალს, წინანდებურად რიჩით და მტკიცედ ვერ მოუჭრა ამ ბიჭს სიტყვა, რატომ დაჭყვა. რატომ მოუსმინა მშვიდად, რატომ გაულო გული, რატომ შეუშვა შიგ, რატომ?

— მივიდეთ სახლში. — უთხრა ვაჟს.

— ჩემს სახლში? — ლიმილით მიუთითა ნაზიმმა თავის პატარა გემ-ზე.

— ორივე ჩვენი სახლია. — წამოცდა ფიქრის და უმალვე ტუჩი მოიკვნიტა. თავისითავი დატუქსა ასეთი დაუფიქრებელი და ნაჩქარევი სიტყვის გამო. მართლაც, რა დაემართა, როგორ უეცრად შეიცვალა. სად გაქრა ძველი სიმაგრე, სიფხიზლე, თავმოყვარეობა? ვინმე სხვა ხომ აო შეიპარა მის სულში, ჩაჯდა იქ და ახლა თავის ნებაზე ხომ არ მართავს ფიქრიას ყოფაქცევას?

ნაზიმმა ხელი მოკვიდა მკლავზე, ახლოს მიიჩიდა ქალი და ნელა წა-იყვანა სახლისაკენ. ფიქრის წინააღმდეგობა არ გაუწევია, მკლავი სულ მთლად მიანდო და შიშველი იდაყვით, რომელიც ვაჟის მკერდს ეხებოდა. გარკვევით იგრძნო უბედური მეთევზის აჩქარებული გულისცემა.

ზღვის კენჭებს სასიამოვნო ხაჭუნი გაპქონდათ ფეხებქვეშ. ორივე დუმილით მიაბიჯებდა, მაგრამ ამ უხერხულ სიჩუმეს თითქოს კენჭების ხმაური ავსებდა. ნაზიმი უცებ შეჩერდა, დაიხარა და კაკლისოდენა ნაცრისტები კენჭი აიღო. კენჭი რამდენჯერმე ხელში შეატრიალა. მაღლა ასწია და ცალი თვალით შიგ გახედა, ტუჩზე მიიღო, სული ჩაბერა. შემ-ღეგ ფიქრის აჩვენა. ქვას პატარა ნახვრეტი ჰქონდა. იგი ახელილ თვალს ჰგავდა. მოთელი ქვა ისეთი გლუვი და ხაზებით აჭრელებული იყო, რომ ფანტაზიის მქონე კაცი მას რომელიღაც ძველხეთური ღმერთის სახეა მიამგვანებდა.

- ეს თილისმაა, რაცხას კარგს ჩავუთქვამ და გაჩუქებ. ფიქრიამ ქვა გამოართვა, თვითონაც შეათავაშა ხელში და ნაზიშს მაღლობა გადაუხადა.
- შევინახავ, ვნახოთ რა სურვილი ჩაუთქვით.
- ნეტავ ახლავე თქმა შეეძლოს. — უპასუხა ნაზიშს.
- მოვუჭერ ხელს მაგრად, გათბება და იტყვის.
- იცით რას იტყვის?
- ჰო...

— შენ, ფიქრიავ, მართალია, მე ქვა ვარ, მაგრამ მაინც ვხვდები. რომ ნაზიშს ძალიან უყვარხარ, შენ კი, ფიქრიავ, როგორ ვერ გაიგა ეს? ფიქრიამ ცუდად იგრძნო თავი, თუმცა არ შეიმჩნია. დინჭად გაავრძლა გზა. გული ვითომ ისე გაუფართოვდა, თავის ადგილას ველას ჩატია.

ქალიშვილი ამას არ ელოდა. ის არ იყო ამისათვის მომზადებული. ის უკეთ ფარხმალდაყრილი აღმოჩნდა, თითქოს ალყაშემორტყმული იყო ყოველი მხრიდან. მას გული დაეწურა, აუჩუყდა, ტირილიც მოუნდა, მაგრამ გამაგრდა, თავი ასწია. ამჯობინა ეთქვა რაიმე, ისე ხუმრიბად ჩაეთ დალა უკველივე.

— მეც აი რას ვეტყოდი: ქვავ, ქვაგული უნდა გქონდეს. რომ...— მეტი ვეღარაფერი თქვა. მოულოდნელად ტირილი წასკდა. სახე ხელებში ჩარცო.

\* \* \*

ცზოში ჯიბო მოსულიყო, დამდგარიყო და გაოგნებული შეპყურებდა აქვითინებულ ქალიშვილს, რომელსაც უცხო ახალგაზრდა მოჰყვებოდა.

ფიქრია ადგილს მოწყდა, გაიქცა და შუა ეზოში მდგომ მამას კისერზე ჩამოეკიდა.

— არ შეგეშინდეს, მამა, არაფერია. შენ ხომ კარგად ხარ? ნუ მიყურებ ასეთი თვალებით... ეს ბიჭი ამ სეინერის პატრონია. ზღვამ გამორიყა წუხელ... იქაურია... ჩვენებურია, ბაბი. ნუ მიყურებ ასეთი თვალებით.

— ჩემი ბრალია. მარტო დაგტოვე.

ნაზიმი შორიახლო გაჩერდა. ვერ გაბედა ახლო მისულიყო. ჯიბოს ეუხერხულა, სტუმრის წინაშე მოიბოლიშა, თავადვე შეეგება და ხელი გაუწოდა.

ფიქრიაც ნაზიშს მიუახლოვდა.

— ეს მამაჩემია.

— ძალლივით მშია. — თქვა ჯიბომ, რათა უეცარი ღაძაბულობა გაეფანტა და გაიცინა. ფიქრია წამსვე მიტრიალდა, ეზო გადაჭრა და კიბე

აირბინა. ჯიბო მიხვდა, ფიქრია საუზმეს მოამზადებდა. ნაზიმი ეჭვით თავისული გალიერებდა მოხუცს, რომელიც ერთი შეხედვით რომელიღაც ნაცნობსა და ახლობელს მიამსგავსა, მაგრამ პირველ წუთებში რაღაც მაინც არ მოეწონა ამ კაცში.

ახლა კი თითქოს უნებურად უფრო შეეჩვია. მოხუცის იმ ერთად-ერთი გალიმებით შვება იგრძნო და გული გაუნათდა.

მზით გარუჯულ, ნაჟებიან, მაგრამ ენერგიულ და არაჩვეულებრივად ცოცხალ სახეს ნისლივით მოხვეული თეთრი თმა-წვერი განსაკუთრებით უხდებოდა. მოხუცი მეთევზე მაღალი იყო, მაგრამ მხრებში ოდნავ მოხრილი ჩანდა და ნაზიმს მოეჩვენა, თითქოს ჯიბო მხოლოდ ახლა მოიხარა მხრებში, რათა სტუმარი თავისი სიმაღლით არ დაჩაგროს.

ჯიბო დიდ მამაპაპისეულ ბუხარს მიამგვანა ნაზიმმა, ბუხარს, რომელსიც გეგონება ცეცხლი მიმქრალიაო, მაგრამ როგორც კი ნაცარს გაჩხრეკ, ღადარი და ნაკვერცხალი მოგეცეუნება.

\* \* \*

საუზმის შემდეგ, ცარიელი ჭურჭლით ხელში, ფიქრია დერეფანში გამოსულ მამას შეეჩეხა. თევშები უმაღვე იქვე ძველ მაგიდაზე შემოდგა. ჯიბო მიხვდა, ქალიშვილს რაღაცის თქმა უნდაო და მობრუნდა მისკენ.

— ბაბი, მაპატი... უნდა გითხრა: მან ყველაფერი გამიმხილა...

— რაი, რა გავიმხილა? მღუპავ? — შეიცხადა ბერიკაცმა.

— ნუ ლელავ, მამა. ნაზიმმა გული გამანდო...

მოხუცს უმაღვე გულმა უგრძნო, რასაც ნიშნავდა ეს, მაგრამ გაურკვეველმა იქვემა და შიშმა გული მაინც გაუცენწლა. დადუმდა, ჩაფიქრდა.

არა, ფიქრიას პირდაპირობა და გულასწილობა მისთვის მოულოდნელი არ იყო. მოულოდნელი სხვა რამ მოეჩვენა ჯიბოს.

— რა მინდა გითხრა იცი? თუ იქნება ის იყოს, თუ არა —არავინ.— მტკიცედ დასრულა ქალიშვილმა.

— შვილო სულ გეხვეწებოდი ვიღაცა ამოირჩიე-მეთქი. გულში არავის იყრებდი. ახლა რამ გადაგრია ასე. ხომ იცი მაგი სადაურია. ამას შენ არ უკვირდები?

— ეგ ჩვენებურია, ბაბავ. რა ვუყოთ, რომ მიწაზე საზღვარი გვყოფს. ხომ ხედავ, გულებს საზღვარი არ ჰქონიათ.

ჯიბომ ვერაფერი თქვა და თავზე ჭალარა ჯაგარი შეიჩიჩქნა, მწარედ გველიმა, ფიქრია შეათვალიერა თავიდან ფეხამდე, თითქოს უნდოდა ღარწმუნებულიყო, ნამდვილად ჩემი გოგოა თუ არაო, უსიტყვოდ მიტრიალდა და სტუმრის ოთახში შევიდა.

\* \* \*

ცაზე ღრუბელი გათხელდა, მზემ თვალი გამოაჭყიტა. მიწას რძის-ფერი ორთქლი ასდიოდა.

ჯიბომ ზღვაზე დიდი ნავსადგურიდან მომავალი ბუქსირი შენიშვნები იგი ჭერ ნაპირის პარალელურად მიღიოდა, მაგრამ დუბეს რომ გაუსწორდა. უცებ ცხვირი აქეთ მოაბრუნა და ჯიბოს სახლისაკენ გამოემართა. ყველამ იგრძნო, რასაც ნიშნავდა ეს.

სამივენი გამორიყული სეინერისაკენ წავიდნენ. მათ ისე ჩაათავეს კიბე, ისე გაიარეს ეზო და ისე მიადგნენ პატარა ხომალდს, რომ არც ერთს სიტყვაც არ დასცდენია.

ფიქრიამ ნაზიმის სახეზე შეშფოთება წაიკითხა. ბიჭი ჩქარობდა, ნერვიულობდა, მას თითქოს ფიქრიასთან განმარტოების იდუმალი სურვილიც აწუხებდა. იგი იქნებ მოსხლოებულ განშორებასაც გრძნობდა. უცები იგი სეინერზე ახტა, კაიუტის ლია კარებში შეიჭრა. და უმალვე უკან გამობრუნდა. ხელში ძაფის პატარა ნახვევი ეჭირა. ფიქრიასთან მივიღა.

— ეს ჩემი ნენეს დართული ღაზლაა. გაუყარეთ იმ კენჭს და ისე ჩამოკიდეთ სადმე. — ამბობდა ისე გაუბედავად, რომ გეგონებოდა, ხმა უკანალებსო. ქალიშვილი არც დაფიქრებულა, ხელი კაბის პატარა ჯიბეში ჩაიყო და ნაზიმის ნაჩუქარი კენჭი ამოიღო. ჯიბო გაკვირვებით შეპყურებდა ყოველივე ამას და ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა სინამდვილეში.

ამ ღრის ფიქრიას ქვა ხელიდან გაუვარდა. კენჭი პირდაპირ კენჭებში ჩავარდა. ქალიშვილი სასწრაფოდ დაიხარა, მაგრამ მიუხედავად გამალებული და თავგამოდებული ძებნისა, ნაჩუქარი თვალიანი ქვა ვეღარ მონახა.

\* \* \*

ბუქსირი ნაპირიდან ოდნავ მოშორებით შეჩერდა. დახვეული ტრო-ში ვიღაცამ ქვიშაზე ისროლა, შემდეგ წყალზე ჩამოშვებულ პატარა ნავში ორი კაცი ჩასხდა და აქეთკენ გამოსწიო.

— ვინ იცის მავისი ენა? — ჰყითხა ერთმა მათგანმა ჯიბოს.

— ჩვენებურია, ბატონო, ქართულად კარგად ლაპარაკობს. — გაეპასუხა ფიქრია.

— ნუთუ? — გაიოცა მეორემ.

— თქვენზე დახმარების გაწევა დაგვევალა. — ისევ მტკიცედ და ოფიციალური ტონით განუცხადა პირველმა ნაზიმს. როგორც ეტყობა, მისმა გამოცდილმა თვალმა აღრევე დაადგინა, რომელი იყო უცხოელი.

— საზღვრამდე ჩვენ მიგიყვანთ. იქ კი თქვენი ხელისუფლების რწმუნებული დაგხვდებათ.

— მე... — აქეთ-იქით თვალებს განწირულივით აცეცებდა ნაზიმი. — მე ჭერ არ მინდა წასვლა. აქ...

— ჩვენი ხელისუფლების რწმუნებულს შეუთანხმდა თქვენი... გელო-დებიან.

მეორემ ამასობაში გამორიყულ სეინერს ტროსი გამოაბა და ნაზიმიშვილის მიუთითა თავის გემზე ასულიყო.

ცოტა ხანში სეინერმა თავისი გაზეთილი მუცელი წივილითა და ჩა-  
უნით გაათრია ქვიშაზე.

ნაზიმი მაღლიდან გადმომდგარი, თვალცრემლიანი ფიქრიას უქნევდა  
ხელს. ქალიშვილი სეინერს ადვინებოდა.

— ფიქრია, მშვიდობით!.. აუცილებლად გნახავ... ერთი ქარიშხალი  
ხომ ამოვარდება კიდევ. — ამშვიდებლა მიმაგალი ნაზიმი.

ყველანი და ყველაფერი რომ თვალს მიეფარნენ, მაშინ ჯიბომ თეთრი  
ჯაგარი თმა შეიჩიჩქნა მარჯვენა ხელის თითებით და მდუმარედ გადა-  
ხედა ფიქრიას. რაღაცა უნდოდა ეთქვა ქალიშვილისათვის, მაგრამ სათ-  
ქმელს ვერ მიაგნო. მოხუცი ნელა წავიდა სახლისაკენ.

ფიქრია ნაპირზე დარჩა და ამ მილიონობით კერძში ნაზიმის ნაჩქა-  
რი იმ ერთის ძებნას შეუდგა.

ჯიბომ გვერდით ქალიშვილი რომ ვერ შენიშნა, უკან მოიხედა.  
უჩეულო, მწველმა ტკივილმა მეხის დაცემასავით ტანში გაუარა. ძალიან  
შეებრალა ფიქრია, მაგრამ რა შეეძლო, რით დახმარებოდა. არასოდეს  
არ უნახას თავისი ნაბოლარა, მაგრამ ყველაზე უფრო ამაყი, თავმოყვა-  
რე და ზოგჯერ ამპარტავანი გოგო ასე ჩაფიქრებული, ასე დასერიოზუ-  
ლებული და გულდაწყვეტილი.

ის კარგა ხანს ჩუმად შეჰყურებდა ფიქრიას და ათას რამეს იგონებ-  
და ცხოვრების ფერად-ფერად მოვლენათა ორომტრიალიდან. მრავალ  
განცდილსა და ნახულს ერთიმეორეს ადარებდა, ზოგიერთს კვლავ ამოშ-  
მებდა, წინიდა, რაღაცებს არჩევდა, აფასებდა, ორჭიოფობდა, სწყვეტდა.

თითქოს რაღაცნაირი მოულოდნელი სისუსტეც დაეუფლა მის წე-  
ულს.

არასდროს წინათ არ უგრძნია ეს და არც უფიქრია ამაზე. ახლა მუხ-  
ლებში ოდნავ მოეშვა. ეს უცაური და უსიამო ცვლილებები ასე ერთ-  
ბაშად მოხდა, ასე თავხედურად შეიჭრა მის სულში და ყველაფერს  
მოედო.

ყველაფერზე მეტად საკუთარი სისუსტის ეს უცაბედი, ჯიუტი შეგ-  
რძნება უთუთქავდა გულს. იქნებ ეს ფიქრიას დარდის თანაგრძნობამ გა-  
მოიწვია? იქნებ რითმე ასიმოვნოს ქალიშვილს?

— შვილო, მე ძველებურ ველარ ვარ. ზღვაში ხეტიალს ვანებებ  
თავს. მითხარი, ფიქრია, ქალაქშიც წამოვალ თუ გინდა, სადაც გინდა. ოლონდ...— ბუბუნა, გაბზარული, დადინჯებული ხმით უთხრა ჯიბომ.

— არა. არსად არ მივდივარ. ჩემი ალაგი აქაა. — ისე უბასუხა ფიქ-  
რიამ, თავიც კი არ აუშევია. ისევ კენჭებს ჩასცეროდა, იმ ერთს ეძებ-  
და.

ფრერის ამ მტკიცე და მოულოდნელმა განცხადებამ თითქოს გამოცვალა და ახალი ენერგია შემატა ბერიკაცს. არა, მაინც ის აღარა ვაჩ, რაც ვიყავი. — ისევ მწარედ ფიქრობდა ჭიბო თავისთვის, და ადგილზევე ტრიალებდა ბუზლუნით, როგორც ტაბიკგარეხილი უღლიდან გამოვარდნილი ხარი.

მაგრამ მისი მეცნიერად მოხაზული უზარმაზარი და მძლავრი ფიგურა მაინც შთამაგონებლად აღმართულიყო მიწის, ზღვისა და ზეცის ერთან ფონზე. თითქოს მის მაღალ ტანს, რომელსაც ჭილარით განათებული თავი თოვლიანი მწვერვალივით დაპნათოდა, წაეშალა ყველგან ყოველი საზღვარი.



## დ ე დ ა

აქედან მოჩანს უფრო ადვილად  
 ცედლები ჰველი ნარიყალასი.  
 როგორ უხდება, ღმერთო, ამ დილას  
 ცერი გაჩენის დღისებრ ხალასი!  
 მაღლი შენ, მაღლი, მიწავ წმინდაო!  
 მღუმარედ გიცერ შენი შობილი...  
 როგორ უხდება მზიან მიდამოს  
 სილურჯ ცისა პირველყოფილი.  
 ცად აღმართული დგას ქართვლის დედა  
 ბასრი მახვილით და თასით ხელში.  
 ახლა ცის ფონზე მხოლოდ მას ვხედავ  
 და ახლა მკლავიც და გულიც შერჩის.  
 მე ვხედავ დედას, ოვითეულ დედას —  
 კერის სინათლეს და კერის სითბოს.  
 ჭოა, დედანო, დიდება თქვენდა,  
 თქვენ შეუნახეთ მომავალს ხეითო.  
 თქვენ შეუნახეთ ფუძე ურყევი,  
 ნაღვერდალი და ცისფერი კვამლი,  
 სული ამაყი და მოუღლელი  
 და წარუშლელი წინაპრის კვალი.  
 ჩვენ გვიყვარს დედა, აკვანს რომ არწევს,  
 დედა, ხელგაშლით სტუმარს რომ ხვდება,  
 და ყოველ სიტყვას ფაქიზად ნაწერს  
 და ოვით დუმილსაც მივუძღვნით დედას.  
 დედის მაღლია მიწის ბარაქა,  
 ყანის ბიბინი, ბალის შრიალი.  
 და გვიყვარს დედა — გმირს რომ არა ჰგავს,  
 უბრალო ქალი თავსაფრიანი.  
 ჩვენ ხშირად დედას სიზმარში ვხედავთ,

მოგვეფერება და გული გვერჩის.

ცალ აღმართული ღგას ქართვლის დედა  
 შასჩი მახვილით და თასით ხელში.

## ვ ე რ

მხოლოდ შენი სიხარული მახარებს,  
 მხოლოდ შენი დალონება მალონებს,  
 მიწას შენი სიყვარული მაყვარებს  
 და ვპოულობ — მხოლოდ შენთვის — საპოვნელს.  
 და არ მჯერა ქვეყნის ფერისცვალება,  
 ნოემბერში ყვავილებს რომ გათიბავს —  
 ვით იცვალონ ფერი შენმა თვალებმა  
 ან ტუჩებმა მოხაზულმა ნატიფად.  
 არ იქნება და არ მინდა მჯეროდეს,  
 რაც ამ ქვეყნად, ვიცი, გარდუვალია.  
 მინდა გული მუდამ ასე მღეროდეს —  
 გრძელით სავსე თასი ჭერ ვერ დალია.  
 მაგრამ ცივი ქარი მაინც დაბერავს,  
 გათეთრდება მიწა, ვარდით ნაქარგი.  
 და მე ვხედავ ჩასაფრებულ ფათერაკს  
 და მაწვალებს ფიქრი შენი დაკარგვის.  
 ჭერ კი შენი სიხარული მახარებს,  
 მხოლოდ შენი დალონება მალონებს.  
 მიწას შენი სიყვარული მაყვარებს  
 და ვპოულობ — მხოლოდ შენთვის — საპოვნელს

## ვ ე რ ი ს ც ვ ბ ლ ო ბ

ქარი მოვარდა, როგორც მდევარი,  
 დააცხრა ხეებს, ვით მოძალადე  
 და შეთვალული ყურძნის მტევანი  
 აშლილ ფოთლებში გამოანათებს.  
 თვალი ვერ ძლება ვაზის ყურებით —  
 ვარდისფერ მარცვლებს სხივები ლანდავს.  
 გადაიფრენენ მოლალურები  
 და მაღალ ცაცხვებს მზის ჭილა ადგას.

მოუსვენარი ბზუის ფუტკარი  
 და ირხევიან ყვავილთ ღერონი,  
 ხარობენ მამის ნასათუთარი  
 ხენი, ბულბულთა სასიმღერონი.  
 ბწიფობელების ისმის გალობა,  
 მკათათვეს უკვე გაუდის ვადა  
 და გარდუვალი ფერისცვალობა  
 საშემოდგომო სურათებს ხატავს.  
 ეზოში ვდგავარ გაბრუებული  
 და ნაცნობ ხილვებს გული ვერ უძლებს.  
 დღე მათრობს — წამით დაბრუნებული  
 და ვეფერები შეთვალულ ყურძენს.

## გრიგალი ჭლვაზე

ზღვა დამორჩილდა აწყვეტილ გრიგალს  
 გრანიტის ნაპირს მინარცხებული...  
 ტალღას ქეჩიზე მოექცა ჭინკა  
 და მიაჭერებს ურა ცხენივით.

## ი ს დ ლ ე

დიდება შენდა, ცაო მალალო,  
 მზეო უკვდავო, დიდება შენდა!  
 რამდენი დილა უნდა მახარო,  
 რამდენ გაზაფხულს მახარებ ნეტა!  
 და ის დღე მოვა, მოვა თავისით,  
 მაგრამ წინადღით გიხილავ მაინც.  
 ღმერთო, მზიანი ჩემი დაისი  
 შენ დაამსგავსე მოვარდნილ მაისს.

## პ ხ ა ღ ბ ლ ო ბ ა

ქარი მღერის სალაფობოს  
 და ფოთლებში მიშრიალებს,  
 მომახარებს ახალბლობას —  
 ბალი თვალებს მიბრიალებს.  
 თქვენ მასწავლეთ, ჩემო ბლებო,  
 ხილთა ქების ანი-ბანი.  
 ჰეი, კარის მეზობლებო!  
 მოდით, ვკრიფოთ შავი ბალი.  
 მწიფობისთვის საღამოა...  
 საიდანღაც შემომესმის:  
 „ერთსა ქალსა — ბლისკინელსა  
 ბლის ხიდეზე ბლის კალათით  
 ბალი გააქვს და გამოაქვს!“

თეთრი ქალო — ბლისკინელო,  
 გულში უმაღ ვაცუცხლდები  
 და ბლის ხეზე ბლის გიდელით  
 ჭინქასავით ავციცლები.  
 საცა არის ჩამორვლის  
 თეთრი ცხენით ჩალვადარი —  
 დაიბევის უნდა ხილი  
 დილით ქალაქს ჩასატანი.  
 . . . . .

წითლად ღუის ტოტზე ბალი  
 მწიფობლების საგალობლად  
 და გამირბის ბლისკენ თვალი,  
 როგორც პირველ ახალბლობას.





## ნეოდა ქლენი

### ჭ ა ჭ ნ ი პ ი

ვაჟიანობა და საძირკვლის ჩაყრა ერთად დამილოცეს კარის მეზობებმა. ხურდა ფული ხომ არ დაგავიწყდათ კაცო, იძახის ერთი; პირველი ქვა ოჯახის მომავალმა უფროსმა უნდა ჩააგდოს, ეპასუტება მეორე; ჭიქით ღვინო უნდა დაესხას საძირკვლს, პურმარილი არ მოაკლდებაო, მომძახის მესამე. ჰო, კარგი, მასე იყოს, როგორც თქვენ გინდოდეთ, ჩემო კარის მეზობლებო, ჩემო კეთილებო, ვიცინი მე.

— რა გაცინებს კაცო, — მიწყრება ყველაზე უხნესი, — ადათი ადათია, ახლანდელ ახალგაზრდებს არაფერი გჯერათ.

რას ამბობ რამიზ ბიძია, როგორც შენ გინდოდეს, აპა ფული, აპა ღვინო, ქვასაც მე ჩავაგდებ. ჰო, მასე, იღიმება მოხუცი. მიხარია ახალი ფუძე იყრება, ჰაუ, რამდენი ხალხია ჩემს ეზოში. ჰმ, ჩემს ეზოში! რა ტკბილად ესალბუნება გულს... ამ რიყის ქვებს მოვეფერები სათითაოდ და ისე ჩავკრი საძირკვლად. მრცხვენია, არ ვიცი რატომ.

— კაცო, ქვა სულ ეგა? — მეძახის ხელოსანი, — არ მეყოფა.

— რას გეყოფა კაცო, რო დაიწყე ეზოს თავიდან და ეზოს ბოლოში ჩადი, რა გეგონა...

— ბიჭებო, რაიმე ხომ არ გინდათ, — ეზოს წინ აჩერებს მანქანას მეზობელი.

— მადლობთ. არაფერი... — ეპასუხობ და ხვდება, რომ რალაცა მინდა.

— აბა რიყის ქვა მოიტანე, მდინარეზე ჩაირბინე, — ეძახის ხელოსანი.

ისიც გარბის და ერთის მაგივრად ორი მოაქვს.

— ეს ერთი ტონა ცემენტი მე და მემედმა მოგიტანეთ, — მეუბნება



მეზობელი. ჩემს სახლთან მანქანა იცლება. სიხარულის ცრემლებს ძლიერ  
ეცავებ. მეზობელი კარისაო, მერამდენედ ვიმეორებ ამ სიტყვას. მუშაობა  
ჩალდება. ხან ბერონის აზელაში ვეხმარები, ხან ვედროთი კირს მოვათ-  
რევ. ყველაფერს ვედები... გეცინებათ? რა ვქნა, მიხარია. უსუფ ბიძიას  
რაღაც დახვეული მოაქს. ბაწარი რად გინდოდა, შორიდან უყვირის კა-  
რის მეზობელი. მერმე რომ დათვრები, იქნებ დასაბმელი გახდეო, ექი-  
ლიქება უსუფ ბიძია თევრათს.

— სად ჩავყარო ბიჭო ვაზი? — მეკითხება და ნელ-ნელა ხსნის  
რგოლად დახვეულ ლერწებს. ერთხანს ვდუმვარ, სადაც აჯობებს მეთქი,  
ვეუბნები. იგი თვითონ არჩევს ადგილს. ჯერ ასე იყოს ძირში დახვეული.  
მერე კი გმოზაფხულებაზე რომ გაიღვიძებს, ჭიგოზე ააკრავ, — მარი-  
გებს. მეც ვუსმენ, თუმცა მინახავს, ბაბუაც ასე აკეთებდა, მანც ვდუმ-  
ვარ. მისიამოვნებს, რომ მარიგებს. ამაში რაღაც მშობლიურია, თბილი ბუ-  
ხარი არ დაგვიწყდეს ბიჭო, მანსენებს ბიძია სკენდერი; ვიღა აკეთებს ახ-  
ლო ბუხარს, იცინის მეორე; ბიჭო, რა გემო აქვს იმ ჯეშტის ყუთს? ცეცხ-  
ლი თუ არ დაინახე, როგორ გათბები; გავაკეთებ ბიძია სკენდერ, ვეუბ-  
ნები ისე ყასიდად, მე თვითონ ალარ ვიცი რას ვიზამ. ძველებს ბუხარი მო-  
სწონთ, ახალგაზრდებს ეცინებათ. პო, როგორც გინდოდეთ, უკან იხევს  
მრჩეველი. მე რომ მკითხო, ზამთარში წიფლის შეშა რომ ნაკვერჩხალს  
დაყრის და ზედ მწვადს დააშიშხინება... მწვადი მონატრებია ბიძია სკენ-  
დერს, თვალს უკრავს ოთარი შაქროს, ალბათ მოშივდა. პო, სადილის  
ღროა, ვაწყვეტინებ მე. ისე, მე რომ მკითხო, არც კი მახსოვს საჭმელი,  
მგონია, არასოდეს მოშივდება.

— წავიდეთ თორემ ყელი მიშრება, — აიკაპიწნენ ბიჭები.

— ეს რაღა დასატოვებელია, — აჩერებს ბიძია სკენდერი.

— მერე ალარ იგარგებთ, მთვრალი კი არა ფხიზელი არ ვარგიხართ  
— ესაყვედურება რამიზ ბიძია. ოცბოთლიანს ძლივს მოათრევს შოთა,  
ღეიდა მარის ქვაბით რაღაცა მოაქს. ვწითლდები, რად გინდოდათ,  
რა საჭიროა-მეთქი...

სადღეგრძელო საღლეგრძელოს მოსალევს. ქართულ სუფრას რა დაუ-  
ლევს სადღეგრძელოს, ნუმც დალეოდეს, ფუქს მილოცავენ, საუკუნოდ  
დაიფუძნეო, მალე ჭერსაც დაგილოცავთო. თავს ძალას ვატან, ვშიშობ არ  
ვიტირო... დალოცვილმა თავისი ქნა, ძარღვებში დამიარა. ახლა აღარ ვმა-  
ლავ ცრემლებს, მიხარია და რა ვქნა, ნეტა შემეძლოს პატარა ბალლივით  
ვიდანდალო და ვიხტუნო. არც არვის უკვირს. პო, შვილო, ასე იცის სიხა-  
რულმა, ნუმც დაგლეოდეს სიხარულის ცრემლები, მლოცავს ბიძია სკენ-  
დერი.

ქვა ქვას ემატება. მაღლდება ჭერი, ბიჭსაც ორი კიჭი გამოუჩნდა, რა  
ღროს ალუ-ალუა, ვუწყრები, ღიღი ბიჭი ხარ. ესეც კაცი დადგება, მეცინე-

ბა. დავტერი მის ფუნქცია ხელებს, ვაკვირდები, როგორი თვალებზე აქვს, როგორი ცხვირი, ტუჩები... როგორ მელამაზება, არ მგონია სხვას უკეთესი ყავდეს. მეკითხებიან, ვბრაზდები, ვიცი გაჭრილი ვაშლივით მგავს.

მაღლდება ჭერი. ბიჭი თავისი ფეხით დაბაკუნებს ეზოში. ძველ ნაძირალებს ბარის პირით ვიღებ, მეშინია არ წაიქცეს. სიხარულს ვეღარ იტევს გული, მინდა ვიღაცას გავანდო, აბა რა იცი ვის უნდა ენდოს კაცი, იქნებ დაგცინოს და შენს აფრენილ ოცნებას ფრთხები შეაკვეცოს. ისევ ჩუმად ვარ, უკეთეს მესაიდუმლეს ვერც მონახავდა კაცი, განა მეუბნება რამეს, არის ჩუმად, ჩემს აზრებს ნათელ ფერებიან ხაზებად ვავლებ, მოწონს თუ არა არც ვეკითხები. საათი ტიკტიკებს, ყოველდღე კალენდარს ფურცელს ვახვა. ფურცელია? თუ ერთი დღეა გადაკეცილი ცხოვრების გზაზე. ხეალ ჩემს ბიჭს ერთი წელი უსრულდება, ესცე მიხარია, განა ღირს იმაზე ფიქრი, რომ ერთი წელი მომაკლდა. რა საფურიალია. დიდი ამბავი, თუ მომაკლდა, სამავიროდ ჩემს ბიჭს მოემატა. გემატოს წლები, ვლოცავ და... საიდან გაღმოსკდება ეს ცრემლები! თითქოს ცხვირსახოცში მქონდეს გამოკონილი...

მეორე სართული ზემოდან დამცერის, სახლის წინ ჩერო გაწვა, აბა ხები უსუსურები არიან, ჭიგოზე არიან ჩაბუტებული, ქარმა თუ დაქროლა... ვაზი გათამამდა, ვეღარც იტევს ჭიგო, თუ არ მივეშველე, ორივე დაუცემა. ახლა აღარ მყოფნის დრო, ნაკლებად ვაკითხავ მეგობარს; ფურცლები შეუყვითლდა, ვებიღიშები, ვპირდები, — ხშირ-ხშირად გინახულებ-მეთქი, მალე ქუდს დავახურავ ჩემს ფუძეს, ნამუსის ქუდს, ასე გულიანად რომ დამილოცეს კარის მეზობლებმა. მერე უკვე ოჯახია ქართველი კაცისათვის ოჯახი ხომ ფუძეა სინდის-ნამუსისა და თავი კაცურქაცობისა. რა მძიმე ტვირთი ავიკიდე, მაგრამ რომ ასე ტკბილია ეს დალო-ცვილი!


— კაცო, რად იგვიანებ, იქნება რამეზე გეშლება ხელი, — მეძახის გამვლელ-გამომვლელი.

— არა, არაფერზე, — ვპასუხობ და ისევ ცრემლები მაღვება. ვიცი. უყურადღებოდ არ დამტოვებენ, რომ წავიბორძიეკ, ხელს შემაშველებენ. ეჭ, მამი, მამი, შენ კი მიწაში ჩაიყოლი ჩემი დარდი, წუხდი, უჩემოდ მოკვდებაო. თურმე რა დავარგავს კაცს ამ დალოცვილ ქვეყანაში. იქნებ მაშინ მოგხვდა ტყვია, ჩემზე რომ ფიქრობდი. ერთი წამოგახედა მაინც, იმ შენმა ობლად დატოვებულმა ნერგმა როგორ იხარა, როგორ გაიდგა ფესვები.

ვზივარ და ამ ჩემს ფიქრებს ოცნებაში ვაქსოვ.

— შეხედე, თურმე რისთვის აგვიანებდა, — იცინის ჩემი კარის მეზობელი.

- მაინცდაძაინც მისი ღვინით უნდოდა ჭერის დალოცვა.
- როველი მაქვს, ძია სკენდერ, ძია უსუფ, — გავძახი აქეთ-იქ-ით. მოდიან, განა დაიზარებს ვინმე! საწნახელი იგსება...
- ჩემი ბიჭი პატარა ფეხებით მტევნებს კყლეტს, სრესს. ცინცხალი წვენი მოლიკეებს. მასე შვილო მასე, ვათამაშებ მე.
- ახალმოსახლობა დამილოცეთ, ახალმოსახლობა! — ვყვირი ხმა-მაღლა.
- ჭაშნიერი ავულოთ ღვინოს, — იცინიან მეზობლები. მოღიან, ფარ-თოდ იღება ჩემი ოჯახის კარი.
- მობრძანდით, მობრძანდით!



მე შენ მოგელი,  
 მე შენ მოგელი,  
 შენაც მოდიხარ და მენათები.  
 მე შენ მოგელი შენი თმოგველი,  
 შენი მცხეოლი და გელაოლი.  
 შენ მე მომელი,  
 შენ მე მომელი,  
 მეც მოვდიგარ და შენ გეგუთვნები,  
 მე — ერთი შენი კარგის მდომელი,  
 შენი გრემელი და გეგუთელი.  
 კარგი ხანია,  
 კარგი ხანია,  
 არ მიმღერია ასე ამაყად.  
 შენ თავად იცი რა მიხარია —  
 მიწას შენი მზე ადგას ვარაყად.  
 ვაჟა-ფშაველა და რუსთაველი,  
 და კადევ, კიდევ ბევრი გვირგვინი.  
 გადაწლილია შენი მთაველი  
 და მე ვკითხულობ შოთას წიგნივით.

### ს ი ლ ე ბ ი

ჩვენი ხელები არის სიმღერა,  
 ჩვენი ხელები არის ტირილი,  
 ჩვენი ხელები არის იმხელა,  
 რომ შეიკვრება მუხის ტივივით.  
 ჩვენი ხელები მზის და ხმელეთის,  
 ცისა და ზღვების არის დიდება.  
 ხომ შეიძლება, ჩვენ ეს ხელები  
 ოკეანეზე გავდოთ ხიდებად!

\* \* \*

დღეს კვირაა და ოცი რიცხვია  
 ცვლისის, თანაც ხალხი ხმაურობს.  
 მსურს გავეპარო ქალაქს სიცხიანს  
 და სოფლის ჩრდილში დავისადგურო.  
 დღეს მინდა მეცვას ხამის ხალათი,  
 გავიდე მოლზე, უოლების ახლოს...  
 დავწევ გულალმა, თვალახელილი  
 და ლალისფერი ცა დავინახო.

\* \* \*

ჭერ კიდევ ბევრი გზები მომელის,  
 სივრცეს გავცემერი თვითმფრინავიდან.  
 მგონია მე ვარ მგზავრი, რომელიც  
 პირველად მიწის ზევით ავიდა.  
 მგონია მე ვარ მგზავრი, რომელმაც  
 ფრთებით გაჰკვეთა თეთრი ნისლები.  
 ვინ კიდის, კიდევ სხვა რა მომელის...  
 და უხილავი სივრცით ვისები.  
 და მინდა ისევ ისე გისმენდე  
 და შენ მეხატო გულისფიცარზე.  
 და მეუფლება გრძნობა ისეთი,  
 თითქოს დაბრუნდი დედამიწაზე.

\* \* \*

გაღებულია ყველა სარქმელი,  
 და შენზე ფიქრებს ვეღარ გავეძეც.  
 თვითონ მომძებნის შენზე სათქმელი  
 და შენზე სათქმელს მე არ დავეძებ.  
 მე ჩემი გულის ძახილს მჯერა,  
 განა მსურს მხოლოდ თავი გავართო?!

სიტყვა კი არა, არც ერთი ბერძაც  
 არ იკარგება უმისამართოდ.  
 ვიქნები შენი გულთამხილველი  
 ფხიზელი,  
 მთვრალი,

ლამით,  
 დილაზე...

რაზეც დავწერე ლექსი პირველი,  
 უკანასკნელსაც დავწერ იმაზე.

## ს ვ ა ნ ე თ შ ი

სვანეთში ვიყავი მეგობრებთან —  
 მურად ქოჩქიანთან,  
 ცირა ონიანთან.

თეთნულდი რაინდივით აღიმართა,  
 თავისი სითეთრე მომინათა.

ცოტა არ იყოს, წავიხუმრეთ,  
 ცოტა არ იყოს, ვინადიმეთ...  
 სვანური ქუდი დავიხურე,  
 ბექოში სვანივით ვინადირე.

ვისწავლე „ლილე“ და „ოიალე“,  
 თოვლზე წრიაპებით სიარული.  
 მთები სულ ქვეითად მოვიარე,  
 მაინც არ გამიძლა თვალი-გული.  
 წხელდა კვლავ მეძახის, ისევ ვნახო,  
 ისევაც ვიმღერო „ოიალე“.  
 როგორ არ უნდა ვიტრაბახო —  
 მთელი სვანეთი მოვიარე.

\* \* \*

ნააირზე იდგა ლამაზი ქალი  
 და ქალთან ერთად კდემა და სითბო.  
 მე მისკენ ისე მეჭირა თვალი,  
 მას ჩემი ვალი ემართა თითქოს.  
 ის იყო მთების ანკარა წყარო,  
 მოწოდებული ლამაზი ჭიქით.  
 ზღვა იყო მშეიღი,  
 ზღვა იყო წყნარი,  
 მზე ჩადიოდა ჰორიზონტს იქით.

პორიზონტს აქეთ შევი ზღვა იწვა  
 და ვეხებოდი ხელით მირაჟებს.  
 თანაც უძლური ვიყავი იმ წამს  
 ბუნების დიდი სულის წინაშე,  
 ნაპირზე იდგა ლამაზი ქალი  
 და ქალთან ერთად კდემა და სითბო.  
 მე მისკენ ისე მეჭირა თვალი,  
 მას ჩემი ვალი ემართა თითქოს.

\* \* \*

ნაცნობი სახეებით  
 მიცერიან ხეები,  
 მე მათი სახელები  
 ვხატე მძიმე ხელებით,  
 დაკოურილი ხელებით,  
 ბარითა და წერაქვით,  
 ლამაზი სახელები  
 სათითაოდ შევარქვი:  
 მუხა,

თელა,  
 კიდარი,  
 ზოგსაც კიდევ საყურძნე...  
 და შიშველი ველები  
 სულ ხეებით დავხუნდე.  
 და შიშველი ველები  
 სულ დავხუნდე ხეებით,  
 მერე მზეს მივუფიცხე  
 დაკოურილი ხელები.





## ნიკოლოზ გიხეონოვი

### აპრილის ცადამო

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის სამი აპრილის საღამოს, ალფომის შეორე დღეს, პეტროვრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ანატოლი ორშევსკი შინ ბრუნდებოდა. იგი მეგობარ სტუდენტთან ვასილ შახოვთან იყო სტუმრად და მას გვიან საღამომდე ეკამათებოდა.

ჯერ კამათობდნენ საერთო მაგიდასთან, სადაც სადღესასწაულო ვაჭხშამი და არაყიც იყო, შემდეგ კამათი ვასილის ბინაშიც გაგრძელდა და ბოლო ალარ უჩანდა ამ გაუთავებელ დავას. როგორც იქნა, შეწყვიტეს კამათი და შახოვმა წამოიძახა:

— ჩვენ ხომ განუყრელი მეგობრები ვართ, აბა, რისთვის ვკამათობთ ასე ცხარედ?

— ახლა რუსეთში ყველა კამათობს: კამათობენ ქუჩებში, მიტინგებზე, სახლებში; კამათობენ ღარიბები და მდიდრები, კამათობენ მთავრობაშიც და საბჭოშიც, მუშები და ჯარისკაცები, გლეხები, — ყველანი ყვირიან. არ იყვირო არ შეიძლება — როგორ იცხოვრებს შემდეგ რუსეთი, რა გზით წავა იგი?

— ჩვენ, როგორც ჩანს, ყველაფერს ისევ თავიდან ვიწყებთ, — გაცხარდა შახოვი, — დიდხანს ველოდით, რომ ღამებობდნენ რომანოვებს. დაამხეს. ეს იყო სახალხო დღესასწაული — ზეიმობდა დიდი და პატარა. გვყავს დროებით მთავრობა და მასთან შეთანხმებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოც. ხელისუფლება არის, მაშასაღამე, იქნება წესრიგიც...

— მოითმინე, ძვირფასო ვასია, მომისმინე. ეს რაღა წესრიგია, რო-

და შენი მინისტრი-კაპიტალისტები ხალხისათვის არაფერს არ აკეთებენ? უფლება...  
 — როგორ, ისინი არ არიან ხელისუფლების სათავეში?  
 — ხელისუფლების სათავეში ისინი არიან, მაგრამ შეხედე, რევოლუციის მეორე თვეა და, რაც მთავარია, იმაზე არაფერი ისმის...  
 — რა არის ეგ მთავარი?

— ომი უნდა დამთავრდეს, მათ კი გამოაცხადეს: „ომი საბოლოო გამარჯვებამდე!“ გლეხებს მიწა უნდათ, მათ კი რა გააკეთოს? საუფლის-წულო მამულები მიწათმოქმედების სამინისტროს გადასცეს, ხოლო სა-მინისტრო ვის მისცემს და როდის — გაურკვეველია. საით წაგვიყვანებ ისინი ჩვენ?

— მაგრამ რომიანკო — სახელმწიფო სათაობიროს თავმჯდომარე რამ გამოცდილი პოლიტიკოსია!

— რას გააკეთებს, შენი აზრით, იგი ხალხისათვის? სასაცილოდ ღმერთმანი!

— მაგრამ კერძნესკი... როგორ ცეცხლს ანთებს თავისი სიტყვებით! როგორ ანადგურებს ძველ რეჟიმს!

— შენი კერძნესკი ვექილია! ის მხოლოდ ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი... რა იქნება შემდგომ? დიღხანს გვეყოფიან ისინი, შენი დროებითები... კაპიტალისტები?!

— მაგრამ მოიცა, მე ხომ გითხარი, რომ მათთან ერთად არის მუშა-თა და ჯარისკაცთა საბჭო.

— იცი, ვასია, — გადაჭრით უთხრა ანატოლიმ, — მე კარგად ვერ ვერკვევი პარტიებში; ყველგან არიან მენშევიკები და ესერები, ანარქი-სტები და ბოლშევიკები. მაგრამ ერთს ვიტყვი: ჩემთვის გაუგებარია თუ რატომ მიჰყვებიან მუშები და ჯარისკაცები დროებით მთავრობას. გვერ-თხები — რატომ?

ანატოლი შინ ბრუნდებოდა. მას აწვალებდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ გამეფდა ასეთი საშინელი უწესრიგობა და რატომ არის გაურკვეველი, საით მიჰყავთ ქვეყანა მინისტრებს, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ მინისტრ-კაპიტალისტებს.

რასაკირველია, იმ დღეებში თავის მტანჯველ ძიებაში ის მარტო არ იყო. მართლაც დუღდა მთელი ქვეყანა. რევოლუციური პეტროგრა-დის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. და აი, საზემო დღე, ცნობილი რუსული დღესასწაულის — აღდგომის მეორე დღე! ქარხნები არ მუშა-ობენ, ტრამვაიც კი გაჩერებულია. მაშ საიდან მოდის ამდენი ხალხი, მუშების ეს უთვალავი მასები? მოდიან, როგორც დემონსტრაციაზე, წა-თელი დროშებით, სიმღერით, მოდიან ფეხით, სატვირთო ავტომანქანე-ბით. ბევრი მათგანი სადღესასწაულოდ არის ჩატარებული. ჯარისკაცებიც ბევრნი არიან. ისინი მოდიან რიგებად, არც თუ ისე მწყობრად, მაგრამ ეწყობიან და უერთდებიან მუშათა კოლონებს. რა ხდება?

ჩაფიქრებული ანატოლი ჭერ თავისუფლად მიღიოდა, შემდეგ კი მეტად უძნეს, რადგან კოლონები თანდათანობით მჭიდროდებოდნენ და სულ მალე ისე გაიშედა ვაგზლისწინა მოედანი, რომ სატეირო ავტომანქანებიც გეღარ იძროდნენ ადგილიდან. ადამიანთა თავების ეს ზოვა განუწყვეტლივ ირხეოდა, ვაგზლისაცენ გასასვლელი უნდა მიეცა დემონსტრაცია ახალ-ახალი კოლონებისათვის. რა ხდება? ფინეთის პატარა ვაგზალი, ალბათ, ვიღაცას მოელის.

ანატოლი ორშესვეუმ გადაწყვიტა. თავისი თვალით ეხილა, რა მოხდებოდა. ეს რომ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა, ჩანდა თავშეყრილთა მლელვარებიდან, წამოძახილებიდან. თითქოს ვიღაცისადმი მისასალმებლად ემზადებოდნენ. უცებ მოედანს გრვენვასუთ გადაუარა რევოლუციურმა სიმღერამ. მღეროდნენ შეუწყობლად, მაგრამ ხმამაღლა და მტკიცედ. ანატოლი მიხვდა, რომ იგი ვერ გააღწევდა მოედანზე და ისეთ აღვილს ეძებდა, საიდანაც უკეთ გამოჩნდებოდა მოედნის შესასვლელი. მან დაინახა სატეირო ავტომანქანა, რომლიდანაც ზოგი ჩამოდიოდა, ზოგი ადიოდა. მანქანის უკან ჩანდა კედლის შვერილი. ანატოლიმ ვაივაგლახით მიაღწია მასთან და ზედ აცოცდა.

მოედანი კიდევ უფრო გამოაცოცხლა მეზღვაურების გამოჩენამ. ისინი აბრჭყვიალებული იარაღით მიიწევდნენ ვაგზლისაცენ. თავთავიანთი ადგილები დაიკავეს ჭავშნოსნებმაც. დრო შეუმჩნევლად მიღიოდა. ირგვლივ ისმოდა ხმამაღლი ლაპარაკი. ვიღაცამ დაიყვირა: „სულერთა, დაველოდებით, თუნდაც მთელ ღმეს, დაველოდებით!“ მეორემ უპასუხა: „ო, არა, ამბობენ, რომ ბელოოსტროვი გაიარა, უკვე ორ ნაბიჯზეა!“

უცებ მოედანი განათდა. საინუინრო ნაწილების გარისკაცებმა პროექტორები მოიტანეს. ანატოლი უცნაურმა გრძნობამ შეიძყრო. მან ბევრი რამ ნახა თებერვლის რევოლუციის დღეებში, აღმაფრთოვანებელიც, ტრაგიულიც; ნახა ძველი რეჟიმის მსახურთა ტყვიით რომ ეცემოდნენ ადამიანები; ნახა მიტინგები და კრებები, სადაც ბობოქრობდა ვნებათა ლელვა, მაგრამ დღეს, ხალხის ამ მლელვარებაში იყო რაღაც ახალი და უჩვეულო.

თვით ამ ლოდინს, მლელვარესა და დიდსულოვანს, ასე რომ ამჭიდროებდა ადამიანთა უსასრულო რიგებს, ადამიანთა, რომლებიც მზად იყვნენ ვიღაცისათვის ეცადათ განუსაზღვრელი დროით, ჰქონდა დიდი მიზანიდველი ძალა. ისინი მზად იყვნენ ხელში აეყანათ იგი. ეს ლოდინი საზეიმოდ და ამასთანავე საბრძოლველადაც განაწყობდა მათ.

საქმე იყო არა ლამაზ სიტყვებში, არა რევოლუციურ ფრაზებში, არამედ რაღაც უფრო სერიოზულ ამბავში, რომელსაც შეიძლებოდა ახლებურად დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი.

ბევრჯერ განმეორდა ერთი და იგივე სახელი, და ეს სახელი ახალგაზრდა სტუდენტზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი ანატოლის უკვე

გაეგონა. მასზე ზოგიერთები კიდევ ლაპარაკობდნენ, როგორც ქს ანტიხალხურ მოვლენაზე. მაშინ რატომ მოვიდა ხალხი მის შესახევ-დრად ასეთი სიყვარულითა და ნდობით? რა აერთიანებდა ჯარისკაცებს, მუშებს, მატროსებს, ქალებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს ამ შეხვედრაზე?

ანატოლის თავში სხვადასხვა აზრები ირეოდნენ, მაგრამ ერთი მანც ნათელი იყო: ის მოწამეა არაჩვეულებრივი ამბის! ვთქვათ, იგი ჯერ კიდევ არ გარკვეულა ვითარებაში, მაგრამ რად ღირს იმისი ნახვა, რაც ახლა მოხდება.

ანატოლი თავის სიცოცხლეში პირველად გრძნობდა თავს მასების შუაგულში. ეს სიამოვნებდა კიდევ, რადგან არავითარი ნაძალადევი, არავითარი ყალბი ამ მოედანზე არ ხდებოდა. პირიქით, ყველაფერი დიდი სიცოცხლით, დიდი გრძნობებით, დიდი იმედებით სუნთქვავდა.

თორმეტ საათზე ჰაერი გააპო საყვირის ხმამ და ყველა ორკესტრმა ერთდროულად დაიგრიალა. გარკვევით, ახლოს ისმოდა მატარებლის ქშენა და წიგილი. ვაგზლიდან ამოგარდა კვამლის ბოლჭები. მოელანი ხან გარრინდებოდა, ხან კვლავ იგსებოდა მძლავრი გუგუნით.

— მოდის! მოდის! — გაისმა ვაგზლის მხრიდან. ანატოლიმ კისერი წაივრექდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, გარდა ადამიანთა ჯუფისა, რომელიც ვაგზლიდან სწრაფად გამოვიდა და ხალხის ზღვაში ჩაიძირა. პროჟექტორებით გაჩირალდნებული, დროშებითა და პლაკატებით დაბურული მოედანი კი გუგუნებდა: „ლენინი! ლენინი! სალამი ლენინი! გაუმარჯოւენისა!“

როგორდაც, თითქოს სიგნალზე, ყველაფერი მიწყნარდა. ანატოლიმ ვერ დაინახა, როდის აუ ფეხის ბურილებუ, უცდლაფერი ძირუბოლა. ააუროლიძ ჯავშნოსანზე ავიდა, ყამვიდა ლენინი ვაგზლიდან, მაგრამ როცა იგი რუხი კოსტუმი ეცვა. ჭავშემინებულ ილგვიწის, უამიტისუნერ ცელგაჭვდილი, ხმამაღლა ლაპარაკობდა, მაგრამ მხოლოდ ცალკეული ფრაზების გამონება თუ შეიძლებოდა, თუმცა ყველანი უურადებით, სულგანაბული უსმენდნენ. ნაწყვეტი ფრაზებისაგან თანდათანობით ყალიბდებოდა აზრი, რომელიც მსმენელთა გულს წვდებოდა. ანატოლიმ სავსებით გარკვევით გაიგონა, როცა ლენინმა უკანასკნელი ფრაზა გადმოისროლა: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

ხალხში საოცარი რამ ხდებოდა. თითქოს ვიღაცამ ისეთი ენერგიის ტალღა ჩაპერა მათ, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა მშვიდად დგომა. ახლა საჭირო იყო მოძრაობა, წინსვლა. და მართლაც დაიძრა არნახული ტალღა.

მთელი მოედანი ერთი მხრისაკენ შებრუნდა. ათასობით ადამიანის ყვირილი და ხმაური მიაცილებდა ლენინს. იგი ჯავშნოსნიდან ჩამოვიდა და მძლოლის გვერდით დაჭდა.

მანქანებისა და კოლონების აურზაურში ანატოლი კედლის შვერილიდან საბარეო მანქანზე გადატება და შეერია ხალხის ზღვას, რომელიც წინ მიმავალი ჯავშნოსნის გარდა არაფერს აქცევდა ყურადღებას.

დაიწყო მეორე გასაოცარი მოქმედება ამ ისტორიული ეპოქისა. ჯავშნოსნი ნელა მიიწევდა წინ. მის უკან მოძრაობდა იურაცხელი თავები, ღრუშები, ხიშტები, ჯავშნოსნები, ჩირალდნები.

ლენინი ხან კაბინაში იჯდა, ხან საფეხურზე იდგა და სიტყვით მიმართავდა. ან უბრალოდ ესალმებოდა ხალხს. ფანჯრებიდან იცქირებოდნენ გაყვირვებული მცხოვრებლები, ქუჩებში ამ სანახაობით გაოცებული გამვლელი ჩერდებოდნენ.

ლენინის გამოჩენისას ყველა კოლონიდან ხელახლა ქუხდა მისალმებები. ჰაერში იქნევდნენ ქუდებს, მაღლა წევდნენ შაშხანებს.

ანატოლი გაოცებული იყო. ამ ღამემ საოცრად გარდაქმნა სახეები. იყო დიდი ინტერესით უცქერდა ამ ადამიანებს, რომლებიც მასთან ერთად, ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ, მავრამ არასოდეს არ ენახა ამგვარი სახით.

ისინი აქლა პროექტორებით, ჩირალდნებით, ფარნებით განათებული წყველიადიდან გამოდიოდნენ. მათში შეიძლებოდა ამოგვეკითხა ვაჟკა-ური რწმენა, მტრებისადმი შეურიგებლობა.

მთელ ამ მოძრაობაში, ამ აღამიანების მოქმედებაში, მათი ნაბიჯების ხმაურში, რომელიც ტყის შრიალს მოგავონებდათ; სიმღერებში, რომელიც იფეოქებდა ხოლმე იმ ჩირალდნების მსგავსად, ადამიანებს რამ გზას უნათებდა, იყო რაღაც ეპიური სიდინჯეც ეპოქისა, როდესაც სიტყვა „ხალხი“ არ მოითხოვდა დაზუსტებას.

ერთი სუნთქვა, ერთი აზრი, ერთი გრძნობა დაუფლებოდა ყველას. ისინი სახეიმოდ და თანაც მრისხანედ მიაბიჯებდნენ. ვის ემუქრებოდა ეს ხალხი, რომელიც ცეცხლის ენებით წვავდა ღამეს და აელვარებდა იარაღს?

იგი ემუქრებოდა ძალებს, ირგვლივ სიბნელეში რომ იმაღლებოდნენ და გაბოროტებით შეჰყურებდნენ ადამიანთა ამ უზარმაზარ, განუმეორებელ საზეიმო სვლას; ემზადებოდნენ ხვალვე თავს დასხმოდნენ, შეეჩერებინათ, უკუვეგდოთ, გაენადგურებიათ ისინი, ასეთი რწმენით რომ მიღიოდნენ წინ, მომავლისაკენ.

ამ ხალხში ცოცხლობდა სიხარული, რადგან ახალი დღეების დასაწყისი უკვე მათ გვერდით, თვით მათში იყო: რევოლუცია უმაღლეს საფეხურზე უნდა ასულიყო, შემძრტუნებელი მღლვარება იზრდებოდა. ცხადად ჩანდა, საჭირო იქნებოდა ახალი მსხვერპლი, ახალი გადამწყვეტი ბრძოლა და... სისხლი გაათბობდა ძველი და ცივი ქალაქის ქუჩებს ნევაზე.

ეს სვლა ასეთი ღამაზი, ასეთი შთამბეჭდავი იყო კიდევ იმიტომ,

რომ მასში გაერთიანდა ყველა ის, ვინც დიდი ხანია, ჯერ კიდევ სუსტი  
წვილიდანვე დადგა რევოლუციის დროშის ქვეშ, ვინც მიჰყებოდა  
ლენინს, ვინც ხვალ ყველა ფრონტზე ჩაუდგებოდა სათავეში ხალხის  
მასების ბრძოლას რევოლუციისათვის, ვინც დაიწყებდა მსოფლიო-  
ში ჯერ არნახული მუშარ-გლეხური სახელმწიფოს შენებლობას, და  
ორთაბრძოლაში გამოიწვევდა მთელ ქველ სამყაროს, ამაყად წაიღებდა  
გამარჯვების დროშას.

ანატოლი ორშევსკის, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტს არ შეეძლო ყველაფერი ეს სცოდნოდა და ეგრძნო. როცა ის სატვირთო მანქანაზე შეხტა, სადღაც სულის სილრმეში შენიშვნა, რომ მისთვის უბრალოდ მოსახლეობელია ჩაერთოს საერთო ნაკადში, რომელიც სწორედ მისი სახლის მიმართულებით მიღიოდა (იგი ლახტინის ქუჩაზე ცხოვრობდა). ლამის სურათების ცვალებადობის, შეხვედრების, ლენინის გამოსვლების კვალობაზე ისეთ კარგად ცნობილ ადგილებში, როგორიცაა ნოვგოროდის და ბოტკინის ქუჩების გადაკვეთა, სამსონიევსკის პროსპექტი, ორენბურგის ქუჩა, დიდ ვულფოვიზე, ის უკვე გრძნობდა, რომ მისი გზა სწორედ ამ ხალხთან, აქეთკენაა. და მიღიოდა ისე, თითქოს არასოდეს ალარ შეჩერდებოდა.

მას მოეჩვენა, რომ იწყება რაღაც ჯერ არნახული ამ ბევრის მნახელი, ჭირ-ვარამ გამოვლილი ქალაქის ისტორიაში, მაგრამ ჩანს მთავრი ჯერ კიდევ წინ არის და ის — უბრალო, თავმდაბალი აღამიანი, პატარა სტუდენტი იქნება რაღაც ზღაპრულის, გრანდიოზულის მონაწილე.

შას ამის გამო იპყრობდა მღელვარება და ამ მღელვარების ახსნა  
ჯერ არ შეეძლო. მას შეეძლო მხოლოდ ეთქვა: ჩემთვის ჯერ კიდევ არ  
არის ცნობილი თუ რა ძალამ შეჰყარა ეს ხალხი მოედანზე, რამ აიძუ-  
ლა ისინი ამ დასვენების დღეებში მიეტოვებინათ თავისთი სახლი, სა-  
დაც შეიძლებოდა დევლებურად შეხვედროდნენ ალგომას, მიეტოვებინათ  
ყველაფერი, რაც მათ აკავშირებდა წარსულთან და გაპყოლოდნენ უც-  
ნობი, მაგრამ გმირული გზით ამ კაცს, რომელსაც დემისეზონური პალ-  
ტო ეცავა. ანატოლიმ ვერც კი მოასწრო კარგად გაერჩია ლენინის სახე,  
მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე დაიხსომა მისი უესტი და მომა-  
ჯალებელი წინასწარმეტყველური სიტყვა!

და იგი კვლავ უმზერდა, უმზერდა და მზერით ვერ ძლებოდა.

\* \* \*

დილით გასთან მივიღდა ახლო მეგობარი და მუდმივი მოპაეჭრე ვასილ შახოვი. მან უმალ უთხრა:

— არის სიახლე, სპეციალურად პაექტობისათვის. მაგრამ ახლაც ვიკამათებთ, თუ დავკადებით და უბრალოდ ვისაუბრებთ ცხოვრებაზე?

— არა, არ ვიკამათებთ, — თითქმის მედილურად უპასუხა ანატოლიმ.

— რატომ?

— მე იმიტომ ვკამათობდი, რომ ჭეშმარიტება მეპოვნა. უკვე ვიპოვვი, რასაც ვეძებდი...

— რა არის ეს, საიდუმლო ხომ არაა?

— რომელი საიდუმლო! ამაზე ახლა, მგონი, მთელი მსოფლიო გაჰყვირის. შენ იცი, მე სპეციალობით ქიმიკოსი ვარ, მაგრამ მიყვარს მუსიკა. ქიმიკოსებს უყვართ თავიანთი მიწიერი ფორმულების შემოწმება ციური ჰარმონიებით. მაგრამ შენ იცი, რომ მე აგრეთვე ვხატავ, ისე, ჩემთვის... ახლა მე შენ რაღაცას დაგიხატავ...

— საინტერესოა, მოულოდნელი შემობრუნებაა, — შენიშნა ვასილიმ, — აბა, დახატე!

ანატოლიმ აიღო ტუში, ქალალდი და რაღაც სწრაფად მოხაზა, მაგრამ არა, ეს ნახაზი როდი იყო...

— მოიცა, — უთხრა ვასილიმ, — როგორც ჩანს, არა, როგორც ჩანს კი არა, ზუსტად, ეს ხომ ჯავშნოსანია?

— სწორია... ახლა კი...

ვასილი დაბნეულად უცქერდა თუ როგორ იზრდებოდა ჯავშნოსანის კოშკე ფიგურა, წინ გაშვერილი ხელით.

— ჯავშნოსანს ვხედავ. — თქვა შახოვმა, — მაგრამ ვინ არის ეს, გაშვერილი ხელით და რას ამბობს?

— რას ამბობს? მომისმინე... რაც ჩვენ გავაკეთეთ, ის ჯერ კიდევ არ არის სრული ვამარჯვება. გამარჯვება წინ არის! ეს არის რევოლუცია. პროლეტარული რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია!

— მოიცა, მოიცა! — წამოიძახა შახოვმა. — ეს ხომ შენ ლენინი დახატე. იგი გუშინ ფინეთის ვაგზალთან ჯავშნოსნიდან ლაპარაკობდა. ერთი შენც. ვინ გაჰყვება მას? შენ თვითონ ნახე ის?

— დიახ. მე თვითონ ვნახე, და მე შენ გეტივი: გუშინ მას მიჰყვებოდა მთელი ხალხი — მუშები, გარისკაცები, მატროსები, ქალები, მოხუცებიცა და მოზარდებიც. — გუშინ მიჰყვებოდნენ ისინი, ხვალ გაჰყვება მთელი რუსეთი!

— შენ დარწმუნებული ხარ? — ყოყმანით თქვა შახოვმა. — რატომ უნდა გაჰყვნენ მას?

— იმიტომ, რომ, შესაძლოა, ის მთელ რუსეთში ერთადერთი კაცია, რომელმაც იცის ნამდვილი გზა! მე მინდა წავიდე ამ გზით!

— როგორ? — უკვე დაბნეულად თქვა შახოვმა. — შენ ცხოვრობდი, არ მარჩიელობდი და უცებ... სასწაული! ერთი სალამო და... ყველაფერი ნათელია. ნუთუ ასე ხდება?

— ხდება, შენ თვითონ კარგად თქვი სასწაულის შესახებ. დღის არის აპრილის ერთი საღამოს სასწაული, და ამ სასწაულმა შემოაბრუნა არა მარტო ჩემი ცხოვრება, არამედ შესაძლოა მთელი რუსეთის ცხოვრება, შესაძლოა კიდევ უფრო ფართო მასშტაბითაც...

\* \* \*

აპრილის იმ საღამოს სასწაულს ანატოლი ორშევსკი თავის მეხსიერებაში სიკვდილის დღემდე ინახავდა. იგი დაიღუპა ფრონტზე, როგორც წითელი არმიის ჯარისკაცი, 1918 წელს.

თარგმნა ტ. ხინოიბიძემ.



# ლ ე ნ ი ბ ი ა ნ ა

დავით გიასემიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## სოციალისტური რევოლუციის ღმენიური თმობის და თანამედროვეობა

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასი-კუსები არაერთხელ მიუთითებდნენ, რომ საჭიროა სამყაროს არა მარტო შესწავლა, არამედ აუცილებელია მისი გარდაქმნაც. ისინი მოითხოვდნენ ქველი, დრო-მოჭმული წყობილების შეცვლას ახალი, ყველაზე სამარტლიანი წყობილებით — კომუნიზმით.

კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობის ნამდვილი მეცნიერული აქსნა მოგვცეს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა. მათ აღმოჩინეს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები და მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა გამონაგონი კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს კაპიტალიზმს განვითარების აუცილებელ შედეგს.

მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. ეს მათ გააკეთეს ისტორიის მატერიალისტური გაგებით — საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა დადგენით, იმ დიდი აღმოჩენებით, რომლებმაც რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიკასა და სოციალიზმის თეორიაში.

სოციალიზმის უტოპიიდან მეცნიერებად გადაქცევაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მარქსის ორმა დიდმა აღმოჩენამ.

პირველი. ეს არის აღმოჩენა ისტორიის მატერიალისტური გაგებისა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ წარმოება და მისი პროდუქტების გაცვლა ყოველი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს შეადგენს, რომ

საზოგადოებრივ ცვლილებებს და პოლიტიკურ განატრიალებებს იწვევენ წარმოებისა და გაცვლის წესის ცვლილებები.

მეორე, ეს ორი კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოების გახსნა — ზედმეტი ღირებულების კანონის აღმოჩენა. მარქსმა ამხილა მშრომელი ხალხის ლატაკური მდგომარეობის მიზეზები. მან გამოიყვლია კაპიტალისტური ექსპლოატაციის პროცესი და დაადგინა, რომ კაპიტალისტი ითვისებს მუშის შრომის ნაყოფის მნიშვნელოვან ნაწილს ზედმეტი ლირებულების სახით. ეს იშვეგს მუშათა კლასის აღშფოთებას, რომელიც გადაიზრდება და ბრძბრძოლაში კაპიტალისტური წყობილების დამხმაბისათვის.

მარქსი წერდა: „კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად. რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება ოწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეაცის კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“ (კაპიტალი, ტ. 1, გვ. 956-957).

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა მწარმოებლური ხალების განვითარების დაბრკოლებად გადაიქცა, რამაც შექმნა პირობები სოციალური გარდაქმნისათვის,

სოციალისტური რევოლუციისგარეთი მარჯვებისათვის.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტურმა პირობებმა შექმნეს იმის საფუძველი, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკობებს შეემუშავებინათ მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის შესახებ.

პროლეტარიატის დიდმა ბელაზებმა მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს სოციალისტური რევოლუციის ძირითადი, ზოგადი დებულებები, საერთო კანონზომიერებანი.

ლენინმა და ლენინელებმა დაეყრდნენ ას მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს, ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად შემოქმედებითად განავითარეს სოციალისტური რევოლუციის მარქსისტული თეორია.

მარქსმა და ენგელსმა აღმოჩინეს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია სათავემი ჩაუდეგს რევოლუციას და ბოლომდე მიიყვანოს იგი. ასეთ ძალად ისინი სთვლიდნენ პროლეტარიატს, რომელიც იზრდებოდა, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. მათ გვიჩვენეს პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული როლი.

ამასთან დაკავშირებით ლენინი წერდა: „სოციალ-დემოკრატიული მუშათა კლასისაკენ მიმართავენ მთელ თავიანთ ყურადღებას და მთელ თავიანთ მოღვაწეობას. როდესაც ამ კლასის მოწინავე წა-

რმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეაბს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როდესაც ეს იდეაბი ფართოდ გავრცელდება და შეუძლის შორის შეიქმნებან მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშის დღევანდელ დაქსაჭსულ ეკონომიკურ ომს გარდაქმნიან შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს. დაამხობს აბინდუტიზმს და შპანგანს რცხვთან პროცეს-რიტს ცველა ცველა ცველის პროცეს-რიტი ბრძოლის პირდაპირი გზით ძლიერამოსილი კომუნისტური რევოლუციისაბმავ“ (ტ. 1. გვ. 355-356).

მარქსმა და ენგელსმა არა მარტო განსაზღვრეს პროლეტარიატის ისტორიული როლი, არამედ გააკეთეს მონახაზები მისი მოკავშირების შესახებაც. მათ გლეხობა მიაჩნდათ პროლეტარიატის მოკავშირედ რევოლუციაში.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი სოციალისტური რევოლუციის მამოძრავებელი ძალების, რევოლუციაში პროლეტარიატისა და მისი მოკავშირების ისტორიული როლის შესახებ დაუყონერეტა და შემდგომ განაცი-თარა ლენინმა, რომელმაც მთელი სისრულით ჩამოაყალიბა რუსეთის რევოლუციაში ბოლშევიკების სტრატეგიის არსი. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლშევიკები პირველ ეტაპზე რევოლუციის ხელმძღვანელად, ბელადად სთვლიდნენ პროლეტარიატს, ხოლო მის მოკავშირედ უღარიბეს გლეხობას და იდგნენ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოზიციაზე.

ლო მის მოკავშირედ გლეხობას ლიბერალური ბურჟუაზის მიმართ კი იდგნენ მისი იზოლაციის პოზიციაზე. რევოლუციის მეორე, სოციალისტურ ეტაპზე კი ბოლშევიკები რევოლუციის ხელმძღვანელად, პეგემონად სთვლიდნენ პროლეტარიატს, ხოლო მის მოკავშირედ უღარიბეს გლეხობას და იდგნენ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოზიციაზე.

როცა განსაზღვრავდნენ სოციალისტური რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ამასთან ერთად გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ ამ ძალებს არ შეუძლიათ თავიანთი ისტორიული როლი შეასრულონ, თუ მათ სათავეში არ უდგას მუშათ კლასის პარტია, რომლის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის განთავისუფლება, მათ მიერ ძალაუფლების ხელში აღება, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება.

ლენინმა შექმნა და გამოაწროო მუშათა კლასის პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა განსაზღვრეს არა მარტო სოციალისტური რევოლუციის მიზნები და მამოძრავებელი ძალები, მათ ამავე დროს მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია, თუ არ შეი-

ქმნა ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია, თუ არ არის რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობები.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შეიმუშავეს მოძღვრება განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ. მარქსი და ენგელსი იდგნენ განუწყვეტელი რევოლუციის პოზიციაზე. განუწყვეტელი რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური იდეის არის იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა და სოციალისტურ რევოლუციას შორის სრულიადაც არ არის სავალდებულო მშვიდობიანი განვითარების გრძელი პერიოდი. რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ, რომ მოხდეს პირველის გადაზრდა მეორეში მაშინვე, განუწყვეტლივ.

ლენინი სტატიაში „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხური მოძრაობისადმი“ წერდა: „...დემოკრატიულ რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერებისდა კვალად დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“ (ტ. 9, გვ. 286).

იმპერიალიზმის ღრმა ანალიზითა და მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების

უთანაბრობის კანონის აღმოჩენით ლენინმა შეცვალა მარქსისა და ენგელსის დებულება სოციალისტური რევოლუციის ერთგროულად ყველა ან მეტშილ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და გააკეთა დასკვნა, რომ იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა, რომ ამ ეპოქაში სავსებით შესაძლებელია თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

1915 წელს თავის სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ ლენინი წერდა:

„ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონის აქტების გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში“ (ტ. 21, გვ. 417), ხოლო ნაშრომში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ ლენინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია ერთ და იმავე დროს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ მსოფლიო რევოლუცია განვითარდება იმპერიალიზმის სისტემისაგან ცალკეული ქვეყნების თანდათანობითი ჩამოცილებით.

თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყან



ნაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის შენების შესაძლებლობის შესახებ ლენინური თეორიის ფას-დაუდებელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან რევოლუციური ბრძოლების ნათელი პერსპექტივები გადაუშალა ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს და მისცა მათ მეცნიერულად და-საბუთებული რწმენა სოციალის-ტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

მარქსი და ენგელსი რევოლუციის ძირითად გზად თვლიდნენ შეიარაობულ აჯანყებას. მაგრამ მათ არამშვიდობიანი გზა რევოლუციის ერთადერთ გზად როდი მიაჩნდათ, ისინი თვლიდნენ, რომ ზოგიერთ ქვეყნაში მუშებს შეუძლიათ თავიანთ მიზანს მიაღწიონ მშვიდობიანი საშუალებებით.

სოციალისტური რევოლუციის განხორციელება ლენინსაც შესაძლებლად მიაჩნდა როგორც არა-მშვიდობიანი, ისე მშვიდობიანი გზით. გარკვეულ სიტუაციაში ლენინი შესაძლებლად სთვლიდა სოციალისტური რევოლუციის მშვიდობას განვითარებას.

სკოპ XX და XXII ყრილობებმა, კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირებმა დაკონკრეტეს და განვითარეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზების შესახებ. ამჟამად ჩვენი პარტია აღიარებს სოციალისტური რევოლუციის განვითარების

ორივე შესაძლებლობას — როგორც არამშვიდობიან, ისე მშვიდობიან გზებს.

ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზების არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე.

როცა შეიქმნება რევოლუციური სიტუაცია — რევოლუციის გამარჯვების ობიექტური და სუბიექტური პირობები, ცალკეული ქვეყნების ხალხები კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მოახდენენ სოციალისტურ რევოლუციას იმ გზით, რომელიც მათვეის იქნება გამოსაღები და მოსახერხებელი.

კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე დამოკიდებული იქნება არა იმდენად პროლეტარიატზე, არამედ იმაზე, თუ რა ძალით გაუწივენ წინააღმდეგობას რეაქციული ძალები ხალხის დიდ უმრავლესობას. პროლეტარიატი, როგორც ლენინი ამბობდა, ამჯობინებდა მშვიდობიანად აეღო ძალაუფლება და განეხორციელებინა სოციალისტური რევოლუციის ძმოცანები. მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა და ექსპლოატატორულმა კლასებმა ძალადობა გამოიყენეს პროლეტარიატის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, მუშათა კლასი, მშრობელი ხალხი, ძალადობას ძალადობითვე უბასუხებს.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, მოხდება ეს არამშვიდობიანი თუ მშვიდობიანი გზით, შესაძლებელია მხოლოდ სოცია-

ლისტური რევოლუციით, რომელიც წვრილ რეფორმებს კი არ სკოლდება, არამედ სპობს ძველსა და ამკიდრებს სრულიად ახალ, სოციალისტურ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებას.

მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკებმა, ბოლშევიკურმა პარტიამ სოციალისტური რევოლუციის თეორია მტკიცედ დაიცვეს ბურჟუაზიული იდეოლოგებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტების თავდასხმებისაგან. სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პრედონისტები, ლასალიანელები, ტრედ-უნიონისტები, ბერნშტეინიანელები, კაუციანელები, ნაროვნიკები, ეკონომისტები, მენშევიკები, ესერები, ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვა ანტიმარქსისტული, ანტილენინური მიმდინარეობანი, რომლებიც ამხილეს და დაგმეს მარქსმა და ენგელსმა, ხოლო შემდეგ ლენინმა და ლენინელებმა.

მაშინ, როცა რუსეთში უშუალოდ დღის წესრიგში დადგა სოციალისტური რევოლუციის საკითხი, ტროცკიმ, კამენევმა, რიკოვმა და სხვა ანტიპარტიულმა ელემენტებმა კატეგორიულად განაცხადდეს, რომ სოციალისტური რევოლუცია რუსეთში ვერ გაიმარჩებს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას ეკონომის პროლეტარიატის პირდაპირი

სახელმწიფოებრივი და მარტინი გარეშე.

ბოლშევიკურმა პარტიამ დაგმაც კაპიტულანტური შეხედულებები და რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელები მტკიცედ წაიყვანა სოციალისტური რევოლუციის გზით. პარტიამ რევოლუციის აშ-კარა და ფარული მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მოამზადა და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა შეიარაღებული აჯანყება რუსეთში. რუსეთის მუშათა კლასმა უდარიბეს გლეხობასთან მტკიცე კავშირში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, დამხო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და დაძყარა საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარიატის დეტატურა.

ცხოვრებამ, ისტორიულმა გამოცდილებამ ბრწყინვალედ დაადასტურა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორე. 1917 წლის ოქტომბერშა რუსეთში გამარჯვა დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. მსოფლიოში პირველად რუსეთში გაირღვა იმპერიალიზმის ფრონტი და დაიწყო ახალი ცხოვრების — სოციალიზმის მშენებლობა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში. დადგა ახალი ერა — კაპიტალიზმის დამხმაბისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა.

ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო განვითარებაზე. მისი მაგა-

ლითით ფართოდ გაიშალა რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოაცეა.

ამან დიდად შეაშფოთა იმპერიალისტური ძალები. მათ გადაწყვიტეს შინაგან კონტრრევოლუციურ ძალებზე დაყრდნობით აკანშივე ჩატრრიო საბჭოთა ხელისუფლება, მოესპოთ მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

აუცილებელი იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლა, ზავის დადება. მაგრამ პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, ე. წ. „მემარცხენე კომუნისტთა“ ჯგუფი ბუხარინის მეთაურობით, რომლებიც მოითხოვდნენ „რევოლუციური ომის“ განგრძობას და უარს ამბობდნენ ზავის დადებაზე. მათ დასაშვებად მიაჩნდათ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაც კი „საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის“.

ბოლშევიკურმა პარტიამ ამხილა ტროცკისა და „მემარცხენე კომუნისტების“ აკანტიურისტული, გამცემლური, კაპიტულანტური პოლიტიკა და მიაღწია ზავის დადებას ავსტრია-ეგრძმიასთან.

მაგრამ მშვიდობიანი შესვენება ხანმოკლე აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმა შინაგანი კონტრრევოლუცია და საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები. რუსეთში გაჩა-ღდა სამოქალაქო იმი. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მოაწყვეს ინტერვენცია.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური მარტივის ხელმძღვანელობით დაამარცხა რუსეთის კონტრრევოლუცია, უცხოელი ინტერვენციები და მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

ოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდებოდა ძალთა რამდენადმე, თუმცა არა მყარი წონასწორობით. საბჭოთა ხალხი შეუდგა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას.

როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა უშუალოდ პარტიის ამოცანად იქცა, ანტილენინურმა ელემენტებმა, რომლებიც არსებობდნენ როგორც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ისე ჩვენი პარტიის შიგნით, საეჭვო გახადეს სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა სსრ კავშირში და კვლავ დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ერთ ქვეყანაში, კერძოდ, საბჭოთა კავშირში შეუძლებელია სოციალიზმის აშენება მსოფლიო ან ევროპის რევოლუციის გარეშეო.

გაქტიურდა როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპორტუნიზმი. ლენინმა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებიათ ორივე ამ გადახრის წინააღმდევ. რომელთაგან ხან ერთი ხდება მთავარ საფრთხედ და ხან მეორე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში როგორც საერთა-შორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ისე ჩვენი პარტიის შიგნით

დიდ საფრთხეს ქმნიდა შემარცხენები, ოპორტუნიზმი, რომელიც მოითხოვდა ოავითარი დათმობა არ ყოფილიყო, თუნდაც ამას მოყოლობა სოციალიზმის პირველი ქვეყნის დამარცხება.

ლენინის ავალმყოფობის დროს და მისი სიკედილის შემდეგ ბოლშევიკური პარტიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ გააქტიურეს ბრძოლა ყველა ჭურის ოპორტუნისტებმა, განსაკუთრებით ტროკიზმმა, რომელმაც ყველაზე მეტად გაილაშქრა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების წინააღმდეგ. იგი კვლავ ქადაგებდა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობას. მას შეუერთდა შემდეგ წარმოშობილი „ახალი ოპოზიცია“ ზინოვიევის მეთაურობით.

ბოლშევიკურმა პარტიამ ამხილა და დაგმო ტროკიზმი, მემარცხენები იპორტუნიზმი და ყოველმხრივ დასაბუთა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა. პარტია ამ საკითხში მტკიცედ ეყრდნობოდა ლენინის დებულებებს, რომლებიც გამოდიოდნენ იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

კომუნისტურმა პარტიამ მეცნიერულად განსაზღვრა, რომ სსრ კავშირს საკუთარი ძალებით შეუძლია დაძლიოს შინაგანი წინააღმდეგობანი და აშენოს სრული სოციალისტური საზოგადოება.

მაგრამ ეს არ ნიშნავდა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას, სოციალიზმი საბოლოო გამარჯვებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მსოფლიოს ასამდებიშე ქვეყანაში მაინც გაიმარჯვებდა — სოციალისტური რევოლუცია.

პარტიის მიერ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის დასაბუთება და დაცვა ამავე დროს იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დაცვა და დაკანკრეტება.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის დასაბუთებამ ფართო პერსპექტივები გადაუშალა საბჭოთა ხალხს, რომელიც სრული რწმენით შეუდგა სოციალისტურ მშენებლობას.

მაგრამ ტროკისტულ-სინკრონური ოპორტიუნის გარდა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა ბუხარინის მემარჯვენე ოპორტუნისტული ჯგუფი, რომელიც სიტყვით იღიარებდა, ხოლო საქმით უარყოფდა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში ვერ აფასებდა ქვეყნის შიგნით არსებული კაპიტალისტური ელემენტების ძალებს და ყოველმხრივ დათმობაზე მიღიოდა მათთან. ბუხარინის მემარჯვენე იპორტუნისტული ჯგუფი ქადაგებდა კულაკობის სოციალიზმში შეზრდის თეორიას.

კომუნისტურმა პარტიამ სტალინის მეთაურობით იდეურად და ორგანიზაციულად გაანადგურა როგორც ტროკისტული, მე-

მარცხენე, ისე ბუხარინის მემარჯვენე ოპორტუნიზმი და საბჭოთა ხალხი მტკიცედ წაიყვანა წინ — სოციალიზმის გზთ.

ოცდაათიანი წლების შუა პერიოდისათვის საბჭოთა ხალხმა უკვე წარმატებით განახორციელა სოციალიზმის აქცენტის ლენინური გეგმა — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. სსრ კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმია; ამ დროისათვის ჩვენს ქვეყნაში ძირითადად აშენდა სოციალისტური საზოგადოება. ეს იყო მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. მსოფლიოში პირველად საბჭოთა კავშირში აშენდა სოციალიზმი, რომლის მონაბოვარი საკანონმდებლო წესით განამტკიცა ახალმა საბჭოთა კონსტიტუციამ. საბჭოთა კავშირი შევიდა სოციალისტური მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმით თანდათანობით გადასვლის პერიოდში.

მაგრამ მალე ომმა შეწყვიტა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. დაიწყო დიდი სამაულო ომი, რომელიც საბჭოთა ხალხის მსოფლიოსტორიული გამარჯვებით დამთავრდა. განადგურებულ იქნა ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, გაიმარჯვეს საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა წყობილებამ. ვერაც

მტრებზე გაიმარჯვა პროგრესულ მა კაცობრიბამ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ცხოვრებაში. სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მსოფლიოს კიდევ 13 ქვეყანაში. სსრ კავშირი უკვე აღარ არის ხოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. აქციად არის ორი მსოფლიო სისტემა — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა. დაიწალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა.

დადამტურდა სისწორე ლენინის, კომუნისტური პარტიის შეხედულებისა იმის შესახებ, რომ რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოასწავებს სსრ კავშირში სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას. საბჭოთა ქვეყნაში უკვე მიმდინარეობს გაშლილი კომუნისტური მშენებლობა, ხოლო სხვა სოციალისტურ ქვეყნებში წარმატებით შენდება სოციალიზმი. ახლა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ სსრა სოციალისტურ ქვეყნებშიც ლიკვიდირებულია კაპიტალიზმის რესტაციის შესაძლებლობანი. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გარანტია შექმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობამ.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნამ, კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავი-

სუფლებელი მოძრაობის მძღვანელი განაცხებამ თანამედროვე პირობებში შექმნა ძალთა ახალი თანაფარდობა. სოციალიზმის სამყარო სულ უფრო ფართოვდება, კაპიტალიზმის სამყარო ვიწროვდება და სუსტდება. იმპერიალიზმი უძლურია შეაჩეროს უძლეველი, განმათვისუფლებელი, მსოფლიო რევოლუციის პროცესი.

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო ახალი ძალით ვლინდება სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ფასდაუღებელი მნიშვნელობა. დღევანდელი ეპოქა ამ თეორიის სისწორის კიდევ ერთი დადასტურებაა.

„თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმშე გადასვლა, — ნაფეროვანი სკოლა ახალ პროგრამიში, — არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგ საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათვისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვერევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა“ (გვ. 5).

კაპიტალიზმს ძირს უთხრის და ანგრევს ერთ მსოფლიო რევოლუციურ პროცესად გაერთიანებული სოციალისტური რევოლუციები, ეროვნულ-განმათვისუფლებელი, ანტიმპერიალისტური რევოლუციები, გლეხთა ფართო მოძრაობა, ხალხის მასების ბრძო-

ლა ფაშისტური და სხვა ტირანული რეჟიმების დამხმაბისათვის და საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ეროვნული ჩაგვრის წრნააღმდეგ.

ახალ ისტორიულ პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სხვა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა და აკონკრეტეს და შემდგომ განვითარებს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და უჩვენეს კაპიტალის სამყაროს მუშათა კლასს, ყველა მშრომელს მსოფლიო რევოლუციის განვითარების პერსპექტივები.

გარკვეულობა და სიცხადე იქნა შეტანილი ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საერთო კანონმდირებათა და სპეციფიკურ თავისებურებათა საკითხებში.

ლენინი მიუთითებდა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზოგიერთ ძირითად ნიშანს აქვს არა აღილობრივი, არა ეროვნული, არა მხოლოდ რუსული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა, რომ ბოლშევიზმი მისაღებია ყველასათვის, როგორც ნიმუში.

სსრ კაშშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების გამოცდილების განზოგადებით სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მოსკოვის 1957 წლის თათბირზე გააკეთეს დასკვნა, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის პროცესებს საფუძვლად

უდევს მთელი რიგი საერთო კანონზომიერებანი.

„ასეთი საერთო კანონზომიერებანია: — ნათქვამია თათბირის დეკლარაციაში, — მშრომელი მასების ხელმძღვანელობა მუშათა კლასის მხრივ, რომლის ბირთვია მარქსისტულ-ლენინური პარტია, ამა თუ იმ ფორმით პროლეტარული რევოლუციის განხორციელებასა და ამა თუ იმ ფორმით პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში; მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან და მშრომელთა სხვა ფენებთან; წარმოების ძირითად საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება; სოფლის მეურნეობის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნა; სახალხო მეურნეობის გეგმაშეწონილი განვითარება, რომლის მიზანია სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენება, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება; სოციალისტური რევოლუციის განხორციელება იდეოლოგიისა და კულტურის დარგში და მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის, სოციალიზმის საქმის ერთგული მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის შექმნა; ეროვნული ჩაგრის ლიკვიდაცია და ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის დამყარება; სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან; მოცემული კვეყნის მუშათა კლასის სოლიდარობა სხვა ქვეყნების

მუშათა კლასთან — პროლეტარული კლიტურული ინტერნაციონალიზმი“.

თანამედროვე რევიზიონიზმი უარყოფს სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტურა მშენებლობის საერთო კანონზომიერებებს და აზვიადებს ცალკეული ქვეყნების ხალხთა ეროვნებული თავისებურებების, სპეციფიკური პირობების მნიშვნელობას. რევიზიონისტები არ ცნობენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძირითად გამოცდილებას. ისინი უარყოფენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისას სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლსა და ა. შ.

სკვპ და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები გმობენ როგორც საერთო კანონზომიერების უარყოფას და ეროვნული თავისებურებების გაზვიადებას, ისე ცალკეული კვეყნების სპეციფიური პირობების უგულებელყოფეს.

კაპიტალიზმის აპოლოგეტები ამანიშვებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების პროგრამულ დებულებებს სოციალისტური რევოლუციის შესახებ. ისინი გაიძინან, რომ კომუნისტებს სურთ მოახდინონ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მთელს მსოფლიოში ომის, რევოლუციის „ექსპორტის“ გზით. ეს აშკარა ცილისწამებაა. კომუნისტური და მუშათა პარტიები გამოდიან რევოლუციის „ექსპორტის“ წინააღმდეგ. რევოლუციის „ექსპო-

რტი“ უცხოა მარქსიზმ-ლენინიზ-მისათვის.

პარტიის ახალ პროგრამაში ნა-თქვამია:

„უცხოელ ქვეყანაში პროლე-ტარულ რევოლუციას, რომე-ლიც მსოფლიო სოციალისტუ-რი რევოლუციის ნაწილია, ახ-დენენ ამ ქვეყნის მუშათა კლასი, ხალხის მასები. რევოლუცია შეკ-ვეთით ჩოდი ხდება. იგი არ შეი-ძლება გარედან მოვახვიოთ თავს ხალხს. იგი წარმოიშობა კაპიტა-ლიზმის ღრმა შინაგან და საერ-თაშორისო წინააღმდეგობათა შე-დეგად. გამარჯვებული პროლეტა-რიატი ვერ მოახვევს თავს უცხო ხალხს ვერავითარ გაბედნიერე-ბას, რადგან ეს ძირს გამოუთხრის მის საკუთარ გამარჯვებას.“.  
(გვ. 42).

კომუნისტები იქიდან გამო-დიან, რომ გარდუვალია კაპიტა-ლიზმის დამხობა და კომუნიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში. ეს მათ მტკიცედ სწამო. ამ რწმე-ნას არ ეწინააღმდეგება ის, რომ კომუნისტები რევოლუციის „ექ-სპორტის“ წინააღმდეგი არიან და გამოდიან ორი სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მშვი-დობიანი თანაარსებობის მომხრე-ებად.

მშვიდობიანი თანაარსებობა ექ-ება მხოლოდ სხვადასხვა საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური წყობი-ლების სახელმწიფოთა ურთიერ-თობას. იგი არ ვრცელდება მუშა-თა კლასისა და ბურჟუაზიის და-მოკიდებულებაზე, კომუნისტური

და ბურჟუაზიული იდეოლოგიების ბის ურთიერთობაზე.

კომუნისტური და მუშათა პარ-ტიები, გამოდიან რა რევოლუცი-ის „ექსპორტის“ წინააღმდეგ და სხვადასხვა საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური წყობილების სახე-ლმწიფოების მშვიდობიანი თანა-არსებობის მომხრეებად, ამავე დროს მოუწოდებენ მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს სოცია-ლისტური რევოლუციისაკენ, ექ-სპლოატატორული წყობილების დამხმარებისა და სოციალისტური წყობილების დამყარებისაკენ.

კომუნისტების რწმენა ცალკე-ულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესა-ხებ იმას ემყარება, რომ სოცია-ლიზმია და კომუნიზმის გადამწყ-ვეტი უპირატესობა აქვს კაპიტა-ლიზმთან შედარებით. სოციალი-ზმისა და კაპიტალიზმის მშვიდო-ბიან შეჯიბრებაში უსათუოდ გა-იმარჯვებს სოციალიზმი.

მაგალითის ძალა დიადი ძალაა, — ამბობდა ლენინი. საბჭოთა ქავშირისა და სხვა სოციალისტუ-რი ქვეყნების მაგალითით ცალკე-ული ქვეყნების ხალხები კომუ-ნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით დამხობება არსებულ რეაქციულ რეაქიმებს და დამყარებენ სოციალისტურ წყობილებას. ეს მოხდება მაშინ, როცა ამისათვის მომწიფდება ობიექტური და სუბიექტური პი-რობები, შეიქმნება რევოლუციუ-რი სიტუაცია.

ცალკეულ ქვეყნებში სოცია-ლისტური რევოლუციის ამოცა-

ნების განხორციელების დროს მოსალოდნელია იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევა იმ ხალხების საშინაო საქმეებში, რომლებიც ოლდგნენ ექსპლორატორული წყობილების წინააღმდეგ და დაადგნენ სოციალისტური რევოლუციის გზას.

ამიტომ არის, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები უარყოფენ არა მარტო რევოლუციის „ექსპლოტატის“, არამედ ისინი გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტური კონტრრევოლუციის ექსპორტსაც. სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად ოვლიან დაეხმარონ შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ.

ცალკეული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთ მოღვაწეობაში ეყრდნობიან სოციალისტური ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებას, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს და რაზმავენ მუშათა კლასს, ყველა მშრომელს კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

იმპერიალიზმა უდიდესი პარცხი განიცადა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნითა და კოლონიური სისტემის დაშლით.

იგი აღარ არის ერთიანი, ყოველისმომცველი და უძლეველი სისტემა. სულ უფრო გაღრმავდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი. მაგრამ იმპერიალიზმის ბუნება არ შეცვლილა. იგი კვლავ დარჩა ისეთივე ვერაგი, მტაცებლური და აგრძესიული, როგორიც იყო სოციალიზმის წარმოშობამდე. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, არის ახალი ომის წარმოშობის საფუძველი და საფრთხე. მაგრამ თანამედროვე პირობებში მსოფლიო ომის ფატალური გარღუვალობა არ არის. ახლა იმდენად გაიზარდნენ მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები, რომ იმპერიალისტები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მათ. მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ძალა ერთობლივი და აქტიური მოქმედებით შეიძლება შენარჩუნებულ და განმტკიცებულ ქანას მშვიდობა, თავიდან აცილებულ ქანას ახალი მსოფლიო ომი, თერმოატომური ომი.

ძეველი, დრომოჭმული, კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი როლი ისტორიის მიაკუთვნა საერთაშორისო მუშათა კლასს და მის ავანგარდს — კომუნისტურ და მუშათა პარტიებს. სკვადალოვარებისამაში ნათქვამია, რომ თანამედროვე ეპოქის ცენტრში დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც კაცობრიობის

განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა.

მუშათა კლასი მთელ დემოკრატიულ ძალებთან ერთად იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემაღენერობითია.

თანამედროვე მუშათა და კომუნისტური მოძრაობა წინ მიღის და ვითარდება. მაგრამ მას დიდ ზიანს იყენებენ გამოიშველი ძალები.

სერთაშორისო მუშათა მოძრაობის გათიშვა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამცემლური მოქმედების შედეგია, აფერხებს მუშათა კლასის ბრძოლას თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, კაპიტალისტური წყობილების და მხობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მუშათა კლასის ერთიანობის აღდგენისა და განმტკიცების მიზნით კომუნისტური და მუშათა პარტიები ცდილობენ ითანამშრომლონ სოციალისტებთან, სოციალ-დემოკრატებთან.

კომუნისტურ მოძრაობაში არსებული უთანხმოება წარმოიშვა ჩინეთისა და ზოგიერთი სსვერცხლის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ანტილენინური, გამოიშველი მოქმედებით.

ამ გათიშულობისა და უთანხმოების დაძლევა, მემარჯვენე და მემარტენენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიების უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის თათბირმა კვლავ დაადასტურა, რომ აუცილებელია პრინციპული ბრძოლა მემარჯვენე და მემარტენენე თანამდევ ამ გადახრების დაძლევის გარეშე შეუძლებელია გათიშულობისა და უთანხმოების აღმოფხერა, რაც მიღწეული უნდა იქნას ამხანაგური და პრინციპული დისკუსიით, აზრთა ურთიერთ გაზიარებისა და გაგების გზით.

მოძმე პარტიებს შორის ურთიერთობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, რაც გულისხმობების სოლიდარობასა და ურთიერთმხარდაჭერას, დამოუკიდებლობას, თანასწორობულებიანობას და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას.

ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ სერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინსვლისა და გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მაგრამ თანამედროვე პირობებში აუცილებელია არა მარტო სერთაშორისო მუშათა და კომუ-

წისტური მოძრაობის ერთიანობის აღდგენი და განმტკიცება, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანია მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანება და ერთობლივი მოქმედება.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს შორის გადამწყვეტია სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც წამყვანი რევოლუციური ძალაა და წარმოადგენს მთელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის დასაყრდენს.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალიზმის მსოფლიო სისტემას მხარში უდგას საერთაშორისო მუშათა კლასი, რომელიც ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი და დამრაზმველი ძალაა. იგი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით საოცვეში უდგას ყველა რევოლუციურ, ანტიიმპერიალისტურ ძალებს.

ანტიიმპერიალისტური ფრონტის ერთეულთ აქტიურ რაზეს წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მსოფლიო რევოლუციურ პროცესში

მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემაღენელი ნაწილია. მათი მიზანია ანტიიმპერიალისტური, ანტიუციოდალური, დემოკრატიული ამოცანების განხორციელება, იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება.

თანამედროვეობის ამ სამი უდიდესი ანტიიმპერიალისტური ძალის — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთობლივი მოქმედება უმნიშვნელოვანესი პირობაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისათვის.

ამ ბრძოლის დიალი პროგრამაა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის თათბირის მფრი მიღებული ძირითადი დოკუმენტი — „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“.



# ქართული და კულტურული

\*\*\*

მოთა ქართული

გუნდა და პოეზია

გადაჭირებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ პოეზია შობისთანავე და-უმეგობრდა ბუნებას. ცივ და შეკრინილოეთშიც და მზიან ზა უხვ სამხრეთშიც ბუნებას ერთნაირი გატაცებით უმღერადნენ ყველა დროი პოეტები. გამონაკლის ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც საქართველო წარმოადგენდა. პირიქით, საქართველოს ბუნებავ თავისი „უთვალავი ფერითა“ და განუმეორებელი სილამაზით არა მარტო ქართველი, სხვა ერთ პოეტებიც კი მოხიბდა, მათ შორის რუსული პოეზიის მზე ჰუშკანი, ლერმონტოვი და სხვები.

ბუნებისა და პოეზიის მჭიდრო კავშირი და განუყოფლობა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ადამიანი ცნოვრობს არა მარტო საზოგადოებაში, არა მედ ბუნებაშიც და თვითონ არის ბუნების შვილი, მას ისეთივე ყოველწმინდობა აქვთ ბუნებასთან, როგორც ადამიანებთან. ამდენად ბუნებას ეერავინ აუვლის გვერდს, ვერც ერთი შემოქმედი.

ჩეულებრივ ბუნება ორნაირად არსებობს პოეზიაში — თავისთავად და აღმიანთან მიმართებაში. იგი ადამიანისა-გან დამოუკიდებლად არსებობს და თავისი საკუთარი ცხოვრება, თავისი საკუ-

თარი კანონები აქვს. არიან პოეტები, რომლებსაც უმთავრესად იზიდავს მარტო ბუნება, „წმინდა“ პეიზაჟი და სახელი მოიცვეჭეს მისი სურათების ისტარური გაღმოცემით. სხვები კიდევ ბუნებას თოვქმის ყოველთვის გვიჩვენებენ ადამიანთან მიმართებაში.

მაგრამ ასეა თუ ისე, „წმინდა“ პეიზაჟს ხატავს თუ არა, პოეტს ბუნებაში ყოველთვის შეაქვს თავისი განწყობილება, ყოველთვის გაღმოგვცემს თავის დამოკიდებულებას ბუნებისა და საზოგადოებისადმი. თვით უაღრესად „ნეიტრალური“ პეიზაჟიც კი ღრმად იდეურია, ცალყოფს პოეტის სულიერ ინტერესებს, მის განწყობილებას. გავისხენოთ თუნდაც გალაკტიონის ცნობილი ლექსი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“. განა იგი ნაჯლები ძალით გაღმოგვცემდა პოეტის სულიერ დეპრესიას, უიმედობას, რასაც მასში შავბნელი რეაქციის ხანა იწვევდა, ვიზრე სხვა რომელიმე „არაპიზაფური“ ლექსი? თვით ინტერესი ბუნების ამა თუ იმ სურათისა ან მოვლენისადმი ამზილებს შემოქმედის იდეურ პოზიციას, გამოხატავს მისი „სულის ღიალექტიკას“.

აი ამიტომ ლექსები ბუნებაზე პოეზიის განუყოფელი ნაწილია, ურომლი-

სოდაც იგი ძლიერ ბევრს დაკარგებდა, და არა უბრალო ბალატი, უსარგებლო საშევენისი, როგორც ზოგიერთი ფიქ-რობდა წინათ. ფოთ ცხოვრებამ, სინამ-დვილებ უარყო ვულგარული სოციოლ-ოგების მონაჩმახი, რომ პოეტის გატაცე-ბა ბუნებით თითქოს გამოხატადეს შე-მოქმედის გულგრილობას სოციალუ-რი მოვლენებისადმი და, მათი გააფთორე-ბული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბუნებამ დიდი წანისი თავისი კუთხინილი ადგილი დაკავა ქართულ საბორთო პო-ეზიაში.

უკვე ოციან წლებში ქართველი პოეტები სერიოზულ ყურადღებას უთ-მობდნენ ბუნების და ცდილობდნენ ღროვის, ეპოქის შესაბამისად გამოეყე-ნებინათ საუკუნეთა მანძილზე დაგრო-ვებული მიზიდარი ტრადიციები. ასე იყო აჭარაშიც. პარმენ რურუსი, ნესტორ მა-ლაზონიასა და უფროსი თაობის სხვა პოეტებს თავიათ ლექსებში უხვად შექ-ქონდათ ბუნების სურათები, უპირატე-სად ახალი ჟიზზაები. საზოგადოებისა და ბუნების გარდაჭმის მეოხებით რომ ჩნდებოდა ჩვენში.

ნიშანდობლივია, რომ ბუნებისადმი დამოკიდებულებაში მეტიოდ აისახა ის კლასობრივი, იდეოლოგიური ბრძოლა, იმ დროს რომ მიმდინარეობდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. მაშინ, ოციანი წლების მიწურულსა და ოცდათიანი წლების დამდეგს, იყვნენ პოეტები, რომლებსაც არ ეკაშირდათ ინდუსტრიის შექრა ხალ-ხის ცხოვრებაში, მწვავედ განიცდიდ-ნენ ტრადიციული ქართული სოულის რევენას და გიატრონდნენ სოფლური იდილიის კვდომას. მათგან განსხვავებით ცნობილი მუშა-პოეტი პარმენ რურუს მხურეალუდ მიესალმებოდა სოფლის პე-იზაების შეცვლას და ახარებდა მისი ახა-ლი იერი. როგორც კი სოფელ მოფარე-თში, სუფის მახლობლად, აღმიართა ნა-ვთსაშებონ კაბურლილები, პოეტმა მა-შინდე მიუსროვნა მას თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ბათომიდნ მოფარე-თამდე“ (1928), რომელშიც დიდი სიყვა-

რულით დაგვიხატა ახალი მოფარეთის პეიზაჟი, ახალი სოფლის სურათი.

ამ მწვანე მინდვრებს, მწვანე ბალახებს

და მობიბინე სიმინდის ყანსს, ნიავის ნაცვლად ქარხნის საყვირი ეტყვის ცხოვრების სხვა იავ-ნანას.

ეს „სხვა იავ-ნანა“ იყო, პოეტს რომ ახალისებდა და სულიერ შეება აგრძ-ნობნებდა, ასაფერი იგი მოასწავებდა „მძიმე ცხოვრების“ აღსასრულს და სოციალიზმის დამკვიდრებას.

ამავე ასპექტში ასახავდა ბუნებს ნებ-ტორ მაღაზინია. მართალია, პოეტის იმ-დროინდელ ლექსებში ხშირად ვხვდე-ბით სტყვა „ლამეს“, მათ შორის სათაურებშიც („ლამე ჩას პლინ-ტაციებში“, „ერთი ღამე სულოში“ და სხვა), მაგრამ ეს არ აიხსნება ღამის რაი-მე განსაკუთრებული სიყვარულით. პი-რიქით, პოეტი ესწრაფოდა მშეს, სინთ-ლეს და, თუ ხშირად ასენებდა ღამეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ხაზი გაესვა სოციალისტურ გარდაქმნათა სიღადისა-თვის. ახალი ცხოვრების დამკვიდრებამ ისე შეცვალა უკელაფერი, რომ ღამეც კა აღარ იყო დელებური ღამე, ისიც კა სხვანაირი გახდა, თითქოს ნათელი შეე-მარა და დღის გაგრძელება გახდა. თუ წინათ შეღამებისთანავე წყდებოდა შრომა, უკელანი იძინებდნენ და მთელი სოფელი ბნელში ეხვეოდა, ახლა გვია ღამემდე კვეთს სიბნელეს, „ჩვენი ოდე-ბის სარქმელთა შუქი“ („ერთი ღამე სულოში“) — ვინ წიგნს კითხულობს, სწავლობს, ვინ კურებაზეა, სადაც სოფ-ლის საჭირობროო საკითხებს განიხი-ლავენ. ერთი სიტყვით, ღამე უფრო შა-ნაარსიანი, სიცოცხლით სავსე გახდა.

ბუნების გარდაქმნის საინტერესო სუ-რათებს ხატავს ნესტორ მაღაზინია ერთ-ერთ აღრინდელ ლექსში „ახლა იმ ხევში ელსადგურია“. საღალ „მაღალ მთათა შორის“ მოქცეულ ხევში, სადაც იშვიათდ თუ გამოჩენდოდა აღამიანი, მივიღნენ მშენებლები და უკელაფერს სახე უცალეს, აშენეს ელსადგური, და-ამკვიდრეს ახალი ცხოვრება.

უფროსი თაობის პოეტების გზა განაგრძეს მამია გარშანერი, გიორგი სალუქვაძემ, ნანა გვარიშვილმა, ფრიდონ ხალვაშვილი. მაგრამ მთ ბევრი სიახლევ შეიტანეს ბუნების ასახეაში. ოუ პარმენ რუჩუა და ნესტორ მალოხნია არსებითად ითარგლებოლენენ ახალი პეზარებით და ბუნება იმდენად აინტერესებდათ, რამდენადც იგი ადამიანის სამსახურში დგებოლა, მომდევნო თაობის პოეტების შემოქმედებაში ბუნებისაღმი დამოკიდებულება უზრო მრავალფეროვანი და ყოველმხრივი გახდა. გაჩნდა „წმინდა“ პეზარები, მეტი ყურადღება და ეთმო საყუთრი ბუნებას.

ლექსების რამდენიმე ციკლი მიუძლენა ბუნებას პოეტმა ქალმა ნანა გვარიშვილმა — „გაზაუხულის მინისტურები“, „შემოღვომის ეტიუდები“, „ლექსუბური ლამები“ და სხვ. ყველა ინიცი გამსჭვალულია ბუნების ორმა სიყვარულით. პოეტი ქალისათვის ბუნება ეს არის სრული პარმონია, ფარდ-ყვავილების სამყარო, ლამაზი და ფერად-ფერადი სურათები. პარმონია ადამიანსა და ბუნებას შორისაც. მაგრამ მათი ბრძოლა არ არის მთავარი გონიგი სალუქვაძის პოეზიაში. პოეტი უპირატესად მიაიც კეთილს გამოჰყოფს და გვიჩერებს მიუანგარიბას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსები „მტკრის კორინტელი“ და „ლერწამი“. ბებერი ცაცხი, მარტოკა რომ დგას მინდორში, „რაც გაჩნდა მას მერე სიკეთეს არიგებს... და სამაგიეროს არვისგან არ ელის“. კიდევ უფრო ამაღლებელია ლერწამის ბედი. მას ადამიანმა სიცოცხლე მოუსწრაფა, ყელი გამოსკრა, იგი კი მაშინვე სალმურად იქცა, რომ კვლავ სიკეთეს ემსახუროს, კეთილი მომოქმედოლი.

ბევრ ლექსში ნანა გვარიშვილი „წმინდა“ პეზარეს ხატაცს, მაგრამ მას აქვს ისეთი ლექსებიც, რომლებშიც ბუნება ერთგვარი ფონია და პეზარე, სურათი ვმსახურება პოეტის ინტიმური არ საზოგადოებრივი მოტივის, განწყობილების გაღმოცემას. ამ ჩატალის ლექსებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ერთი უსათაურო მინატურა, მიღლივი მშეიღიბის დაცვისაღმი. ეს იდეა ლექს-

ში თითქოს სავსებით მოულოდნელად იტრება და სწორედ ამით არის იგი საინტერესო.

თოლია ფრინავს პორტოან სულ ახლოს,

კრთიან ტალღების მწვანე სერები. გვემუდარებით, არ დამანახოთ ზღვაზე პირქუში კრეისერები.

თავისებურია ბუნებისაღმი გიორგი სალუქვაძის დამოკიდებულება. პოეტი ბუნებაში არ ხედავს სრულ ჰარმონიას, არც მარტო კეთილს და არც მარტო ბორიტს. მისი აზრით, ისევე, როგორც საზოგადოებაში, ბუნებაშიც ერთმანეთს კერძის კეთილი და ბორიტი, ქარი ანგრევს, მუხა ხელს უშლის ნგრევას, იცავს ადამიანს — „მძლავრი ტარებით ჰერავს სახურსეს, რომ ვეღა ავნოს სახლს ქარიშხალმა“ („მუხა ჩემი სახლის წინ“). სრულიად აშკარაა, რომ აქ მუხა განსახიერებს კეთილს, ხოლო ქარი ბორიტს, მაგრამ მათი ბრძოლა არ არის მთავარი გონიგი სალუქვაძის პოეზიაში. პოეტი უპირატესად მიაიც კეთილს გამოჰყოფს და გვიჩერებს მიუანგარიბას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსები „მტკრის კორინტელი“ და „ლერწამი“. ბებერი ცაცხი, მარტოკა რომ დგას მინდორში, „რაც გაჩნდა მას მერე სიკეთეს არიგებს... და სამაგიეროს არვისგან არ ელის“. კიდევ უფრო ამაღლებელია ლერწამის ბედი. მას ადამიანმა სიცოცხლე მოუსწრაფა, ყელი გამოსკრა, იგი კი მაშინვე სალმურად იქცა, რომ კვლავ სიკეთეს ემსახუროს, კეთილი მომოქმედოლი.

გიორგი სალუქვაძეს ბუნების გამაცვილებული გრძნობა აქვს და შეუძლია მიაკვნოს ძლიერ დამანასითებელ დეტალებს, მათგან შექმნას მოზაიკური სურათი, რომელიც ხშირად ნახატის შთამბეჭდილებას ტოვებს. ძლიერ საინტერესოდ მიგვაჩნია პოეტის ერთი უსათაურო მინატურა, რომელიც ორიგინალურად გვაგრძნობინებს ქართული ბუნების სიღადეს.

ამ კლდიდან ხიდს რომ გადავცერი,  
ასე მგრძნია იცელება ბალმია —  
წყალზე გაუდის წალამის ღრეო,  
რომ კიანგველა გავიდეს გაღმა.  
სულ სხვა მხრივ აინტერესებს ბუნე-  
ბა მამია ვარშანიძეს. იგი სიცოცხლის  
მომღერალია და ბუნებაშიც უპირვე-  
ლეს ყოვლისა სიცოცხლის უძლეველო-  
ბას ჟეტრფის. „მე გაფურჩქვნილი მუხა  
მიყვარს. მტერი კი არა, სიცოცხლის ჰი-  
მი ჩუბრულოთ რომ გამიზარა“, წერს  
პოეტი ერთ-ერთ ლექსში („შრიალებს  
მუხა“) და ეს სიტყვები ბუნებისადმი მი-  
სი დამკიდებულების გასალებია. მისთ-  
ვის მთელი ბუნება — ეს არც სიცოცხ-  
ლისა და სიკედილის, გაზაფხულისა და  
ზამთრის ჭიდღილი, ორთაბრძოლა და უკუ-  
ლაფერს ადიდებს, რაშიც კი თავს იჩენს  
სიცოცხლის ძალა, მისი უწყვეტობა და  
უსასრულობა. ამით ისის ნერგების გა-  
ნსაკუთრებული სიყარული გაზაფხუ-  
ლისა. იგი გაოცებული ჟეყურებს, რო-  
გორ იღვიძებს ნაზამთრი ბუნება და შე-  
ხარის სიცოცხლის ხელახლ აფეთქებას  
(„მთში ჰიცვეკებს მერცხალი“), მაა ბე-  
დინიერებდა მანნინი ისა თუ ენდერის  
ამობრწყინება — მათ ხომ გაზაფხუ-  
ლი, სიცოცხლე მოჰყება. ამიტომაც  
ლოცაც მარია ვარშანიძე ის შემოს-  
ლას: „მინდა დავლოც ჩემს ეზოში  
ის შემოსვლა“, წერს იგი ერთ-ერთ  
ლექსში და კიდევ ერთხელ გვაგრძო-  
ბინებს ბუნების განახლების, სიცოცხ-  
ლის აღორძინების შვერიერებას.

მამია ვარშანიძის პოეზიაში ბუნების  
ბევრი ლამაზი. წარმტაცი სურათია, მა-  
გრა ძრიერ იშვიათად თუ შეცელებით  
„წმინდა“ პეიზაჟს. პოეტი ბუნებას თი-  
თემის ყოველთვის ადამიანთან ერთად სა-  
ხავს, სურათში შეაქვს გარევული გან-  
წყობილება, ზოგჯერ კი „კომენტარიაცი-  
ურთავს, რაც უშუალობას ანიჭებს და  
უურო ერთობის ხდის ლექსს. ამ მხრივ  
სამაგალითოა პოემის „ხეხანის არწივე-  
ბი“ შესავალი, სადაც ერთმანეთს ენაც-  
ლება ბუნების აღწერა და „კომენტარი“. „

ავარიისწყალი, ზევიად მთებს  
ჩახვეულ-ჩაჩერებული,

მორბის, მოშხეულის, კლდეებთან  
შებმას და შეცლას ჩვეული.  
და მის კრიალა საჩერი  
ცა არის ჩაჩერებული.  
ზოგან ქაფს იყრის, მრისხანებს,  
ზოგან მგლოვარე ჩანგია,  
ლოკავს და ლოკავს შემაგიოთ  
ლოდებს ხავიანს, კანგიანს.  
მამულიშვილ, უსმინე,  
იქნება ზარის ფაზი ძევს!  
იქნება წყალსაც სცირს ვარამი  
ხახულისა და შავშეთის,  
მით მოსტრიან წყვარამი  
წყალს ნაპირ-ნაპირ შაშვები.  
ეგებ ამიტომ აცეიათ  
შაშვებს და ამ მთებს შავები?  
ფართოდ არის წარმოდგენილი ბუნება  
ფრიდონ ხალვაშის პოეზიაში. ბუნება  
პოეტისათვის მთელი სამყარო, სადაც  
იგი პოლურს საყვარელ ცერებს, ხმებს,  
მასტერულ სახეებს. ნადვილ შთაგონე-  
ბას. ერთ-ერთ კრიტიკულ ერთიანი  
(„ზღვა და პოეტი“) გ. ხუსმილმა ცო-  
რად შენიშვან. რომ ფრ. ხალვაშის პოე-  
ზიაში ცეცდებით ისეთ შატერულ სახე-  
ებს, რომელიც პოეტისათვის მხოლოდ  
ზღვას შეეძლო შთაგონებინა. „ზორად  
რომ ლელავს, ხმა თუ ტალღა“, წერს  
პოეტი რომელისადმი მიძღვნილ ლექს-  
ში. ან კიდევ: „კით აივანზე, გმილულ  
ცაზე სველ ბატესაგით ჰყიდია ნისლი!“  
ეს შესაძიშვანი მხატვრული სახეები მა-  
რთლაც მხოლოდ ზღვისპირებს შეეძლო  
მოგვით, ლაენაბა და განეცადა.  
ლირიკონ ხალვაში მთაში დაიბადა, იქ  
გაიზარდა და, სავირეველი როდია, თუ  
მის ლექსებში მთის პეიზაჟები კურბობს.  
კაბუკიბაში იგი ზღვისაც გაუცნო. ბო-  
ლოს კეცენებიც გადალახა და მის სულ-  
ში ამ უსაზღვრო სივრცეებმაც საბატოი  
ადვილი დაიკავა. ზღვის გაცნობაც პო-  
ეტს კიდევ უფრო შეაყვარა სამშობლო,  
შშიაბლიური ბუნება, რომელსაც მთები  
სიმაღლეს ანიჭებს, ზღვა კი სილმეს.  
ჩვენი ბუნების ეს თავისებურება კარ-  
გადა „დაჭერილი“ ლექსში „ზღვა და  
მწვერვალი“.



ზღვა და მწვერვალი, როგორც  
თქმულებას,  
დინჯად უსმენენ მჭუხარ ნალვრებს...  
და მიხარია, ქართულ ბუნებას,  
რომ აქვს ამგვარი სიღრმეც,  
სიმაღლეც.

ბუნებასთან ყოველდღიურმა ცოცხალ-  
მა კავშირმა და ურთიერთობამ პოეტი  
დაარწმუნა, რომ იგი ადამიანის უანგა-  
რო მეგობარი, დამხმარე და შემწეა. იგი  
გვაწავლის, გვათბობს, გვმოსავს, გვსა-  
ზრდოებს. ლექსში „მე და ხე“ ფრიდონ  
ხალვაში სიყვარულით ესაუბრება ეზოში  
ამაყად ამართულ მუხას და მაღლობით  
მოხსენიებს მას ყველა იმ სიკეთისათვის,  
რაც მას მიაგო ჩვილობიდან დღემდე.  
მუხა იწვეოდა, რომ გაეთბო მისი კერა  
და გაზარდა ბალი, აკვარიც მისი მექრ-  
დის ძვლიდან გამოყერეს და მისავე  
გრილოში ისვენებდა დალლილი დედა,  
ბავშვის რეჟის რომ აწოვებდა. მუხა იყო  
პოეტის პირველი მასწავლებელიც, თა-  
ვისი სიცოცხლის მაგალითობით რომ წა-  
რუშლელი კალი დატოვა მის სულში.  
მაგრამ მაღლობა მე წამყვება,  
ხეო, შენდგი.

შენმა შრიალმა,  
შენმა ტოტმა

და შენმა რქომა,  
მასწავლა ბრძოლა,

რომ შევბმოდი ქარს გამბედავი,  
მასწავლა შშრიმტელ მიწაზე დგომა.

განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდე-  
ბა ფრიდონ ხალვაში ჭორობს. გარდა  
იმისა, რომ მას მიუძღვნა ლექსების მთე-  
ლი ციელი, თავის ერთ-ერთ სანქტერესო  
კრებულს „ფიქრები ჭორობთან“ უწოდა  
და ცალკეულ ლექსებშიც ხშირად იხსე-  
ნიებს ძველთაგანვე ფართოდ ცნობილ ამ  
მღინარეს. სეუთი უსრადღება და ინტე-  
რესი ჭორობისადმი არც ერთ ქართველ  
პოეტს არ გამოუჩენა.

ჭორობი საქართველოს ერთ-ერთი  
ყველაზე წყალტვი და მძლავრი მღინა-  
რეა, რომელიც ულამაზეს ხეობაში ზათ-  
ქით მოედინება, ვიდრე კახაბრის ველზე  
არ გაივავებს. მაგრამ მარტო მით როლი  
გაიტაცა პოეტი ჭორობმა. ერთ-ერთ

სტატიაში („აჭარა ფრიდონ ხალვაშის  
პირზაში“) დოც. ალ. ჩავლენიშვილი  
სწორად მენიშვნელია: „საქართველო ქარ-  
თულ ლიტერატურაში მდინარეები უფ-  
რო მათთან დაკავშირებული საზოგადო-  
ებრივი მოვლენებით იზიდავდნენ მწერა-  
ლთა და მკითხველთა ყურადღებას“, ჭორობმაც იმით მიიღია პოეტების, ქე-  
რობდ, ფრიდონ ხალვაშის ყურადღება,  
რომ „მარტო მდინარე კი არა, ის საქარ-  
თველოს ძარღვია“, იგი ბევრი ისტორია-  
ული ქარ-ცეცხლისა და მის სანაპიროე-  
ბთან დატრიალებული ტრაგედიის უტ-  
ყვი მოწამეა:

ჭორობში ჭვანან მთების სვეტები,  
ზეირთებში ისმის ძველი იგავი,  
შიგ არის ჩვენი სისხლის წვეთები  
და სიხარულიც ჩვენა შიგ არის.

(„კაბაბრის ველი“).

და ის აქ, ამ ქართული მდინარის ნა-  
პირზე პოეტს უნებლივთ აგონდება სამ-  
შობლოს ტრაგიული წარსული, როცა  
ათასობით და ათი ათასობით პატრიოტი  
ეწირებოდა დამპყრობთა წინააღმდეგ  
ბრძოლას, ქართველობის დაცვას. მომ-  
ცური მტერი ცდილობდა არა მარტო ტე-  
რიტორიულად, არამედ სულიერადაც,  
ეროვნულადაც მიეტაცნა აჭარა და ცე-  
ცხლითა და მახვილით მოეძარევა ყო-  
ველგვარი ქართული. აჭარა არ ნებდე-  
ბოდა, თავგანწირვით ებმებოდა უთნას-  
წორო ბრძოლაში და იღუპებოდნენ სა-  
მშობლოს საუკეთესო შეილები, იღვრე-  
ბოდა ზღვა სისხლი.

რა გლოვად ვიყვა, რა დასანაზი,  
ჭორობს მეწარულ ფრიზი უკლია,  
საქართველოში, ალბათ, კალმაზი  
მიტომ სისხლისგრად დაწინცელულია.  
(„მე არ ვინები შენი სტუმარი“).

ალბათ იმიტომ, რომ საოცრად მძლავ-  
რი და ჩქარი მდინარეა, რომელიც ყო-  
ველგვარ დაბრკოლებას ძლევს თავის  
გზაზე, ხალვამ ჭორობშე თქმულებები  
შეთხსა და იგი დაუკავშირა გმირთაგმი-  
რის კახაბრის სახელს. თქმულებებთან  
ერთად იქმნებოდა ჩვეულებები. ერთ  
ასეთ ჩვეულებას ფრიდონ ხალვაში გვა-  
ნცობს ლექსში „ჭორობი“:

ძელად ჩვილს თურმე ჭოროხში  
 გავლებულ ქუდს ახურავდნენ.  
 ბავშვს თავზე დააშრებოდა  
 იმ მწვერვალების სიცელე,  
 სადაც კახაბრის ხმალი და  
 ვაჟაცოა ტვლები ისვერებს.  
 წინაპრის სულის გრიგალი  
 რომ გაგეოლოდა ისევე.

მდიდარი და ლამზია ჩვენი ბუნება,  
 ჩვენი ცა, ხმელეთი და ზღვა. იგი ერის  
 საუნევა, თვით ჩვენი სიცოცხლეა, იგი  
 კონილი და უნგარონ და ადამიანისაგან  
 სანაცვლო სიკეთესა და უანგარობას  
 ელის. მაგრამ ზოგიერთი განუკითხავად  
 და უდირად ეკიდება მას; უწყინარ ია-  
 საც კი არ იძობს და გულგრილად ფე-  
 რით ოქლავს („ის სიკელილი“). კიდევ  
 მეტი: „ზოგი იმგვარად გადაირევა, ბულ-  
 ბული ნახის, ესვრის იმწამევე, სურს  
 უწყინარი ტურფა ირემი რქებდალეჭი-  
 ლი ეგდოს მიწაზე“. პოეტს მიაჩნია, რომ  
 ასეთი საქციელი, არც მეტი, არც ნაკლე-  
 ბი, ბოროტებაა, დანაშაულია ერის, კა-  
 ცობრიობის წინაშე: „ჩვენი ბუნების  
 მკვლელი თუ არის, ის ხომ იგივე კაცის  
 მკვლელია“. კაცის მკვლელია იმიტომ,  
 რომ სპობს, ანადგურებს ჩვენსავე სი-

ცოცხლეს, მის საფუძველს და არსებო-  
 ბის პირობას. ბუნება უნდა ვიმსახუროს,  
 ჩვენს სამსახურში ჩივაუენოთ, მაგრამ  
 უნდა დავიცათ კიდევაც, მოვუაროთ  
 მას: „სიყვარულს ელის, სიბრალულს  
 ელის, და მოფერებას ელის ბუნება“.

უფროი თაობის პოეტების, საუკუნე-  
 თა მნიბილზე დაგრივებული ქართული  
 პოეზიის საუკეთესო ტრადიციები ცო-  
 ცხლობს და ეთორება ლევან გელაძის,  
 ჯემალ ჯაყელის, შოთა როისას, ზურაბ  
 გორგილაძის, რევაზ ართილავასა და  
 სხვა პოეტების შემოქმედებაში. ლამბა-  
 პეიზუებთან ერთად ისინი გვიჩვენებენ  
 ჩვენი ქართული ბუნების სიმდიდრეს,  
 მის გავლენას ადამიანის ყოველდღიურ  
 ცხოვრებაზე, ფსიქოლოგიზე, ხალხის,  
 გულწრიულ სიყვარულს ბუნებისადმი,  
 გვიჩვენებენ, თუ როგორ გარდაჭმნას  
 ადამიანი ბუნებას, როგორ ამდიდრებს  
 და ამჟღვენიერებს მას.

ბუნება და პოეზია ისევე, როგორც  
 საუკუნეთა წინათ, დღესაც ერთად არი-  
 ან, კვლავ ხელიხელჩაკიდებული მიღიან  
 და ამდიდრებენ, ალამაზებენ ჩვენს ცხო-  
 ვრებას, ადამიანის სულიერ სამყაროს.



# ნარილები



იორსებ ხადვაში

## ხიხანის (ხირხათის) ეტიმოლოგიისათვის

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ეტიმოლოგიურად შეუსწავლელი სახელი აღგილისა. ხიხანი (ხირხათი) სწორედ ასეთი სახელების რაცხვს უკუთვნის. ჩვენი წერილი ამ საკითხის გარკვევის პირველი ცდაა.

ხიხანი (ხირხათი) ამავე სახელწოდების ხეობაში (ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირი) მთისა და ციხე-სიმაგრის სახელია.

რომელია უფრო ძველი წარმოშობისა — ხიხანი თუ ხირხათი? წერილობითი წყაროებით ირკვევა: რომ ხიხანი უფრო ძველი წარმოშობისაა, ვიღრე ხირხათი. პირველი მოიხსენიება ჯერ კიდევ თამარ მეფის მამის გიორგი მესამის მეფობის დროინდელ მატიანეში! („პატრონი ხიხათა“ ანუ ხიხანის პატრონი), მაშინ, როდესაც ხირხათი იხსენიება მხოლოდ შე-18 საუკუნის ბოლომდელ

წყაროებში. ხიხანი რამდენიმე ადგილს მოხსენიებული აქვს შე-13 ს. მწერალ ტბელ აბუსერიძეს თავის ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ხიხანის ეკლესია<sup>2</sup>: „ხიხათა ზურგი“, „ხიხათა ეკლესია“, „ხიხანი“. რაც შეეხება ხირხათს, იგი იხსენიება მხოლოდ შე-19 საუკუნეში დ. ბაქრაძის,<sup>3</sup> გ. ყაზბეგის<sup>4</sup>, თ. სახოკიას<sup>5</sup> და სხვათა შრომებში.

ილნიშნულ იდგილს, ციხე-სიმაგრეს მაშინ რომ ნამდვილად ხირხათი ერქვა, ამას ადასტურებს დ. ბაქრაძის შემდეგი სიტყვებიც: გოგოაფიულ ნომენკლატურას და საერთოდ ადგილის სახელწოდებას უმთავრესად ადგილობრი-

2 ტბელ აბუსერიძე, გამოცემა დ. მუსელიშვილისა, თბ., 1940, გვ. 58, 66, 67.

3 დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში, რუსულენაზე, 1878.

4 გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, იბ. წიგნი: გ. ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960.

5 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950.

1 ქართველის ცხოვრება, ტ. II, გვ. 360, თბ., 1959.



ვი ფორმით გადმოცემოთ. იყი თავის შრომაში ადგილსა და ცი-  
ხეს კველგან „ხირხათად“ იხსე-  
ნიებს.

ამრიგად, გამოდის, რომ ერთი  
და იმავე ადგილის (ციხის) ორი  
სახელწოდებიდან ერთი — ხინანი  
ადრინდელი, თავდაპირველი წარ-  
მოშობისაა, ხოლო შეორის — ხი-  
რხათის წარმოშობა გვიანდელ  
დროს მიეკუთვნება.

ეს თუ ასეა, მაშინ როგორ მო-  
ხდა, რომ ხინანდ წოდებულმა  
ადგილმა (ციხემ) შემდგომში  
ხირხათის სახელწოდება მიიღო?  
სად უნდა ვეძიოთ ამს მიზეზი?

ცნობილია, რომ ხინანს ბევრ-  
ჯერ დაეცხნენ დამპყრობლები.  
მათთან უთანასწორო ბრძო-  
ლებს თან ახლდა დიდი სისხლის-  
ლერა, ადგილობრივი მოსახლეო-  
ბის შეთხელება და ზოგჯერ, შე-  
საძლოა, მთლიანი ამოქლეტაც  
კი. ხინანის დანიშნულება იცვლე-  
ბოდა ქვეყნის საშინაო და საგა-  
რეო მდგომარეობის შესაბამისად,  
იგი ხან აქუხდებოდა, ხანაც მი-  
ჩუმდებოდა, — დროდადრო კარ-  
გვდა თავის მნიშვნელობას. იმას  
ხელი შეუშეყო პოლიტიკურ ასპა-  
რეზზე ჯაყელების წარმოჩენამაც  
(როცა მათ სძლიერ აბუსერიძეებს  
და თვითონ გაბატონდნენ). ხინა-  
ნა კვლავ დაიბრუნა თავისი მნი-  
შვნელობა აჭარაში ხიშმიაშვი-  
ლების მმართველობის დროიდან,  
მე-17 საუკუნის უკანასკნელი მე-  
ოთხედიდან, მაგრამ მაშინ იყი  
უკვე „ხირხათად“ იხსენიება.

მრავალგზის აწირებულ და და-  
ბეჭივებულ მოსახლეობას, რომე-  
ლიც სულ უფრო მცირებობდა,  
სრულყოფილად ვეღარ ჟემოუნა-  
ხადს გარდასულ საუკუნეთა ამბე-  
ბი. რაც შეეხება წერილობით  
წყაროებს, მათ მომხდეური სპო-  
ლენენ ან იტაცებდნენ. ამ რევა-  
შიოკების შეონებით ერთ ღრმა  
მძლალი კულტურით სახელგანთ-  
ქმული ხინანის ხეობა ნამოსახლ-  
არად ქცეულა. ამას ადასტურებს  
ავტერობის მღალადებული ტო-  
პონიმები, რომლებიც აქ დღემ-  
დე შემონახულა: ნაფურვარი  
(ფუძე), ნაყანგარი (ყანა), ნახი-  
ზნავი (ხიზანი), ნასმინდარი (სი-  
მინდი), ნადაბური (დაბა) და ა. შ.  
ამასვე ადასტურებს ისიც, რომ  
ოდესაც მეტიდროდ დასახლებუ-  
ლი ხინანის ხეობის მოსახლეობა  
მე-19 საუკუნეში ისე შეთხელე-  
ბულა, რომ 1874 წლის ცნობებით  
თითოეული სოფელი 10-20  
კომლს თუ ითვლიდა?. ხინან-  
რომ უფრო ადრინდელი წარმო-  
შობისაა ვიდრე ხირხათი, ეს იქ-  
დანაც ჩანს, რომ ამ ხეობის ერთ-  
ერთი სოფელის ხინაძირის სახელი  
ხინანს უკავშირდება (ხინანის ძი-  
რი — ხინასძირი — ხინაძირი) და  
არა ხირხათი.

ახლა კი პასუხი გავცეთ კით-  
ხვას: რა უნდა ვიგულისხმოთ ხი-  
ნანში?

ხინანი წარმოებულია ქართვე-  
ლურ ტომებში გავრცელებული  
საკუთარი სახელისაგან ხინა-სა-

6 დ. ბაქრაძე, დასახელებული შრომა,  
გვ. 13.

გან მრავლობით რიცხვში 5 ნიშნისა, ხოლო მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობითში თ ნიშნისა და ა ემფატიური ხმოვნის დართვით (ხიხა-ნი, ხიხა-თ-ა). ასეთივე ფორმებით გვხვდება იგი წყაროებში, მეცნიერულ და მხატვრულ ლიტერატურაში (ხიხა-ნი — ტბელ აბუსერიძე, ხიხას მთა — თ. უორდანია<sup>8</sup>, პატრონი ხიხა-თა — ქართლის ცხოვრება და ა. უ.). ხიხათი ცნობილია როგორც ადგილის სახელწოდება და ამავე ღროს საკუთარი სახელი ქართველურ ტრაქებში. იგი დღესაც არის შემორჩენილი საქართველოს ზოგიერთ რაიონში, კერძოდ ცხაკაიაში<sup>9</sup>. გვხვდება აგრეთვე ამ სიტყვებისაგან წარმოებული გვარიც ხიხაძე<sup>10</sup>. შემდგომში კი ხიხა ადგილის სახელადც იქცა. ასეთი სახელი საქართველოში ახლაც გვხვდება: ხიხათა (გორის რაიონი), ხიხომთა (შორაპანი), ხიხა მთა (რაჭი), ხიხათა (ჭავის რაიონი). აქ ჩამოთვლილი ადგილები ნაპრალოვანი და ჩამოფლატულია. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენში ასეთ ადგილებს ყველგან ხიხას უწოდებენ. მაშასადამე, ხიხა ჩამოფლატული და ციცაბო ადგილების აღმნიშვნელი სახელიც უნდა იყოს.

ახლა კი თვით ხირხათის შესახებ. ამ სიტყვის ეტიმოლოგიის

8 თ. უორდანია, ქრონიკები, წიგნი III, თბ., 1967, გვ. 569.

9 ალ. ლომნიტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.

10 უურნ. „მნათობი“ № 5, 1969.

დადგენას ჩვენ შემდეგნაირად გვიქრობთ. ხირხათის წარმოშობა უნდა უკავშირდებოდეს „ხირხას“!<sup>11</sup> რა არის ხირხა? ხირხა ქალის ქათიბის მსგავსი სამოსია. რომლის ქვემოთ ქალები, უმეტესად აჭარელი ქალები, კაბას ატარებდნენ. ამის შესახებ ცნობა დაცული აქვს თ. სახოვიას. ამ კუთხის უხუცესი ქალებისაგან დღესაც გაიგონებთ, ზამთარში ხირხას წამოვისხამდით. რა კავშირია ამ მთასა და ხირხას შორის? ეს მთა თავისი ფორმით ხირხასა ჰგავს. მთა ისეა წამოხურული ხეობაზე, როგორც ხირხა ქალის მხრებზე. საფიქრებელია, რომ ამ მთამ ხირხათან მსგავსებით მიიღო სახელწოდება — ხირხათი. ადგილი-სათვის ფორმის მსგავსებით სახელის შერქმევა არც თუ იშვიათაღ გვხვდება საქართველოში. ასევე ითქმის, კერძოდ, ხიხანის ხეობაზეც. ასე, მაგალითად, აქ გვხვდება ჩამოთვლის მსგავსებით დარქმეული სახელები: კალოთა (კალოს მთა), თავსახნისა (მთის თავი სახნისა ჰგავს), აკვანასერი (სერი, რომლის შუა ნაწილი აკვანს მოგვაგონებს) და ა. უ. ხირხა-საგან ხირხათის (ხირხას მთის) წარმოშობა დასტურდება ამ სიტყვის ანალიზითაც. განვიხილოთ სამი ვარაუდი.

პირველი. ხირხათი — ხირხ-ათ-ი, საღაც ათ უცხოური წარმოშობის მდედრობითი სქესის დაბოლოვე-

11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიონი, ტ. 8, გვ. 1458, თბ., 1967.

ბაა, სუფიქსია, რაც შესაძლოა ჩვენში შემოსული იყოს არაბულიდან. მაგალითად, სურათი, ბარათი და ა. შ.

მეორე. სიტყვა ხირხათი შეიძლება მიღებული იყოს მსაზღვრელის — მთას ცვლილების შედეგად საზღვრულის ფუძეში შერწყმით. ხირხას მთა — ხირხას /მ/თა — ხირხასთა-ხირხათა და ბოლოს ხირხათი, ისევე როგორც ამავე ხეობის სხვა სახელები — მაღალთი (მაღალი მთისაგან), სხალთა (მსხალის მთისაგან) და ა. შ.

მესამე. სიტყვა ხირხათი შეიძლება მიღებული იყოს „ხირხას“ მრავლობითი ფორმისაგან: ხირხათი — ხირხა-ნი — ხირხა-თა — ხირხა-თ-ი. ამგვარად სახელწოდების წარმოშობა ქართულისათვის დამახსიათებელია.<sup>12</sup>

სამი განხილული გარაულიდან რომელს მიენიჭოს უპირატესობა? ეს მომავალი ენათმეცნიერული კვლევა-ძეგლის საგანია. ჩვენ კი ვფიქრობთ, მესამეს

